პროფესიული განათლების მასწავლებლის გზამკვლევი

ესთეტიკა





პროფესიული განათლების მასწავლებლის გზამკვლევი
ესთეტიკა

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „ესთეტიკა“ გზამკვლევი მომზადებულია პროფესიული უნა-რების სააგენტოს მხარდაჭერით და წარმოადგენს მის საკუთრებას. გზამკვლევი განკუთვნილია პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებენ საშუალო განათლების კომპონენტს.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს თვალსაზრისს.

გზამკვლევზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი:
დავით ზათიაშვილი
ბუბა ოჩიაური

მადლობას ვუხდით ეკა წირღვავას და ეთერ ქუთათელაძეს
გზამკვლევის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

რედაქტორი:
ეკატერინე ლომიძე

გრაფიკული დიზაინერი:
ვერა პაპასკირი

საავტორო უფლებები დაცულია

საქართველო, თბილისი,
2024

სარჩევი

შესავალი 4

1 მრეწველობა და ხელოვნება 7

2 ხელოვნება თავისუფალ დროს 51

3 ჯურიზმი და ხელოვნება 96

4 თანამედროვე ტექნოლოგიები ხელოვნებაში 132

შესავალი

გზამკვლევის დანიშნულებაა მასწავლებლებს გააცნოს ესთეტიკური ჯგუფის საგნების სწავლების მიზანი და მეთოდოლოგია.

გზამკვლევი ოთხ პროექტს გვთავაზობს. თითოეულის მიზანია პროფესიული განათლების გლობალურ პრობლემებთან დაკავშირება, მათი გააზრება და ამ პროცესში ესთეტიკის (ესთეტიკური განწყობების) მნიშვნელობის წარმოჩენა.

პროექტების მიზანია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სამიზნე ცნებების გააზრება, სხვადასხვა კონტექსტში დამუშავება, რაც ყველა პროფესიის წარმომადგენელს აუცილებელი ესთეტიკური წარმოსახვის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

თითოეული პროექტი გამომდინარეობს ესთეტიკის მოდულის მიზნებიდან, რომელთა აღსრულება შესაძლებელია სტანდარტულ ჩანაწერებში მოცემული **სწავლის შედეგი** და **სამიზნე ცნებების გრძელვადიანი მიზნების** მიღწევით.

სწავლის შედეგი განსაზღვრავს სტუდენტის შესაძლებლობას მოდულის ბოლოს. შედეგი მოიცავს როგორც უნარებსა და ფაქტობრივ მასალას, ისე მიზანს/დანიშნულებას, რისთვისაც სტუდენტს შეძენილი ცოდნა სჭირდება. **სამიზნე ცნებები** წარმოადგენს საგნის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) არსს და შედეგის განუყოფელი ნაწილია. სისტემური და გააზრებული ცოდნის და შესაბამისად, სწავლის შედეგის მიღწევის საფუძველია.

თითოეული პროექტი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- **პროექტის თემა.**
- **პროექტის მიზანი.**
- **პროექტის მკვიდრი წარმოდგენები** (აკავშირებს პროექტის თემას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან. პროექტის მკვიდრი წარმოდგენები არის განზოგადებები, რომლებიც სტუდენტმა უნდა გააკეთოს პროექტის ფარგლებში სწავლა–სწავლების შედეგად. პროექტის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს პროექტის თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა კონკრეტულ პროექტთან/თემასთან მიმართებით (პროექტის მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება საგნების სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
- **სამიზნე ცნებები.**
- **საკითხები** უშუალოდ პროექტის თემისგან გამომდინარეობს და სასწავლო მიზნებზე (შედეგი, სამიზნე ცნება) მისი საშუალებით მუშაობენ.
- **საკვანძო შეკითხვები** (მისადაგებულია კონკრეტული პროექტის საბოლოო/პროექტული დავალების კონტექსტს. მასზე ფიქრი მუშაობის პროცესს ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს).

- **პროექტის საბოლოო დავალება** არის **შუალედური მიზანი.** ხელს უწყობს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას, ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას და სხვადასხვა ცოდნისა და უნარების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

  დავალების პირობაში მკაფიოდაა გამოკვეთილი: პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას სტუდენტმა, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება პროექტის ფარლებში; შეფასების კრიტერიუმები, რომელიც სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს პროექტის თემასთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან აკავშირებს. დავალება ხასიათდება შემდეგი თვისებებით (**იხ. სურ.1**):

სურათი 1. *პროექტული დავალებები*

- **შეფასება** (სასწავლო შედეგი ფასდება იმის მიხედვით, სტუდენტს რამდენად ღრმად შეუძლია პროექტის თემასთან, საკითხებთან დაკავშირებით სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება; სტუდენტების მიღწევების აღსაწერად საჭიროა შეფასების რუბრიკა, სადაც დეტალურად გაიწერება შეფასების კრიტერიუმები; შედეგების მიღწევის ტაქსონომია გამოყოფს საკითხის გააზრების 5 დონეს:

(*იხ. ცხრილი 1, რომელიც მასწავლებელმა უნდა მოარგოს შეფასების კრიტერიუმებს*).

ცხრილი I. შედეგების მიღწევის ტაქსონომია	
პრესტრუქტურული დონე	სტუდენტს საკითხთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე	სტუდენტს აქვს მხოლოდ ერთი, არასტრუქტურირებული ასოციაცია / წარმოდგენა განსახილველ საკითხთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან დაკავშირებით.
მულტისტრუქტურული დონე	სტუდენტს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან დაკავშირებით.
მიმართებითი დონე — სტუდენტს შეუძლია:	◆ საკითხთან, სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება და გაანალიზება; ◆ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; ◆ საკითხის, სამიზნე ცნებების შესახებ ცოდნის დაკავშირება სასწავლო შედეგებით განსაზღვრულ ღირებულებებთან/დამოკიდებულებებთან.
აბსტრაქტული დონე	სტუდენტს შეუძლია, სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში, ახალი შინაარსის შესაქმნელად სამიზნე ცნებების სააზროვნო ინსტრუმენტად გამოყენება.

◆ **პროექტის განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, შუალედური დაავლებები, რესურსები და სხვ.).

გზამკვლევი ეფუძნება **მეთოდოლოგიურ ორიენტირებს,** რომლებიც ჩამოყალიბებულია 5 საგანმანათლებლო პრინციპის სახით:

1. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;

2. სწავლა-სწავლება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად დაგროვებას;

3. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;

4. სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლებას);

5. სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

პროექტები:

1 პროექტი: მრეწველობა და ხელოვნება

საათი

ხანგრძლივობა 13 საკონტაქტო საათი

მრეწველობა და ხელოვნება

პროექტის მიზანი:

- ხელოვნების როლის და მნიშვნელობის გააზრება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, კერძოდ, საწარმოო პროცესის ეფექტურობის ამაღლებასა და პროდუქციის რეალიზებაში.
- ხელოვნების ენის გამოყენება საწარმოსა და პროდუქციის რეალიზების საკუთარი ვერსიის შექმნისას.

პროექტის მკვიდრი წარმოდგენები:

- ხელოვნებას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
- ხელოვნების საშუალებით შეიძლება საწარმოო პროცესი უფრო ეფექტური გახდეს.
- ხელოვნებას დიდი როლი აქვს პროდუქციის, საწარმოო საქმიანობის პოპულარიზაციაში და რეალიზებისას.

ვიზუალური ხელოვნება:

1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა
2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები
3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი ფორმა და დანიშნულება
4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიდინარეობის, სტილის ხელოვნება

მუსიკა:

1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი
2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები
3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა

საკითხები:

- ხელოვნება, როგორც საწარმოო ძალების განვითარების საშუალება (ხელოვნების როლი წარმოებასა და საწარმოო ძალების განვითარებაში).
- ხელოვნება, როგორც საწარმოო პროდუქციის რეალიზების საშუალება (ხელოვნების როლი გაყიდვების ეფექტურობის ზრდაში (ხელოვნების ზეგავლენა მომხმარებელზე, შეფუთვის დიზაინი, აუდიობრენდინგი და სხვ.) და ა.შ.

მრეწველობა და ხელოვნება

საკვანძო შეკითხვები:

- როგორი შეიძლება იყოს საწარმო, სამუშაო ადგილი, სადაც მუშაობის პროცესი მაქსიმალურად ეფექტური და კომფორტულია? როგორ შევქმნა მსგავსი საწარმოს, სამუშაო ადგილის ესკიზი ან/და მაკეტი?
- როგორ შევქმნა პროდუქტის დიზაინი და ვაწარმოო მისი რეალიზების, პოპულარიზაციის კამპანია?
- როგორ შევქმნა ნაწარმის მარკეტინგული მხარდაჭერის ხმოვანი ინსტრუმენტი?

პროექტის საბოლოო დავალება:

მოიფიქრე საწარმოს სამუშაო გარემოს და პროდუქციის რეალიზების კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას. სასურველი **ტექნიკით (ხატვა, კოლაჟი, კონსტრუირება, მოდელირება, კომპ. ტექნოლოგიები)** შექმენი ესკიზი, მაკეტი (ექსტერიერი, ინტერიერი), სამუშაო დღისთვის შეადგინე მუსიკალური პროგრამა. შექმენი ამ საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის შეფუთვის ან ეტიკეტის დიზაინი, მუსიკალური ლოგო და მუსიკალური ფონი (სამუშაოს ტიპის, დღის მონაკვეთის შესაბამისი მუსიკალური ფონი). მოიფიქრე, **რომელი მუსიკალური, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები** შეიძლება გამოიყენო.

პრეზენტაციისას, ნაშრომში/ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა იყო თქვენი/ თქვენი ჯგუფის იდეა (რისი საწარმოს, წარმოების ადგილის ინტერიერის ესკიზი, შექმენი მაკეტი)?
- როგორი იერსახისაა, როგორ გამოიყურება თქვენ მიერ მოფიქრებული საწარმო, საწარმოო ადგილი (შენობა, მისი ექსტერიერი (მაგ. ფასადები) ან/და ინტერიერი (შიდა სივრცე) — არქიტექტურა, დიზაინი, ფორმები, ფერი, პროპორციები, მასშტაბი და სხვ.)
- რა ტექნიკა გამოიყენეთ ესკიზის, მაკეტის შესაქმნელად?
- რა სამუშაო ტიპს რა მუსიკალური ფონი შეურჩიეთ და რატომ? (მიუთითეთ, სამუშაოს ტიპი, რა მახასიათებლების მქონე მუსიკა მოუხდება ყველაზე მეტად? აღწერეთ ამ ტიპის სამუშაოსთვის შერჩეული მუსიკალური ნიმუშები და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი).
- როგორ შეურჩიეთ მუსიკალური ფონი სამუშაო დღის სხვადასხვა მონაკვეთებისთვის? (მიუთითეთ სამუშაოს დღის მონაკვეთი. ახსენით, რა მახსიათებლების მქონე მუსიკალური ფონი ესადაგება მას და ამ კუთხით გაანალიზეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური მაგალითები).

მრეწველობა და ხელოვნება

პროექტის საბოლოო დავალება:

- სამუშაო გარემოს შექმენისას, საწარმოო ძალების გასაააქტიურებლად და შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად, წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ?
- საწარმოო დიზაინის რომელი დარგი, სახეობა აარჩიეთ? ამ დარგის, სახეობის რა მახასიათებლები გამოიყენეთ?
- ბრენდის ატრიბუტად რა მუსიკალური ფორმა შეარჩიეთ: მუსიკალური ლოგოტიპი, მუსიკალური ფონი, თუ ჯინგლი?
- რა პროდუქცია შეარჩიეთ რეკლამისთვის? როგორ დაგეგმეთ და რა მუსიკალური და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, საშუალებები, დარგები და ტექნიკა გამოიყენეთ პროდუქციის რეალიზებისთვის?

პროექტის სტრუქტურა:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება 1. პროექტის თემა, მიზანი, საბოლოო დავალება, შეფასება 2. საწარმოების, ქარხნების, პროდუქტის დიზაინის და შეფუთვის ნიმუშები	◆ ძველი და თანამედროვე საწარმოები, ქარხნები, სამუშაო სივრცეები. ◆ სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები. ◆ ძველი ფუნქციაშეცვლილი და გადაკეთებული შენობები, სივრცეები. ◆ პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა. ◆ მუსიკა სხვადასხვა საქმიანობის დროს.
II ეტაპი. საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება, საწარმოს ესკიზის, მაკეტის შექმნა და მუსიკალური პროგრამის შემუშავება.	◆ ხელოვნების, მხატვრული საშუალებებისა და ხერხების, ტექნიკის გაცნობა ინტერიერის დიზაინის, ექსტერიერის ჭრილში. ◆ საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება და საწარმოს ესკიზის, მაკეტის შექმნა ხელოვნების მხატვრული საშუალებების, ხერხების და ტექნიკის გამოყენებით. ◆ მუსიკალური პროგრამა სამუშაო დღისთვის.
III ეტაპი. პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინის, მუსიკალური ლოგოსა და მუსიკალური ფონის შექმნა.	◆ დიზაინის ნიმუშები და მისი სახეობები. ◆ ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, ტექნიკის გაცნობა პროდუქტის დიზაინის, ეტიკეტის, შეფუთვის ჭრილში. ◆ პროდუქციის რეალიზების კონცეფციის შემუშავება ◆ პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტიის დიზაინის შექმნა. ◆ მუსიკალური ლოგოსა და მუსიკალური ფონის შექმნა.

მრეწველობა და ხელოვნება

IV ეტაპი. საბოლოო ნამუშევრის წარდგენა და შეფასება.	◆ საწარმოს სამუშაო გარემოს და პროდუქციის რეალიზების კონცეფცია. ◆ ამ საწარმოს ესკიზი/მაკეტი, მუსიკალური პროგრამა სამუშაო დღისთვის. ◆ ამ საწარმოს პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინი, მუსიკალური ლოგო და მუსიკალური ფონი.

პროექტის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება

1 **პროექტის თემის, მიზნის, საბოლოო დავალების, შეფასების გაცნობა**

შეფასება

სტუდენტს შეუძლია:

1	◆ საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება და მისი ინტერიერის ესკიზის, მაკეტის, შექმნისას მუსიკალური და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საწარმოო ძალების გააქტიურებლად და შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად.
2	◆ საწარმოო დიზაინის დარგის, სახეობის მიზანმიმართულად შერჩევა და მათი მახასიათებლების გამოყენება.
3	◆ პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის, მუსიკალური ლოგოს და მუსიკალური ფონის შექმნა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, საშუალებების, ტექნიკის დახმარებით.
4	◆ **დასაბუთება:** რატომ გამოიყენა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, საშუალებები, ტექნიკა.
5	◆ პროექტის წარდგენა (საპრეზენტაციო უნარები).

შენიშვნა: სტუდენტის წინარე ცოდნის, დროის მენეჯმენტის თუ საჭიროების შესაბამისად, მასწავლებელი თვითონ ირჩევს შეთავაზებულ აქტივობასა და დავალებებს.

მრეწველობა და ხელოვნება

აქტივობა 1.
დაფიქრდით მოცემულ კითხვებზე:

- როგორი შეიძლება იყოს საწარმო, წარმოების ადგილი, სადაც მუშაობის პროცესი მაქსიმალურად ეფექტური და კომფორტულია? როგორ შევქმნა მსგავსი საწარმოს, საწარმოო ადგილის ესკიზი ან/და მაკეტი?
- როგორ შევადგინო მუსიკალური პროგრამა სამუშაო დღისთვის?
- როგორ შევქმნა პროდუქტის დიზაინი და როგორ შევუწყო ხელი მის რეალიზებას, პოპულარიზაციას?
- როგორ შევქმნა ნაწარმის მარკეტინგის მხარდაჭერის ხმოვანი ინსტრუმენტი?

დავალება 1. წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები საბოლოო დავალების შესასრულებლად. რა წინარე ცოდნა გაგაჩნიათ და რისი სწავლა გჭირდებათ.
ჩამოწერეთ საკითხები, თემები, რომელთა ცოდნაც ამ პროექტის შესასრულებლად გჭირდებათ.

2 **საწარმოების, ქარხნების, პროდუქტის დიზაინის და შეფუთვის ნიმუშები.**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

- **ძველი და თანამედროვე საწარმოები, ქარხნები, სამუშაო სივრცეები.**

აქტივობა 2.
🔎 დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და გაეცი კითხვებს პასუხი:

- რომელია ინტერიერი, ექსტერიერი?
- მიუწერეთ ლიტერა „ე“ ექსტერიერს, ხოლო ლიტერა „ი“ ინტერიერს.
- განმარტე ტერმინების, ინტერიერის და ექსტერიერის მნიშვნელობა.
- როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია შენობის ინტერიერის და ექსტერიერის თანხვედრა? დაასაბუთე პასუხი.
- შენი აზრით, შენობის ფუნქციური დამიშნულება არქიტექტურული ნაგებობის იერსახის ფორმირებაზე გავლენას ახდენს? დაასაბუთე პასუხი. ➡

მრეწველობა და ხელოვნება

აქტივობა 2.

🔎 დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და გაეცი კითხვებს პასუხი:

- რა ფაქტორებია გასათვალისწინებელი სამრეწველო შენობის არქიტექტურული დაგეგმარებისას? შესაბამისი ქულები მიუწერე ქვემოთ მოცემულ ცხრილში (1 დან 5-მდე). დაასაბუთე პასუხები, რატომ ფიქრობ ასე?

საწარმოს მდებარეობა	
დასამზადებელი ნაწარმის ზომა	
ნაწარმის რაოდენობა	
მომსახურე პერსონალის კომფორტზე ზრუნვა	
შენობის ფუნქციაზე მასალის სწორად მორგება	

ეს საინტერესოა:

საწარმო შეიძლება იყოს მცირე ან დიდი ზომის.

მცირე ზომის საწარმოდ, ძირითადად ფაბრიკები მოიაზრება, სადაც მცირე მეწარმეები ამზადებენ პროდუქციას, ხოლო დიდ საწარმოდ მოიაზრება ქარხანა, სადაც ერთი ფირმის სხვადასხვა სახის პროდუქტი იქმნება.



სურათი II. *თვითმფრინავის ქარხანა.*

სურათი III. *ფაბრიკა ამერიკაში, სადაც მეხანძრე-მაშველების ფორმები მზადდება.*

მრეწველობა და ხელოვნება

აქტივობა 1.

დაათვალიერეთ რესურსებში, ბმულებში მოცემული ან თავად მოიძიეთ ძველი და ახალი საწარმოების ნიმუშები. გაიხსენეთ თუ შეგხვედრიათ მსგავსი და უპასუხეთ შეკითხვებს:

- შეადარეთ ერთმანეთს ერთი და იგივე პროდუქციის ძველი და ახალი საწარმოები. რა განსხვავებას და მსგავსებას ხედავთ?
- რომელი საწარმოს გარემო უფრო კომფორტულად მიგაჩნიათ? რატომ?
- ხომ არ ყოფილხართ რომელიმე საწარმოში, ან ტელევიზიით, ინტერნეტის საშუალებით ხომ არ გინახავთ? რა შთაბეჭდილება მოახდინა სამუშაო გარემომ? იქ რომ გემუშავათ, თავს როგორ იგრძნობდით? შეცვლიდით რამეს? რატომ?
- თქვენ მიერ ნანახ საწარმოს ილუსტრაციებზე მოცემულ საწარმოებთან რა საერთო აქვს?
- როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა მნიშვნელობა გარემოს, სადაც ადამიანი მუშაობს, შეუძლია თუ არა ზეგავლენის მოხდენა საწარმოო ძალების განვითარებაზე, შრომის ეფექტიანობის ამაღლებაზე? ამისთვის რა არის საჭირო?

შენიშვნა: რესურსში მოცემული ვიზუალური და სხვა მასალა, ასევე შესაბამისი ბმულები (რესურსის წყარო) მოცემულია სტუდენტის რვეულში.

რესურსი:

- ძველი საწარმოები
- თანამედროვე საწარმოები, ინტერიერები
- ძველი და ახალი ფეხსაცმლის საწარმოები

მუსიკა

აქტივობა 5.

მოუსმინეთ რამდენიმე მუსიკალურ ფრაგმენტს და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. შეგიძლიათ რომელიმე საქმიანობაზე ჩაწეროთ „არ ვუსმენ“.

მუსიკალური ფრაგმენტების ნომერი	მუსიკა მუშაობის დროს	მუსიკა მეცადინეობის დროს	მუსიკა, რომელსაც საერთოდ არ მოვუსმენ	მუსიკა, რომელმაც დამაინტერესა
1				
2				
3				
4				
5				
6				

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

- **როგორი ტიპის სამუშაოს ირჩევთ? აღნიშნე თოლიით √ აქ მოცემული სამუშაოს სახეობები.**
  - ○ დინამიური ფიზიკური შრომა (სამუშაო, რომელიც მთელი სხეულის ჩართვას საჭიროებს, მაგ. მშენებელი, მეტალურგი, საველე სამუშაობები და ა.შ.);
  - ○ სტატიკური ფიზიკური შრომა (სამუშაო, რომელიც ერთ ადგილზე სრულდება და რომელშიც სხეულის მხოლოდ ნაწილია ჩართული (მაგ. ელექტრიკოსი, დურგალი, კონვეიერზე მუშაობა, დეტალების აწყობა და ა.შ.)
- **რა ნიშნით შეარჩიეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტები? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი (დასვით თოლია)**
  - ○ სამუშაო განწყობას მიქმნის; აღწერეთ, როგორი უნდა იყოს სამუშაო განწყობა თქვენთვის.
  - ○ ენერგიას მმატებს; აღწერეთ მუსიკა, რომელიც ენერგიას გმატებთ;
  - ○ სხვა; მოიფიქრეთ პასუხი;

- თუ რომელიმე გრაფაში დაწერეთ „არ ვუსმენ“, რომელში? ახსნით რატომ?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს საერთოდ არ მოუსმენდით და რატომ?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი უფრო დაგღლიდათ, ვიდრე დაგეხმარებოდათ მუშაობაში? ახსნით რატომ?

აქტივობა 2.

ქვემოთ მოცემულ ფოტოებში ასახულია მერსედესის ქარხანა, მისი ძველი და თანამედროვე იერსახე, (ინტერიერი–ექსტერიერი), დააკვირდი ფოტოებს და უპასუხე კითხვებს:

მრეწველობა და ხელოვნება

- შეადარეთ ერთმანეთს ძველი და ახალი საწარმო, რა განსხვავებას და მსგავსებას ხედავთ?
- რომელი მიგაჩნიათ უფრო კომფორტულად და რატომ?
- ერთი შეხედვით, რომელი უფრო ჰგავს საწარმოს? რატომ?
- რომელი შენობის ინტერიერი უფრო მოგწონთ, ძველის თუ ახლის? რატომ?
- თქვენი აზრით, არქიტექტორი შენობის დაგეგმარებამდე, იქ დასამონტაჟებელ დანადგარებს უნდა იცნობდეს? დაასაბუთეთ პასუხი.
- როგორ ფიქრობთ, შეუძლია დანადგარებს შენობის იერსახის შეცვლა? დაასაბუთეთ პასუხი.
- რომ არ იცოდეთ შენობის ფუნქციური დანიშნულება, ექსტერიერის დანახვისას, მიხვდებოდით რომ ქარხანაა?

> თქვენი აზრით, რა უნდა გაითვალისწინოს არქიტექტორმა, როდესაც საწარმოს შენობის დაპროექტებას იწყებს? რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევთ, ჩაწერეთ ცხრილში 1 დან 3 ქულამდე.

განათება	
პროდუქტი	
კომფორტული გარემო	
დანადგარების ზომა და რაოდენობა	
მასალა რითაც ააშენებს ნაგებობას	
მისი ადგილმდებარეობა	

II ეტაპი. საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება, ესკიზის, მაკეტის შექმნა და მუსიკალური პროგრამის შემუშავება.

- ხელოვნების მხატვრული საშუალებები, ხერხები და ტექნიკა ინტერიერის დიზაინის, ექსტერიერის ჭრილში.
- საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება და ესკიზის, მაკეტის შექმნა ხელოვნების მხატვრული საშუალებების, ხერხების და ტექნიკის გამოყენებით.

ვიზუალური ხელოვნება:

1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა
2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები
3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი ფორმა და დანიშნულება
4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნება.

მრეწველობა და ხელოვნება

◆ სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები.

აქტივობა 3.

🔎 დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და უპასუხეთ კითხვებს:

- რისი შენობა შეძლება იყოს და რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ მოგწონთ ეს შენობა? კომფორტულად მიგაჩნიათ?
- ამ შენობაში რას გააკეთებდით და რატომ?
- შენობისთვის როგორი ფორმებია გამოყენებული?
- როგორია განათება?
- როგორ ფიქრობთ, ამ შენობისთვის რამდენად მნიშვნელოვანი განათება?
- არქიტექტორს რა მასალა აქვს გამოყენებული და როგორ?
- შენობის ფუნქციას მასალა რამდენად სწორად აქვს მორგებული?

აქტივობა 4.

🔎 დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და უპასუხე კითხვებს:

პირველ ფოტოში ასახულია თვითმფრინავის ქარხანა, მეორეში — ღვინის საწარმო.
რა არის მნიშვნელოვანი ამ საწარმოებისთვის? აღწერეთ ცხრილში და დაასაბუთეთ პასუხი (მიუსადაგეთ ქულები 1 დან 5 მდე). ➡

მრეწველობა და ხელოვნება

თვითმფრინავის ქარხანა		ღვინის საწარმო	
სივრცე			
განათება			
შენობის თანამედროვე აღჭურვილობა			
შენობის მასალა			
დანადგარები			
მომსახურე პერსონალზე მორგებული გარემო			
ინტერიერი, დიზაინი			
შენობის არქიტექტურა			
პროდუქტი			

- რა განასხვავებს ამ შენობებს არქიტექტურული თვალსაზრისით?
- რომელი უფრო გიქმნით სიძველის და მისტიკის განცდას და რატომ?
- არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რომელს დაათვალიერებდი და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რაიმე განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებს თვითფრინავის ქარხანა/ღვინის ქარხანა? ახსენით პასუხი.

დავალება 2. ფოტოებზე დაკვირვების შედეგად (სადაც ასახულია თვითმფრინავის და ღვინის ქარხნის ინტერიერი) წარმოიდგინეთ როგორი იქნება მათი ექსტერიერი და გააკეთეთ ჩანახატი?

აქტივობა 5.

🔎 დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და უპასუხეთ კითხვებს:

პირველ ფოტოში ყავის „მეამას“ ქარხნის ინტერიერია მოცემული, მეორეში თბილისის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



- თქვენი აზრით, რა საერთო აქვთ ამ შენობებს?
- რა განასხვავებთ?
- ამ შენობებს ფუნქციები რომ შეუცვალოთ, შეძლებენ განსხვავებული ფუნქციებით არსებობას? დაასაბუთეთ პასუხი.
- როგორ ფიქრობთ, შენობაში კომფორტს რა დეტალები ქმნის?
- შენობა როგორი ფორმებით აგებულია?
- რა არის მნიშვნელოვანი ამ შენობებში? ჩამოთვალეთ არქიტექტურული მახასიათებლები.

მრეწველობა და ხელოვნება

აქტივობა 6.

🔎 დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ფოტოს, სადაც შენობის მაკეტია ასახული და უპასუხეთ კითხვებს.

- იცით რა არის მაკეტი? შეგიქმნიათ ოდესმე?
- თქვენი აზრით, მაკეტის შექმნას რა ტექნიკები და მასალა სჭირდება?
- ჩამოთვალეთ ეტაპები, რაც დაგჭირდებათ მაკეტის შესაქმნელად.
- როგორ ფიქრობთ, მაკეტის შექნისას მხოლოდ შენობის იერსახეა მნიშვნელოვანი თუ გარემოს ასახვაც საჭიროა? დაასაბუთეთ პასუხი.
- რა მასალას და ტექნიკას გამოიყენებთ მაკეტის დასამზადებლად?
- რომელი საწარმოს მაკეტს დაამზადებთ და რატომ?

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება 3. შექმენით რაიმე საწარმოს შენობის მაკეტი სასურველი ტექნიკების გამოყენებით (კონსტრუირება, ძერწვა, კოლაჟი, აპლიკაცია).

პრეზენტაციის დროს ისაუბრეთ:

- რომელი საწარმოს მაკეტი შექმენით და რატომ?
- შექმნის დროს რა ფაქტორებს მიაქციეთ ყურადღება და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, თქვენი მაკეტის მიხედვით აგებული საწარმო შეძლებდა ფუნქციონირებას? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ პასუხი.
- სად ააგებდით ამ საწარმოს და როგორ მოარგებდით გარემოს?
- თქვენი საწარმოს ინტერიერი და ექსტერიერი ერთმანეთთან თანხვედრაში რამდენად იქნებოდა?

დავალება 4. დაათვალიერეთ რესურსებში, ბმულებში ან თავად მოიძიეთ სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები (მაგ. სასწავლებელი, სახელოსნო, მუზეუმი, სავაჭრო და ა.შ.) და შეადარეთ ერთმანეთს, იმსჯელეთ მათ მსგავსება-განსხვავებაზე. შეესაბამება თუ არა გარემო შინაარსს, ფუნქციას? რაში ჩანს ეს?

რესურსი:

- სტამბულის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (არქიტექტურა: Renzo Piano Building Workshop)
- უფიცის გალერეა, ფლორენცია, იტალია
- ვანის არქეოლოგიური მუზეუმი
- სკოლა
- სხვადასხვა სივრცეები ოფისებში

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

აქტივობა 5.

დაათვალიერეთ ილუსტრაციები და ბმულები, რომლებშიც სხვადასხვა პროდუქციის დიზაინის და შეფუთვის ნიმუშებია მოცემული, უპასუხეთ კითხვებს:

პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა.

შეკითხვები:

- რა გზით იღებთ ინფორმაციას ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ? (სოციალური ქსელები, ტელევიზია, ბანერები და ა.შ.)
- გაიხსენეთ, რომელიმე ფირმის, ბრენდის, პროდუქტის რეკლამა, საფირმო ნიშანი, სარეკლამო მუსიკა, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე, დაგაინტერესათ ან ნივთის თუ პროდუქტის შეძენა მოგანდომათ;
- ილუსტრაციებში, ბმულებში მოცემული ნიმუშებიდან, რომელი პროდუქტის შეფუთვამ მიიქცია თქვენი ყურადღება? შეგიძლიათ ახსნათ რატომ?
- დააკვირდით პროდუქტის შეფუთვის სხვადასხვა ვარიანტებს. შეადარეთ ერთმანეთს. რომელი უფრო იპყრობს თქვენ ყურადღებას, რომელი უფრო მოგწონთ? დაასაბუთეთ.

მრეწველობა და ხელოვნება

რესურსი:

- მეამას ფეისბუქ გვერდი, პროდუქცია, შეფუთვა
- პროდუქტის შეფუთვის სხვადასხვა ვარიანტი

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებები და ხერხები:

- **ფერი — ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, ქრომატული და აქრომატული, ტონი, ნახევარტონი** — ინფორმაცია ფერებისა და მათი თვისებების შესახებ.

დავალება 5. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ნამუშევრებს. როგორი **ფერებითაა** შესრულებული. დაფიქრდით, იმსჯელეთ რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე და გააანალიზეთ, რამ გამოიწვია შთაბეჭდილება? ინტერნეტში ან თქვენს ირგვლივაც მოიძიეთ ნიმუშები.

რესურსი:

- ძირითადი ფერები არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში
- შედგენილი ფერები არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში
- თბილი, ცივი, კონტრასტული ფერები, ნახევარტონები ფერწერაში
- თბილი, ცივი, კონტრასტული ფერები არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში
- აქრომატული ფერები ფერწერაში
- აქრომატული ფერები არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში

დავალება 6. თავად მოიძიეთ (ინტერნეტით ან სხვა გზით, მაგ. გადაუღეთ ფოტოები, დაათვალიერეთ ჟურნალები და ა.შ.) პასტელური ფერებით (ნახევარტონებით) შესრულებული ნამუშევრები, მაგალითად ფერწერის, არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის ნიმუშები. იმსჯელეთ რა შთაბეჭდილებას ახდენს და რა იწვევს ამ შთაბეჭდილებას.

რესურსი:

- **სტუდენტების მიერ მოძიებული მასალა.**
- **ფერების ფსიქოლოგია:** psychologist.ge მასწავლებელი შეიძლება წინასწარ გაეცნოს მოცემულ რესურსს ფერების ფსიქოლოგიის შესახებ და თუ საჭიროდ მიიჩნევს, სტუდენტებს გააცნოს, განიხილოს მათთან ერთად გარკვეული მონაკვეთები ტექსტიდან.

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება 7. ქვემოთ მოცემული გასაფერადებლებიდან აირჩიე ერთი სივრცე და შექმენი მისი რამდენიმე ფერადი ვერსია, ანუ გააფერადე სხვადასხვა ფერებით. ფერების არჩევისას გაითვალისწინე ამ სივრცის დანიშნულება (საცხოვრებელია თუ ოფისი ან საწარმო. თუ საცხოვრებელია, რომელი ოთახია — საძინებელი, კაბინეტი, სასადილო თუ სხვ. თუ ოფისი ან საწარმოა, რა ტიპის და ა.შ.). შეგიძლია გასაფერადებელი ვერსია ამობეჭდო რამდენიმე ეგზემპლარად, ან ონლაინ გააფერადო და ყველა ვერსია შეინახო. შერჩეული სივრცის/ინტერიერის ილუსტრაცია გააფერადე შემდეგი ფერებით,

1. მხოლოდ ცივი ფერები
2. მხოლოდ თბილი ფერები
3. ცივი და თბილი ფერები
4. კონტრასტული ფერები
5. ნახევარტონები (მაგ. ე.წ. პასტელური ტონები)
6. შავ-თეთრი
7. ნეიტრალური, ან აქრომატული ფერები
8. ძირითადად მხოლოდ ერთი ფერი
   ან სურვილისამებრ.

წარდგენისას შეადარე ერთმანეთს შენი ნამუშევრები. იმსჯელე, რა დანიშნულების, ფუნქციის სივრცეა (საცხოვრებელი — საძინებელი, სასადილო, საერთო ოთახი, კაბინეტი და სხვ.; ოფისი, საწარმო, ეზო და სხვ.), როგორი ფერები შეარჩიე, რომელ სივრცეში, ინტერიერში მოგეწონებოდა ყოფნა? რატომ (რა განწყობილებაზე გაყენებს ესა თუ ის ფერი, რამდენად კომფორტული, სასიამოვნო ან შემაწუხებელი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ფერის გარემოში ყოფნა, სხვადასხვა მოქმედების დროს — დასვენებისას, საკვების მიღებისას, მუშაობისას, სწავლისას, სეირნობისას და ა.შ.)?

რესურსი:

- გასაფერადებელი (საცხოვრებლის ინტერიერები და სხვ.) შესაძლებელია ჩამოტვირთვა ან ონლაინ გაფერადება
- გასაფერადებელი ინტერიერი (სამზარეულო და სხვ,), შესაძლებელია ჩამოტვირთვა

რესურსი:

- **ხაზი** — ინფორმაცია ხაზების ტიპების და თვისებების შესახებ

დავალება 8. დაათვალიერეთ ქვემოთ მოცემული სხვადასხვა დარგის ნამუშევრები. რისთვის და როგორ გამოიყენა ავტორმა ხაზები? რა შთაბეჭდილებას ახდენს და რა იწვევს ამ შთაბეჭდილებას? გაიხსენეთ, თქვენს გარშემო (ქუჩაში, შენობებში, ბუნებაში და ა.შ.) როგორი ტიპის ხაზებს ხვდებით.

მრეწველობა და ხელოვნება

რესურსი:	◆ ხაზი მხატვრობაში — გრაფიკა და ფერწერა ◆ ხაზი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში **ფორმა** — ინფორმაცია ფორმების შესახებ ◆ გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, ბრტყელი და მოცულობითი ფორმები მხატვრობაში ◆ ფორმა არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში ◆ ფორმა ქანდაკებაში **კომპოზიცია** — ინფორმაცია ფორმების შესახებ
რესურსი:	◆ სიმეტრიული კომპოზიცია მხატვრობაში ◆ სიმეტრიული კომპოზიცია არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში ◆ ასიმეტრიული კომპოზიცია მხატვრობაში ◆ ასიმეტრიული კომპოზიცია არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში ◆ რადიალური, წრიული კომპოზიცია არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში
აქტივობა 2.	გაეცანით ბმულებში მოცემულ ინტერიერის ნიმუშებს. დააკვირდით, რა ფუნქციური სივრცეებია ერთ ინტერიერში განთავსებული. როგორ არის კომპოზიციურად განაწილებული და ურთიერთშეთანხმებული თქვენი აზრით, რამდენად კომფორტული და მოსახერხებელია. რამეს ხომ არ შეცვლიდით? ასევე დააკვირდით ავეჯისა და ინტერიერის სხვა დეტალების კომპოზიციურ განაწილებას.
რესურსი:	◆ ინტერიერის ნიმუშები.

რიტმი — ინფორმაცია რიტმის შესახებ

დავალება 9. დაათვალიერეთ ქვემოთ მოცემული რესურსი. დააკვირდით რა ელემენტების გამეორებით იქმნება **რიტმი**. იმსჯელეთ რა შთაბეჭდილებას ახდენს და რა იწვევს ამ შთაბეჭდილებას. თქვენ სად გხვდებათ რიტმი?

რესურსი:	◆ რიტმი მხატრობაში ◆ რიტმი არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში ◆ რიტმი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში

დავალება 10. დაათვალიერეთ ქვემოთ მოცემული ინტერიერის ნიმუშები. იმსჯელეთ რომელი მოგწონთ ან არა. გააანალიზეთ რომელი მხატრული საშუალებები და ხერხებია (ფერი, ხაზი, ფორმა, რიტმი, კომპოზიცია) გამოყენებული რა შთაბეჭდილებას ახდენს, რა იწვევს ამ შთაბეჭდილებას, როგორ არის ურთიერთშეთანხმებული. შეადარეთ ერთმანეთს.

მრეწველობა და ხელოვნება

რესურსი:	◆ **განათება, შუქ-ჩრდილი** — ინფორმაცია განათების, შუქ-ჩრდილის შესახებ
აქტივობა 3.	გაეცანი მოცემულ ნიმუშებს. აღწერე და გააანალიზე სხვადასხვა დარგის ნიმუშებში როგორ და რისთვის გამოიყენება **განათება, შუქ-ჩრდილი**. იმსჯელე, რა შეიძლებოდა ჩაეფიქრა ხელოვანს
რესურსი:	◆ **განათება, შუქ-ჩრდილი მხატვრობაში** — გრაფიკა ◆ **განათება, შუქ-ჩრდილი მხატვრობაში** — ფერწერა
აქტივობა 4.	დააკვირდით, როგორ შეიძლება გრაფიკულად მოცულობითი ილუზიის შექმნა სიბრტყეზე შუქ-ჩრდილით, შტრიხების ან ლაქების გამოყენებით.
რესურსი:	◆ **შუქ-ჩრდილით მოცულობის ილუზიის შექმნის ნიმუში** — გრაფიკა

დავალება 11. სცადე შენც. უბრალო ფანქრით ან კალმით დახატე სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა.

გაითვალისწინე:

- განათების წყარო საიდან არის

გამოსახე:

- საკუთარი ჩრდილი
- დაცემული ჩრდილი
- რეფლექსი
- ათინათი

ასევე გაითვალისწინე, ჩრდილის სიძლიერე, უფრო მუქ ადგილებში გამოიყენე მკვეთრი ჩრდილები გარდამავალ ადგილებში ნახევარტონები და სხვ.

დავალება 12. დაათვალიერეთ ქვემოთ მოცემული ინტერიერის ნიმუშები, დააკვირდით, როგორია განათება, განათების წყარო, ან თავადაც მოიძიეთ არქიტექტურასა და ინტერიერში საინტერესო განათების ნიმუშები

რესურსი:	◆ განათება, შუქ-ჩრდილი ინტერიერის დიზაინში (ბუნებრივი და ხელოვნური განათების დროს)

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება 13. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ინტერიერებს და შენობებს. დაფიქრდით, რომელ შენობას შეიძლება ეკუთვნოდეს ესა თუ ის ინტერიერი და ცარიელ კვადრატებში ჩაწერეთ შესაბამისი შენობის ნომერი. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

რესურსი: სტუდენტის რვეულში მოცემული დავალების სწორი პასუხები



იმსჯელეთ ამ კუთხით. შუქ-ჩრდილსა და განათებაზე.



იმსჯელეთ ამ კუთხით. შუქ-ჩრდილსა და განათებაზე.

- **ესკიზი** — ინფორმაცია ესკიზის შესახებ

რესურსი:

- **ხელით და კომპიუტერულ პროგრამებში შესრულებული ესკიზები**
- **დიზაინის ესკიზი**
- **ესკიზის შექმნის პროცესი**
- **კოლაჟი** — ინფორმაცია კოლაჟის შესახებ

აქტივობა 5.

- გაეცანით მოცემულ კოლაჟებს და ერთ-ერთის შექმნის პროცესს, დააკვირდით რა მასალაა გამოყენებული და როგორ გადმოიცემა სხვადასხვა გამოსახულება, ფაქტურა და სხვ.

რესურსი:

- კოლაჟის ნიმუშები
- კოლაჟი, შექმნის პროცესი

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება 14. შექმენი სივრცის, ინტერიერის კოლაჟები ხელით ან ციფრული გრაფიკის გამოყენებით, რომელშიც სხვა სასურველ ეფექტებთან, ფერებთან, ფაქტურებთან და ა.შ. ერთად გამოიყენებ რეალური მასალის ფაქტურის ამსახველ ფოტოებს, გამოსახულებებს, მაგ. ხე, ლითონი, ბეტონი, მინა, ქსოვილი და ა.შ. გაიხსენე რაც გაიგე მხატვრული საშუალებებისა და ხერხების თვისებების შესახებ და გამოიყენე ნამუშევარში (მაგ. ფერების შეხამება, კონტრასტი (მაგ. ფაქტურების — უხეში, გლუვი), კომპოზიცია და ა.შ.). იმსჯელე რა დანიშნულების სივრცე შექმენი, როგორი დიზაინი, რა ფერები, მასალა, ფაქტურა შეარჩიე. რამდენად კომფორტული იქნება აქ ყოფნა, საქმიანობა.

რესურსი:

- **მაკეტი** — ინფორმაცია მაკეტის შესახებ

დავალება 15. გაეცანით არქიტექტურული მაკეტების ნიმუშებს, ბმულს, სადაც მაკეტის შექმნის შესახებ მრავალფეროვანი მასალის დათვალიერება შეგიძლიათ. სცადეთ მარტივი მაკეტის შექმნა.

რესურსი:

- არქიტექტურული მაკეტის ნიმუშები
- როგორ იქმნება მაკეტი (*architectural scale model making tutorials*)

მუსიკა:

1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი
2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები **და საშუალებები**
3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა

აქტივობა 2.

I ეტაპი. დააკვირდით თქვენთვის უკვე ნაცნობ ინტერიერებს. შემდეგ მოუსმინეთ ოთხ მუსიკალურ მაგალითს. როგორ ფიქრობთ, როგორი მუსიკალური ფონი მოუხდებოდა თითოეულ გარემოს. ერთ-ერთ გარემოს არ უხდება არცერთი მუსიკალური ფონი. ამოიცანით რომელია და დატოვეთ ცარიელი უჯრა, დანარჩებში ***ჩაწერეთ სათანადო მუსიკალური მაგალითის ნომერი.***

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

- რა დარგის საწარმო შეიძლება განთავსდეს მეორე სურათზე ასახულ სივრცეში? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - მძიმე მრეწველობა (მაგ. მანქანათმშენებლობა);
  - მსუბუქი მრეწველობა (მაგ. ტექსტილის მრეწველობა);

- როგორ ფიქრობთ, რა ტიპის სამუშოს შეიძლება ეწეოდეს ადამიანი ამ სურათებზე წარმოდგენილ სამუშაო სივრცეებში? ჩასვით მოცემული ცხრილის სათანდო უჯრაში თოლია. შეიძლება ერთ, რომელიმე სივრცეს რამდენიმე ტიპის სამუშაო შეურჩიოთ.

სურათის ნომერი	დინამიური ფიზიკური შრომა	სტატიკური ფიზიკური შრომა	ინტელექტუალური შრომა
1			
2			
3			

- თქვენი აზრით, რომელი სივრცე მოუხდება დინამიურ ფიზიკურ შრომას? დაასახელეთ სურათის ნომერი, რომელიც სამუშაოს ამ ტიპს შეურჩიეთ და ახსენით, რატომ შეურჩიეთ ეს სივრცე.
- როგორ ფიქრობთ, მუსიკის რომელი მახასიათებელია გადამწყვეტი დინამიური ფიზიკური შრომის ეფექტიანობისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ სამუშაო სივრცეს დაუკავშირეთ დინამიური ფიზიკური შრომა? დაასახელეთ სამუშაო სივრცის სურათის ნომერი (იხ. შევსებული ცხრილა)
- რომელი მუსიკალური მაგალითი დაუკავშირეთ ამავე სურათს?
- ამ მუსიკალური მაგალითის მახასიათებლები ემთხვევა თუ არა მახასიათებლებს, რომელიც, თქვენი აზრით, გადამწყვეტია დინამიური შრომის ეფექტიანობისთვის?
- თქვენი აზრით, მუსიკის რომელი მახასიათებლებია გადამწყვეტი მონოტონური სტატიკური შრომის ეფექტიანობისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
- სტატიკური შრომა რომელ სამუშაო სივრცეს დაუკავშირეთ? დაასახელეთ სამუშაო სივრცის ნომერი. (იხ. შევსებული ცხრილა).
- რომელ სივრცეს შეურჩიეთ ეს მუსიკალური მაგალითი?
- ემთხვევა თუ არა ამ მუსიკალური მაგალითის მახასიათებლები იმ მახასიათებლებს, რომელიც, თქვენი აზრით, გადამწყვეტია მონოტონური სტატიკური შრომის ეფექტიანობისთვის?

მრეწველობა და ხელოვნება

- რა დასკვნების გამოტანა შეიძლება თქვენი მსჯელობის შედეგად? ჩაწერეთ მოკლედ დასკვნები სამუშაო სივრცის, სამუშაოს ფორმებსა და მუსიკალურ მახასიათებლებს შორის კავშირების შესახებ.

აქტივობა 3.

მუსიკალური ჟანრების სიმბოლოები

წინა აქტივობაში შევეცადეთ მუსიკა სამუშაო გარემოსა და ტიპებისთვის დაგვეკავშირებინა. მუსიკას, რომელიც სამუშაო გარემოსა და მუშაობის ეფექტიანობისთვის გამოიყენება, **მუსიკალურ დიზაინს** ან **ფუნქციურ მუსიკას** უწოდებენ. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მუსიკა ნამდვილად ზრდის შრომის ხარისხს, თუმცა საჭიროა გათვალისწინება, რომელი მუსიკა რომელ საქმიანობას უწყობს ხელს. გაეცანით **ინფოგრაფიკას**, რომელ საქმიანობას რომელი ჟანრის მუსიკა შეიძლება მოუხდეს. ალბათ, უკვე გქონიათ შეხება გრაფიკებთან მათემატიკაში, გეოგრაფიაში, თუ სამოქალაქო განათლებაში. ალბათ, ზოგ შემთხვევაში გრაფიკების აგებაც მოგიწიათ. ინფოგრაფიკა, სხვა გრაფიკებისგან განსხვავებით, შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ტექსტის, სურათის ან მრავალი სხვადასხვა სიმბოლოს სახით, რომელიც ჩვეულებრივ გრაფიკაში არ გხვდება. ინფოგრაფიკაში წარმოდგენილია ოთხი პროფესია, რომელიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში გხვდება: მშენებელი (პროფესია, რომელიც მრეწველობას მიეკუთვნება), მძღოლი, გამყიდველი (პროფესიები, რომელიც ვაჭრობას მიეკუთვნება) და პროგრამისტი (პროფესია, რომელიც მომსახურეობის სფეროს ეკუთვნის). დააკვირდით ინფოგრაფიკას, თუ რა ჟანრის მუსიკა არის ან არ არის რეკომენდებული კონკრეტული პროფესიებისთვის. გაეცანით ინფოგრაფიკაში წარმოდგენილი მუსიკალური ჟანრების სიმბოლოებს, შემდეგ ამოიკითხეთ ინფორმაცია მუსიკალურ ჟანრებსა და პროფესიებს შორის კავშირების შესახებ. ცალკეული პროფესიისთვის რამდენიმე ჟანრის მუსიკაა მისადაგებული. მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს. თითო მაგალითში არის რამდენიმე ჟანრის მუსიკალური კომპოზიციები გაერთიანებული. ***გამოიცანით მუსიკით,*** რომელი პროფესიისთვის არის ეს მუსიკალური მაგალითები განკუთვნილი.

მრეწველობა და ხელოვნება



უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რეკომენდებულ მუსიკალურ ჟანრებში კლასიკური მუსიკა ნაკლებად რატომ მოიხსენება? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი/პასუხები:
  - კლასიკური მუსიკა არავის უყვარს, ის მოსაწყენია; (ახსენით, რატომ)
  - კლასიკური მუსიკა ზედმეტად იპყრობს ყურადღებას; (ახსენით, რატომ)
  - კლასიკური მუსიკა მუშაობის განწყობას გიკარგავს; (ახსენით, რატომ)
  - სხვა, (მოიფიქრეთ საკუთარი პასუხი);
- თუ მიაქციეთ ყურადღება, პროგრამისტს და ტრაილერის მძღოლს იდენტური რჩევები ეძლევათ, მაგრამ ერთს მძიმე მეტალს ურჩევენ, მეორეს პირიქით, არ ურჩევენ? როგორ ფიქრობთ, რატომ?

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

- პროგრამისტს დამატებით რას ურჩევდით, რომ მის პლეილისტში მძიმე მეტალის ჟანრის მუსიკა აღარ იყოს? ახსენი ამ მუსიკალური ჟანრის მახასიათებლები, რომელიც მისი მუშაობის თავისებურებებს (სპეციფიკას) არ შეეწყობა.
- ***მოისმინეთ*** ორი მუსიკალური ჟანრის მაგალითი. რომელი პროფესიისთვის არ არის რეკომენდებული? რატომ?
- რომელი ნომრით გაჟღერდა ტრაილერის მძღოლისთვის რეკომენდებული მუსიკალური ჟანრების მაგალითები?
- თქვენი აზრით, ამ ჟანრებიდან რომელია ყველაზე მსუბუქი? რატომ ფიქრობთ ასე?

აღწერეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს მსუბუქი მუსიკა.

- რომელი ჟანრის მუსიკას უხდება დახასიათება: „გარემოს, განწყობის შემქმნელი ფონური მუსიკა, რომელსაც მკაფიო რიტმი თუ მელოდიური ხაზი არ გააჩნია. სწორედ ამიტომ ნაკლებად იპყრობს ყურადღებას. საინტერესო ჰარმონიები, უჩვეულო ჟღერადობა, რომელიც სინთეზური ელექტრონული ბგერების ან სამყაროში არსებული რეალური ხმების გამოყენებით მიიღწევა, განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის, რომელიც შინაგან დაძაბულობას ხსნის და ჭვრეტითი ხასიათის განწყობას გვიქმნის.“
- ამ ჟანრის მუსიკა რომელი პროფესიებისთვის არ არის რეკომენდებული და რატომ?

აქტივობა 4.

როგორც ხედავთ, კლასიკურ მუსიკას, ან როგორც ახლა ამბობენ, აკადემიურ მუსიკას, დინამიური ფიზიკური სამუშაოთი დაკავებულ პირებს არ ურჩევენ. რა თქმა უნდა, ეს განპირობებულია მხოლოდ სამუშოს სპეციფიკით და არა პირადი გემოვნებით. აკადემიური მუსიკა ყველა პროფესიის წარმომადგენლისთვის რეკომენდებულია, მაგრამ საკუთარი ესთეტიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და არა სამუშაოს ფონისთვის. აკადემიური მუსიკა სტატიკური ფიზიკური თუ ინტელექტუალური სამუშოებისთვის უფრო გამოდგება. გაეცანით ფონურ მუსიკასთან დაკავშირებით სტატიკური ფიზიკური თუ ინტელექტუალური სამუშაოთი დაკავებულ ადამიანების გამონათქვამებს. შემდეგ მოუსმინეთ სამ მუსიკალურ მაგალითს, აკადემიური მუსიკის ნიმუშებს. მიუსადაგეთ ნიმუშები თითოეულ გამონათქვამს და გამოავლინეთ მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც ფონური მუსიკისთვის საერთოდ არ გამოდგება. დააკავშირეთ თითოეული რესპონდენტის ნომერი სათანადო მუსიკალური მაგალითის ნომერს.

მრეწველობა და ხელოვნება

1 2 3 4

1

ზექა
ელექტრო-აპარატურის ამწყობი

ზოგადად, მუშაობის დროს ვუსმენ მშვიდ მუსიკას, რომელიც ძალიან ლამაზი მელოდიით გამოირჩევა. ასეთი მუსიკა განსაკუთრებულ სიმსუბუქეს მძენს და ყურადღების კონცენტრირებაში მეხმარება

2

სალომე
დამხარისხებელი

ჩემი საქმიანობა საკმაოდ მონოტონურია. ამ შემთხვევაში ენერგიული, ოპტიმიზმით სავსე მუსიკა ჩემს სამუშაოს უფრო ცოცხალს და მრავალფეროვანს ხდის

3

ირინა
ანალიტიკოსი

ჩემი სამსახური ბევრი ინფორმაციის დამახსოვრებას, კვლევას და დაგეგმვას უკავშირდება. ასეთი სამუშაოს დროს წყნარი, მაგრამ არა მომადუნებელი, მკაფიო, მაგრამ არა მძაფრი რიტმის მუსიკა მოუხდებოდა

უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი მუსიკალური მაგალითი გამოირჩევა ამაღლებული, ზეცისკენ მსწრაფი მელოდიით?
2. შეგიძლიათ ეს მელოდია სანოტო მაგალითებში ამოიცნოთ?





- **იოლად ამოიცანით სანოტო გამოსახულება?**

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

3. რამდენად ადვილად ამოიცანთ სანოტო გამოსახულება?
4. ეს მუსიკალური მაგალითი რომელი პროფესიის ადამიანს დაუკავშირეთ და რატომ?
5. რომელი მუსიკალური ტერმინი უკავშირდება ამ მაგალითს? შემოხაზეთ პასუხი, რომელიც სწორად მიგაჩნიათ?

   ▲ Andante; ▲ Tranquillo; ▲ Adagio;
6. ყველაზე მელოდიურად რომელი მუსიკალური მაგალითი მოგეჩვენათ?
7. რით მოგხიბლათ ამ მელოდიამ?
8. რომელი პროფესიის ადამიანს დაუკავშირეთ ეს მუსიკალური მაგალითი, თუ საერთოდ არცერთს დაუკავშირეთ? ახსენით, რატომ.
9. როგორ აღწერდით მუსიკას, რომელიც, თქვენი აზრით, საერთოდ არ გამოდგება ფონური მუსიკისთვის? ჩაწერეთ რამდენიმე წინადადება. ახსენით, რატომ არ გამოდგება ფონური მუსიკისთვის.

10. ამ ოთხი მაგალითიდან სამს მოუსმინეთ. მათგან რომელში წარმოდგენილი ნაწარმოები დაიწერა ყველაზე ადრე და რომელშია ყველაზე გვიანდელი ქმნილება? შემოხაზეთ პასუხი, რომელშიც, თქვენი აზრით, ჩამონათვალი იმ მუსიკალური მაგალითის ნომრით იწყება, რომელშიც ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია წარმოდგენილი და სრულდება იმ მაგალითით, რომელშიც ყველაზე გვიანდელი ნაწარმოებია.

გახსენით ბმული

ა) მაგალითი 2; მაგალითი 1; მაგალითი 3	ბ) მაგალითი 3; მაგალითი 1; მაგალითი 2
გ) მაგალითი 2; მაგალითი 3; მაგალითი 1	დ) მაგალითი 3; მაგალითი 2; მაგალითი 1

11. რატომ შეარჩიეთ ასეთი პასუხი?

მრეწველობა და ხელოვნება

1 2 დაალაგეთ თანმიმდევრობით: **კლასიციზმი, ბაროკო, რომანტიზმი.** თქვენი პასუხიდან გამომდინარე, რომელია ბაროკოს ხანის მუსიკის მახასიათებლები? აღნიშნეთ √ ბაროკოს ეპოქის მუსიკის აღმწერი ტექსტი.

ა.
- ემოციური წონასწორობა (ემოციურ დაძაბულობას მოყვება განმუხტვა; სევდას მოყვება სიხარულის გამონათება);
- მკაფიო, ცხადი და კეთილხმოვანი ჰარმონია;
- კარგად გამოკვეთილი და მღერადი მელოდია;

ბ.
- **დინამიკი** — ფართო დიაპაზონის გამოყენება (ძალიან ჩუმიდან, ძალიან ხმამაღალ ჟღერადობამდე);
- რეგისტრის ფართო დიაპაზონი (ძალიან დაბალი რეგისტრის ბგერებიდან უმაღლესი რეგისტრის ბგერებამდე);
- ფართო სუთქვის, გაშლილი, რთულად სამღერი მელოდია;
- დისონანსური, დაძაბული ჰარმონია;
- დიდი შემადგენლობის ორკესტრი;

გ.
- გადამეტებული ემოციურობა;
- ვირტუოზულობა (მუსიკის მახასიათებელი, რომელიც შემსრულებლისგან ინსტრუმენტის მაღალი ოსტატობით ფლობას გულისხმობს);
- კონჩერტატო (სტილი, რომელიც ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტთა ჯგუფს შორის შეჯიბრს გულისხმობს);
- რთული მუსიკალური ორნამენტებით, ძნელად სამღერი მელოდია;

უპასუხეთ კითხვებს:

- ბაროკოს ეპოქის მუსიკის რამდენი მახასიათებელია მაგალითში მოყვანილი?
- ეს მახასიათებლები აქ მოყვანილ, რომელი ეპოქის მუსიკის მახასიათებლებს გავს? ეს ეპოქები რა ლიტერათი არის აღნიშნული?
- რომელი ეპოქის მუსიკის ყველაზე ნაკლები რაოდენობის მახასიათებელია მოყვანილი?
- ამ ეპოქის მუსიკის რაიმე მახასიათებელი თუ გავს დანარჩენი ეპოქების რომელიმე მახასიათებელს?
- რაიმე მახასიათებელს ხომ არ დაუმატებდით ამ ეპოქის მუსიკას?

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება 3. უკვე გავეცანით, რომ ეფექტიანი მუსიკალური ფონის შერჩევისას საჭიროა სამუშაოს ტიპის, მუსიკალური მიმართულების, თუ ჟანრის, ეპოქის გათვალისწინება. მაგრამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა აუცილებლად გასათვალისწინებელი. ჩვენ მუსიკის სხვადასხვა მახასიათებელს ზოგადად სამუშაოს ტიპს ვუკავშირებდით, თუმცა არ ვითვალისწინებდით იმას, რომ სამუშაო დღის სხვადასხვა მონაკვეთში ადამიანი სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობაში იმყოფება. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, საჭიროა დღის გარკვეული მონაკვეთისთვის შესაბამისი მუსიკალური ნაწარმოებების შერჩევა. კვლევების თანახმად, სამუშაო დღისთვის სწორად შერჩეული მუსიკალური პროგრამა მუშაობის ეფექტიანობას საგრძნობლად ზრდის. მაშინ როდესაც სპონტანურად შედგენილი მუსიკალური პროგრამა მუშაობის პროდუქტიულობაზე პირიქით, უარყოფითად მოქმედებს ან უკეთეს შემთხვევაში ზეგავლენას ვერ ახდენს. გთავაზობთ გარკვეული საწარმოსთვის სამუშაო დღის მუსიკალური პროგრამის შედგენას. პროგრამის შედგენის პროცესი ორ ნაწილად დავყოთ.

➡️ **I ნაწილის პირობა:**

თქვენს წინაშეა სამუშაო დღის მონაკვეთების საათობრივი ცხრილი. დამკვირვებლების თანახმად, ამ საათებში მუშაკების ემოციური და ფიზიკური მდგომარეობა იცვლება. ცვლილებები ლიტერებით აღნიშნულ მოკლე ტექსტებშია აღწერილი. აქვე, ემოციური მდგომარეობისთვის შესაფერისი მუსიკალური ნაწარმოებების მახასიათებლებია მითითებული. თქვენი ვარაუდით, რომელი აღწერა სამუშაო დღის რომელ მონაკვეთს უკავშირდება? ჩასვით ცხრილის სათანადო უჯრაში ემოციური მდგომარეობის აღმწერი ტექსტის ლიტერა. **მიაქციეთ ყურადღება**, რომ მუსიკალური კომპოზიციების აღმწერი ტექსტების რაოდენობა ნაკლებია ცხრილში მოცემულ სამუშაო დღის მონაკვეთების რაოდენობაზე. ამიტომაც რომელიმე ტექსტის ლიტერის ორჯერ გამოყენება მოგიწევთ.

სამუშაო	სამუშაოს დღის მონაკვეთი	ემოუციური მგდომარეობისა და შესაფერისი მუსიკალური კომპოზიციების მახასიათებლების აღმწერი ტექსტის ლიტერა	მუსიკალური კომპოზიციების ნომრები
ძრავების ამწყობი	8.50–9.00 სამუშაო დღის დაწყებამდე		
	9.00–9.10		
	12.10–12.20		
	13.00–13.20 და 13.55–14.10		
	14.55–15.05		
	16.–16.15 და 16.45–17.00		
	17.45–18.00		

➡️

მრეწველობა და ხელოვნება

ა

დღის ამ მონაკვეთში მუშაკში შეიმჩნევა ემოციური ტონუსის დაწევა, რაც დაღლილობის პირველი ნიშნებით გამოწვეულია. ამ მდგომარეობას მოუხდება დამაწყნარებელი მუსიკა მკაფიო რიტმით, რომელიც მუშაობის ტემპის დაგდებას ისახავს მიზნად.

ბ

მშვიდი, განყენებული მელოდიების მქონე მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც მუშაკის გამხნევებას და ფიზიკურად მოდუნებას ისახავს მიზნად. ამ შემთხვევაში უპრიანია პოპულარული სიმღერების შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რიტმი ზედმიწევნით მძაფრი და ენერგიული არ იყოს.

გ

ამ მონაკვეთში, მუშაკების საბოლოოდ გამოსაფხიზლებლად სასურველია ზედმიწევნით ენერგიული მარშისებური ან საცეკვაო რიტმის, მაჟორულად ჰარმონიული მუსიკა.

დ

ტონუსის მომცემი, ენერგიული, მოძრავი, მოტივაციის ასამაღლებელი მუსიკა. აქ პოპულარული სიმღერების საორკესტრო ვერსიები მოუხდება.

ე

ტონუსის მომცემი, ენერგიული, მოძრავი, მოტივაციის ასამაღლებელი მუსიკა. აქ ოპტიმისტური ხასიათის კლასიკური მუსიკის ნიმუშები გამოდგება.

ვ

დაძაბულობისა და მოქანცულობის მოსახსნელად მშვიდი რიტმული მუსიკა. ამ შემთხვევაში თავშეკავებული რიტმის, ნათელი მელოდიით და კეთილხმოვანი ჰარმონიით სმუთ ჯაზი გამოდგება.

- რამდენი ხანი გრძელდება სამუშაო დღის თითოეული მონაკვეთის ფონური მუსიკა?
- სამუშაო დღის განმავლობაში დროის რა მონაკვეთში ირთვება მუსიკა?
- რომელი ტიპის სამუშაოს მიეკუთვნება ამ ცხრილში ნახსენები სამუშაო?
- ამ ტიპის სამუშაოსთვის რა მიმართულების მუსიკაა ყველაზე ხელსაყრელი?
- მსგავსი მახასიათებლების მუსიკა სამუშაო დღის რომელ მონაკვეთებს უხდება? მიუთითეთ ამ მონაკვეთების დრო;
- თქვენი აზრით, მუშაკებს მოტივირება და ძალების მოკრეფა ყველაზე მეტად, სამუშაო დღის რა მონაკვეთში სჭირდებათ? მიუთითეთ ამ მონაკვეთების დრო;
- რა ხდება 13.00–14.00 დროის მონაკვეთში?
- თქვენი აზრით, დროის ამ მონაკვეთისთვის განკუთვნილი მუსიკა რომელ ტექსტშია აღწერილი? წაიკითხეთ ტექსტი;
- სამუშაო დღის ბოლოსთვის რომელი ტექსტი შეარჩიეთ? თქვენი სიტყვებით გადმოეცით ამ ტექსტის შინაარსი;
- თქვენი აზრით, სამუშაოს დღის რომელ მონაკვეთში უნდა გაჟღერდეს ოპტიმისტური ხასიათის კლასიკური მუსიკა და რატომ?

მრეწველობა და ხელოვნება

➡️ **II ნაწილის პირობა:**

მოუსმინეთ შვიდ მუსიკალურ კომპოზიციას და დაუკავშირეთ თითოეული მათგანი სამუშაო დღის სათანადო მონაკვეთებს. ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითის ნომერი ცხრილის სათანადო უჯრაში.

დავალება.

ა) თავად შეურჩიეთ დინამიური, სტატიკური და ინტელექტუალური შრომის ტიპებისთვის მუსიკალური ფონი და წარუდგინონ აუდიტორიას. ახსნან, რა მახასიათებლების მიხედვით შეარჩიეს მუსიკალური კომპოზიციები.

ბ) გარკვეული საწარმოსთვის ცხრილის მიხედვით შეადგინეთ მუსიკალური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამუშაოს ტიპი და სამუშაო დღის მონაკვეთი. შეავსეთ ცხრილი და მუსიკალური პროგრამა წარუდგინეთ კლასს.

სამუშაოს ტიპი	სამუშაოს დღის მონაკვეთი	მუსიკალური კომპოზიციების ნომრები	თითეული მონაკვეთის მუსიკალური ფონის დახასიათება
	8.50–9.00 სამუშაო დღის დაწყებამდე		
	9.00–9.10 მუშაობაში ჩაბმა		
	12.10–12.20 და 13.00–13.20		
	13.55–14.10		
	14.55–15.05		
	16.–16.15 და 16.45–17.00		

- **საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება და ამ საწარმოს ესკიზის, მაკეტის შექმნა ხელოვნების მხატვრული საშუალებების, ხერხების და ტექნიკის გამოყენებით.**

პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა (ნაწილი პირველი):

მოიფიქრე რაიმე საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას. სასურველი **ტექნიკით (ხატვა, კოლაჟი, კონსტრუირება, მოდელირება, კომპ. ტექნოლოგიები)** შექმენი ამ საწარმოს ესკიზი, მაკეტი (ექსტერიერი, ინტერიერი), შეადგინე სამუშაო დღისთვის მუსიკალური პროგრამა.

III ეტაპი. პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინის, მუსიკალური ლოგოსა და მუსიკალური ფონის შექმნა.

მრეწველობა და ხელოვნება

ვიზუალური ხელოვნება:

1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა
2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები
3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი ფორმა და დანიშნულება
4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნება

◆ დიზაინის ნიმუშები და სახეობები

აქტივობა 1.

გაეცანით ქვემოთ, ბმულებში მოცემული სხვადასხვა პროდუქციის (ტანისამოსის, საკვების, ავეჯის და სხვ.) დიზაინის და შეფუთვის ნიმუშებს.

იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- ნივთის რეალიზაციისთვის აქვს თუ არა მნიშვნელობა დიზაინს, შეფუთვას?
- რისი დიზაინი, შეფუთვა მოგწონთ, ან არ მოგწონთ და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. ისაუბრეთ დიზაინის და დანიშნულების შესაბამისობაზე, ფორმაზე, ფერზე და სხვ.
- იმსჯელეთ, რა შეიძლება გახდეს დიზაინერის შთაგონების წყარო, საიდან იღებს იდეებს/ფორმას/ფერს/ფაქტურას და სხვ. ერთ-ერთი (პასუხი შეიძლება იყოს გარემო, გარემოში დანახული ფორმები, ფერები, ფაქტურები, შეიძლება მიამსგავსოს ცხოველს, ფრინველს, მცენარეს და სხვ.)
- კიდევ რა ხერხებს იყენებენ მწარმოებლები პროდუქციის რეალიზაციისთვის? მოიყვანეთ მაგალითები.

დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ნამუშევრებს და უპასუხე კითხვებს:

- შენი აზრით, რა დანიშნულებით იქმნება პლაკატი, პოსტერი?
- ნაწარმის რეალიზაციისთვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნია სარეკლამო პლაკატის ან პოსტერის შექმნა? დაასაბუთე შენი პასუხი
- თუ გახსენდება რომელიმე პლაკატი ან პოსტერი, რომელმაც დაგაინტერესა? რით იყო გამორჩეული?

მრეწველობა და ხელოვნება

ქვემოთ მოცემული ნიმუშებიდან რომელია სააგიტაციო და რომელი სარეკლამო პლაკატი? მიუწერეთ ლიტერა „ა“ სააგიტაციოს, ხოლო ლიტერა „რ“ სარეკლამოს.

იმსჯელე რა პრინციპით მიუსადაგე?

- რით განსხვავდება სააგიტაციო და სარეკლამო პოსტერები?
- პოსტერში/პლაკატში ტექსტი როგორი უნდა იყოს, რომ მნახველი მიიზიდოს, ყურადღება მიიქციოს, ინტერესი აღძრას?
- როგორ ფიქრობ ტექსტს უფრო დიდი ყურადღება ექცევა თუ გამოსახულებას? დაასაბუთე პასუხი.

დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ნამუშევრებს და უპასუხე კითხვებს:

- შენი აზრით, რა საერთო მახასიათებლები აქვს ზემოთ მოცემულ პლაკატებს?
- რა განწყობას გიქმნის ნამუშევარში გადმოცემული ფერები?
- შეგიძლია ტექსტის გააზრების გარეშე მიხვდე რა თემას ეხება პოსტერები?
- როგორ ფიქრობ, მხატვარმა მხოლოდ ორი ფერის საშუალებით როგორ გადმოსცა განწყობა?
- ავტორმა მინიმალისტური დეტალებით ან დეტალების სიუხვით როგორ გადმოსცა სათქმელი? მოახერხა სათქმელის გადმოცემა?
- რამდენად ინფორმაციულია ნამუშევარი შენთვის?
- ნამუშევარში რამდენად და რომელი მხატვრულ გამომსახველობითი ხერხებით და საშუალებებით არის გადმოცემული მოცულობა, სივრცე მოცულობით ფორმები?

მრეწველობა და ხელოვნება

ეს საინტერესოა:

უძველესი სარეკლამო პოსტერის ნიმუში არქეოლოგებმა ეგვიპტეში იპოვნეს. ჩვ.წ.აღ 3000 წლით თარიღდება, ტექსტში მოთხრობილი ამბის თანხმად, მეპატრონე მონას ეძებს და მპოვნელს ოქროთი დასაჩუქრებას ჰპირდება.



სურათი IV. *პირველი ქართული ბეჭდური სარეკლამო პოსტერი 1861 წელს გამოჩნდა გაზეთში. რეკლამა „ გუთნის-დედა“ გუთანს აღწერდა და ანოტაციას ფლამანდიური ძროხის გამოსახულებაც ერთვოდა.*

მრეწველობა და ხელოვნება

დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სარეკლამო პოსტერებს და შეავსე ცხრილი, რა საერთო აქვს ამ ფოტოებს? ცხრილს ქულები მიუსადაგე (1 დან 5 ქულამდე)

ტექსტი	
გამოსახულება	
კონტრასტული ფერები	
ლოკალური ფერები	
ფერთა გრადაციებით გადმოცემული მოცულობა	
სიმეტრიული კომპოზიცია	
სტატიური კომპოზიცია	
დინამიკა	
ტექსტის და გამოსახულების შერწყმა	
ყველასთვის გასაგებად, მარტივი მხატვრული ხერხებით გადმოცემული იდეა	
შრიფტის მრავალსახეობა	

მრეწველობა და ხელოვნება

დააკვირდი მოცემულ პოსტერს და უპასუხე კითხვებს:

- რა ტიპის პოსტერია (სარეკლამო, სააგიტაციო)
- რა იდეას ემსახურება?
- რამდენად მიესადაგება დღევანდელ თანამედროვე ცხოვრებას?
- რა მხატვრული ხერხების გამოყენებით გადმოსცა მხატვარმა პოსტერის იდეა (ფერი, ფორმა, გამოსახულების და ფონის ურთიერთობა,)? დაასაბუთე პასუხი.

დავალება:

შექმენი სარეკლამო პოსტერი/პლაკატი რომლითაც რომელიმე ნაწერს გაუწევ პოპულარიზაციას.

დააკვირდი ფოტოებს და უპასუხე კითხვებს:

- აირჩევდი ნაწარმს ეტიკეტის მიხედვით?
- რომელი უფრო მოგწონს და რატომ?
- როგორი სახის წარწერა უნდა ჰქონდეს ეტიკეტს?
- რომელი მხატვრულ — გამომსახველობითი ხერხებით და ელემენტების გამოყენებით იქნება ეტიკეტი?
- რომელი დარგის ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს?
- თუ გახსენდება ცნობილი ნაწარმის ეტიკეტი? რომელი?
- ეტიკეტის შექმნის დროს მნიშვნელოვანი რა არის? შეავსე ცხრილი (1დან 3 ქულა მიუსადაგე)

იდეა	
ტექსტი	
გამოსახულება	
ფერი	
კომპოზიციური განაწილება	
ტექნიკა და მასალა	

მრეწველობა და ხელოვნება

ეს საინტერესოა:

ენდი უორჰოლი პირველი მხატვარი იყო, რომელმაც აღიარა ტრაფარეტული ბეჭდვის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ადრე მხოლოდ სამრეწველო შეფუთვებზე გამოიყენებოდა.

უორჰოლი ყველაზე უკეთ ცნობილია მისი სავაჭრო პროდუქტების შეფუთვების გაფორმებით, ყოველდღიური ობიექტების, როგორიცაა კემპბელის სუპის ქილების, ყაყაჩოს ყვავილების გამოსახულებებით და ბანანით.

დააკვირდი ქვემოთ მოცემულ პოპ-არტის ნამუშევრებს, რომლებიც ეტიკეტების გამოყენებით არის შექმნილი და უპასუხე კითხვებს:

- რა საერთო აქვს ამ ნამუშევრებს?
- როგორია მათი კომპოზიცია?
- როგორი ფერებია გამოყენებული?
- რამდენად მარტივად გადმოცემული იდეაა?
- რომელი უფრო მოგწონს და რატომ?

მრეწველობა და ხელოვნება

დავალება:

დახატე ბოთლი და ეტიკეტი, სადაც მკაფიოდ გამოკვეთ იდეას. ნამუშევრის შექმნისას გამოიყენე სასურველი ტექნიკა და მხატვრულ გამომსახველობითი ხერხები და ელემენტები.

დავალება 4. (*დამატებითი*). მოიძიეთ რაიმე პროდუქტის შეფუთვის დიზაინის, თქვენი აზრით ერთი (ან რამდენიმე) ცუდი და ერთი კარგი ნიმუში და წარადგინეთ მათი ანალიზი. იმსჯელეთ, რა ნიშნით შეარჩიეთ კარგი და ცუდი ნიმუშები, რატომ თვლით ასე? რა გამომსახველობითი ხერხები და საშუალებებია გამოყენებული, რა მოგწონთ, რა არა და რას შეცვლიდით?

რესურსი:

- მარკეტინგული კომუნიაციები, წიგნი 1 — რეკლამის ისტორია, ილია ფერაძე (ავტორი):
- dspace.nplg.gov.ge
- მარკეტინგული კომუნიაციები, წიგნი 1 — რეკლამის ისტორია, ილია ფერაძე (ავტორი)

მომხმარებლის ფსიქოლოგია და მუსიკა

მუსიკა:

1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი
2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები
3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა

აქტივობა 3.

სხვადასხვა მუსიკალური რეკლამის მოსმენა და მათი ფორმის (ჯინგლი, მუსიკალური ფონი, ხმოვანი ლოგო) ამოცნობა. ამ ფორმების თავისებურებებზე მსჯელობა:

გახსენით ბმული

1. რა საერთო აქვთ ამ მუსიკალური რეკლამების ფორმებს?
2. რით განსხვავდებიან მუსიკალური რეკლამების ფორმები?
3. რა მუსიკალურ მახასიათებლებს გამოყოფდით?

სტუდენტების აზრით, რომელი ფორმა უფრო მოქმედებს მომხმარებელზე?

1. რომელი მუსიკალური რეკლამა უფრო მეტი მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს?
2. თქვენთვის ყველაზე საინტერესო ნაწარმს რა ფორმის მუსიკალურ რეკლამას შეურჩევდით?

მრეწველობა და ხელოვნება

მომხმარებლის ფსიქოლოგია და მუსიკა

ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ვაჭრობაა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ნაწარმის ***ბრენდინგს*** *ენიჭება. სიტყვა „**ბრენდი**“ ნაწარმისადმი მომხამარებლის დამოკიდებულებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე,* ***ბრენდინგი, სამარკეტინგო მხარდაჭერა****, მომხმარებელში ნაწარმისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს. მაშასადამე მომხმარებლის სურვილს, შეიძინოს ნაწარმი, სწორედ ბრენდინგი განსაზღვრავს. ნაწარმის ბრენდინგი ნამდვილი ხელოვნებაა, რომელსაც რეკლამის ტექნოლოგები შეისწავლიან. ბრენდინგის დროს უამრავ ხერხს იყენებენ, რათა მომხმარებელში ნაწარმის შეძენის სურვილი აღძრან. ბრენდინგი ნაწარმის აღსაქმელად ადამიანის ყველა გრძნობის ორგანოზე პირდაპირ ზემოქმედებს, მათ შორის, სმენაზეც. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ხმა ან ხმის ეფექტი გამოიყენება. ხოლო მუსიკა ადამიანის ემოციასა და განწყობაზე მოქმედებს. სწორად აგებული ბრენდინგი ყველა კომპონენტის (ვიზუალური (ხილული) თუ სმენითი) შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. ამისთვის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებაა საჭირო. კონცეფცია — კონკრეტული იდეის გადმომცემი საშუალებების ერთიანი სისტემაა. რას უნდა ეფუძნებოდეს იდეა? რა თქმა უნდა, იმას, რასაც წარმოადგენს ნაწარმი და რითაც შეიძლება მომხმარებელი დააინტერესოს. გაეცანით რამდენიმე ცნობილი ნაწარმის ბრენდინგის კონცეფციას და დაუკავშირეთ თქვენი ნავარაუდევი მუსიკალური კომპონენტი. ბრენდინგის მუსიკალურ კომპონენტს* ***ბრენდინგის ხმოვან ინსტრუმენტსაც*** *უწოდებენ. კონცეფციის აღმწერი ტექსტის ცარიელ უჯრაში მუსიკალური მაგალითის ნომერი ჩაწერეთ.*

Intel-ი მიკროპროცესორების და სამრეწველო თუ ქსელური აღჭურვილობისთვის ნახევარგამტარი კომპონენტების მწარმოებელი კომპანიაა. ინტელის ხმოვანი ლოგოს შემადგენელი ოთხი ნოტი ადვილად დასამახსოვრებელია და აუდიოლოგიის ქრესტომატიულ მაგალითად იქცა: ისინი ევროპელის ყურისთვის ნაცნობი ორი აღმავალი ინტერვალის თანმიმდევრობას წარმოადგენენ — სუფთა კვარტა და კვინტა. ეს თანმიმდევრობა მრავალ ხალხურ მელოდიაში ისმის, რაც მომხმარებელში კომპანიის ნაწარმისადმი ნდობას აღძრავს.

Lenor კომპანია P&G -ის სარეცხი საშუალების ბრენდი. ტექსტური სარეკლამო მახასიათებლის მიხედვით, „ლენორით“ დამუშავებული თეთრეული განსაკუთრებული სირბილით და ტაქტილური კონტაქტით მომხმარებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მუსიკალური ფონი აქტიურად უჭერს მხარს პროდუქტის მთავარ სარეკლამო იმიჯს, რასაც ხელს უწყობს ფორტეპიანოს ტემბრი, მაღალი რეგისტრი, რბილი ცვალებადი განმეორებითი ინტონაციები, რომელიც მთავარი ტონების შემომღერებაზე და მელოდიაში ტერცია-კვინტურ სვლებს ეფუძნება.

BMW მანქანების, ძრავების, მოტოციკლეტებისა და ველოსიპედების გერმანული მწარმოებელი. ამ სავაჭრო მარკის მსუბუქი მანქანების ხმოვანი ლოგო ხაზს უსვამს მათ სისწრაფეს და მოქნილობას მუსიკალურ მოტივში მაღალი რეგისტრიდან დაბალ რეგისტრში დაღმავალი სვლა და ელექტრონული ბგერებით მიღწეული ქარის სტვენის მსგავსი ეფექტები ბაძავს მანქანის ძრავის ხმას, რომელმაც თითქოსდა ელვისებური სისწრაფით გვერდზე ჩაგვიქროლა. ეს ეფექტი მომხმარებელში სრული თავისუფლებისკენ სწრაფვის და კოსმოსური მაღალი ტექნოლოგიების ასოციაციას ჰბადებს.

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, ყველაზე კარგად ბრენდინგის კონცეფციას რომელი ხმოვანი ინსტრუმენტი გადმოსცემს? ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითების ნომრები ცხრილის სათანადო უჯრაში.

ყველაზე ნაკლებად წარმოჩნდა ბრენდინგის კონცეფცია	ყველაზე მკაფიოდ წარმოჩნდა ბრენდინგის კონცეფცია

- ყველაზე საინტერესოდ რომელი ბრენდინგის ხმოვანი ინსტრუმენტი მოგეჩვენათ?
- ყველაზე გრძელი რომელი მუსიკალური მაგალითი იყო?
- რომელი ხმოვანი ინსტრუმენტის სანოტო გამოსახულებაა?



- ახსენით, ამ სანოტო გამოსახულებაში როგორ ამოიცანით ხმოვანი ინსტრუმენტი?
- როგორ ფიქრობთ, ამ სამი მუსიკალური მაგალითიდან რომელი არ არის ხმოვანი ლოგო? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 4.

I ნაწილი. როგორც შევიტყვეთ, ბრენდინგის ყველა ინსტრუმენტი ერთიანი კონცეფციის წარმოჩენას ემსახურება. შეძლებთ ბრენდინგის სხვა ინსტრუმენტის (კერძოდ, ვიდეო რგოლის) მიხედვით მისი კონცეფციის ამოცნობას და შედეგად ხმოვანი ინსტრუმენტის შერჩევას? ნახეთ ხმის გარეშე სამი ვიდეო რეკლამა, რომელშიც სხვადასხვა ბრენდია წარმოდგენილი. ამ ვიდეო რეკლამებზე დაფუძნებით, ბრენდინგის კონცეფციის თქვენებური ინტერპრეტაცია წერილობით წარმოადგინეთ. რამდენიმე წინადადებით ჩაწერეთ ვიდეო მაგალითების კადრების ქვემოთ მოცემულ ცარიელ სივრცეში. ***გახსენით ბმული***

შოკოლადის მწარმოებელი "Lindt"-ი

გერმანული საავტომობილო კომპანია "audi"-ი

ბრენდინგის კონცეფცია:

ბრენდინგის კონცეფცია:

მრეწველობა და ხელოვნება

სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი გერმანული კომპანია "adidas"–ი

ბრენდინგის კონცეფცია:

უპასუხეთ კითხვებს, რომელიც კონცეფციის საკუთარი ინტერპრეტაციის სასარგებლო არგუმენტირებაში დაგეხმარებათ

- ნაწარმის მახასიათებლებზე რომელ სარეკლამო რგოლში საერთოდ არ არის გამახვილებული ყურადღება?
- რეკლამის ავტორები ნაწარმის მიმართ მომხმარებლის დადებითი განწყობის შექმნას როგორ ცდილობენ?
- რეკლამის შემქმნელების აზრით, კომპანიის მიერ წარმოებულ შოკოლადს რა ხდის განსაკუთრებულს?
- ამ რეკლამაში ამდენ ხალხს რატომ აჩვენებენ?
- ეს რეკლამა გიჩენთ მათი წარმოებული შოკოლადის შეძენის სურვილს? რეკლამის შემქმნელები რა ხერხებით აღწევენ შედეგს?
- როგორ ფიქრობთ, ამ რეკლამაში წარმოდგენილი ბრენდინგის კონცეფციას რა მიმართულების მუსიკა მოუხდებოდა? ახსენით, რატომ?
- რომელ სარეკლამო რგოლს დაუკავშირებდით შემდეგ სიტყვებს: სიზუსტე, დრეკადობა, სანდოობა?
- ამ სარეკლამო რგოლს რა მიმართულების მუსიკა მოუხდებოდა? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე?

სწავლა–სწავლებაზე ორიენტირებული კითხვები:

- დაისვა თუ არა კითხვები დეტალებზე, რომელთა მიმართ, კონცეფციის დაწერისას ყურადღება არ მიგიქცევიათ? თუ კი, დაასახელეთ დეტალები.
- ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, შეასწორეთ თუ არა თქვენი ინტერპრეტაციები? რა შეასწორეთ? გაუზიარეთ კლასს.

მრეწველობა და ხელოვნება

➡️ **II ნაწილი.**

მოუსმინეთ ოთხ მუსიკალურ მაგალითს. თქვენი ვარაუდით, მათგან სამი მიუსადაგეთ სარეკლამო რგოლებს. ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითების ნომრები სარეკლამო რგოლის ცარიელ უჯრაში.

ვიდრე შესრულებულ დავალებას წარმოადგენდეთ, უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ მუსიკალურ მაგალითებს მიუსადაგებდით აქ მოცემულ სიტყვებს? ჩაწერეთ ყოველი სიტყვის ნომერი ცხრილის სათანადო უჯრაში. შეიძლება ერთი სიტყვა რამდენიმე მუსიკალურ მაგალითს მიუსადაგოთ.

მუსიკალური მაგალითი N1	მუსიკალური მაგალითი N2	მუსიკალური მაგალითი N3	მუსიკალური მაგალითი N4
9. სწრაფვა; 10. სიხარული; 11. თავისუფლება; 12. მწუხარება;	5. სიზუსტე; 6. მოქნილობა; 7. მღელვარება; 8. სიმშვიდე;	1. ერთობა; 2. სილაღე; 3. სიმარტოვე; 4. სიმსუბუქე;	

- მუსიკალურ მაგალითში (რომელსაც სიტყვა მიუსადაგეთ) მუსიკალური ენის რომელ ელემენტში გადმოიცემა მწუხარება ყველაზე მკაფიოდ? შემოხაზეთ სათანადო მუსიკალური ენის ელემენტი.

• ბგერა; • რიტმი;	• მელოდია; • ჰარმონია.

- ამ გამომსახველობითი ხერხებით როგორ გადმოიცემა მწუხარება? შეეცადეთ აღწეროთ მუსიკალური ენის ელემენტი, რომელიც აირჩიეთ. შეგიძლიათ რამდენიმე ელემენტი აირჩიოთ.
- როგორ ფიქრობთ, რომელ სიტყვებს მიესადაგება შემდეგი აღწერები? თითოეული აღწერა ცარიელ ოთხკუთხედში. ჩაწერეთ სიტყვის ნომერი

  ა) „დაბალ რეგისტრში, ჩელოთი გაჟღერებული გრძელი ბგერების ფონზე ისმის ვიოლინოს, დაღმავალი ოხვრის მსგავსი მუსიკალური ინტონაციები“.

  ბ) „სწრაფი, პულსირებული რიტმის თანხლებით ისმის გაშლილი, ფართო სუნთქვის ოპტიმისტური მელოდია“.

  გ) „ფორტეპიანოზე დაკრული მსუბუქი მელოდია, საცეკვაო რიტმში“.

➡️

მრეწველობა და ხელოვნება

- რომელ მუსიკალურ მაგალითს დაუკავშირებდით ამ აღწერებს? სამკუთხედებში ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითის ნომერი.
- მეოთხე მუსიკალური მაგალითის რიტმს რომელ სიტყვას დაუკავშირებით? შემოხაზეთ სათანადო სიტყვა.

• სწრაფვა; • მღელვარება;	• მოქნილობა; • სიმსუბუქე.

- როგორ ახსნიდით თქვენს არჩევანს?
- რომელ სარეკლამო რგოლს დაუკავშრეთ ეს მუსიკალური მაგალითი?
- არცერთ სარეკლამო რგოლს რომელი მუსიკალური მაგალითი არ მიუსადაგეთ? ახსენით, რატომ.

აქტივობა 5.

ბრენდინგის ხმოვანი ინსტრუმენტი მომხმარებელზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. არსებობს ამ ინსტრუმენტის სხვადასხვა ფორმა: მუსიკალური ლოგო, რომელსაც უკვე გაეცანით, ჯინგლი და მუსიკალური ფონი. აღწერების მიხედვით, მუსიკალურ მაგალითებში ამოიცანით ეს ფორმები. ***ჩაწერეთ სათანადო უჯრაში მუსიკალური მაგალითების ნომრები.***

ხმოვანი ლოგო

მოკლე მუსიკალური ფრაზა ან მოტივი, სავაჭრო ნიშნის ერთგვარი მუსიკალური ანალოგია. მისი მიზანია მომხმარებლის ყურადღების მიპყრობა, იყოს ადვილად დასამხსოვრებელი და შეთავაზება უნიკალურად წარმოაჩინოს.

საიმიჯო კომპანია

სარეკლამო ხასიათის შედარებით ხანგრძლივი კომპოზიცია, რომელიც სარეკლამო ტექსტის ერთ გვარი ფონია და გადმოცემს განწყობას ან ხასიათს, რომელიც რეკლამირებულ ნაწარმს სავაჭრო სახეს უქმნის. საიმიჯო კომპოზიცია შეიძლება შეიცავდეს ხმოვანი ლოგოს მოტივსაც ან თავად ხმოვანი ლოგო შეიძლება საიმიჯო კომპოზიციის ფრაგმენტი იყოს.

ჯინგლი

მოკლე მუსიკალური კომპოზიცია კომპანიის სლოგანის ვოკალური გამღერებით (ხშირ შემთხვევაში მრავალხმიანი) ან დეკლამირებით. როგორც წესი, ჯინგლი ხმოვანი ლოგოს ან სარეკლამო მუსიკალური ფონის მოტივზეა აგებული.

უპასუხეთ კითხვებს:

1. ყველაზე მეტად აუდიობრენდინგის რომელი მაგალითი მოგეწონათ? რით მოგეწონათ?
2. თქვენი მოწონებული მაგალითი აუდიობრენდინგის რომელი ფორმაა?
3. ყველაზე ნაკლებად რომელი მაგალითი მოგეწონათ? რატომ?
4. საიმიჯო კომპოზიციებიდან, რომელია ქართული ბრენდის ხმოვანი ინსტრუმენტი? დაასახელეთ მაგალითის ნომერი.
5. რის მიხედვით დასკვენით?
6. თქვენი აზრით, ეს საიმიჯო კომპოზიცია რომელ ბრენდს მოუხდებოდა?

მრეწველობა და ხელოვნება

უპასუხეთ კითხვებს:

7. როგორ ფიქრობთ, ეს საიმიჯო კომპოზიცია ბრენდის რა თვისებებს წარმოაჩენდა?
8. ამ საიმიჯო კომპოზიციის რა მუსიკალური ხერხები წარმოაჩენდა ბრენდის თვისებებს?
9. აუდიობრენდინგის რომელი ფორმის მოტივშია აღმავალი სვლები? დაასახელეთ ამ მუსიკალური მაგალითის ნომერი.
10. რომელი მუსიკალური მაგალითის სანოტო გამოსახულებაა? ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითის ნომერი ცარიელ უჯრაში.



11. როგორ აღწერდით ამ მოტივს? შეავსეთ ცხრილი.

რეგისტრი	მაღალი, საშუალო, დაბალი
სვლის მიმართულება	დაღმავალი, აღმავალი, ტალღისებრი
სვლის ინტერვალი	სეკუნდაზე, ტერციაზე, კვარტაზე, კვინტაზე, სექსტაზე
რიტმის სახეობა	თანაბარი გრძლიობის, აქცენტირებული, პუნქტირული, ლომბარდული, სინკოპა

12. რომელ ბრენდს დაუკავშირებდით ამ მოტივს?
13. ამ ხმებიდან, რომელს ჰგავს ეს მოტივი? ***რაიმე სიმბოლოთი აღნიშნეთ ამ ხმის ნომერი.***
    მაგალითი 1; მაგალითი 2; მაგალითი 3: მაგალითი 4;
14. თუ გამოიცანით, რისი ხმა არის? რაიმე სიმბოლოთი აღნიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
    - მსუბუქი მანქანის სალონში გამაფრთხილებელი ხმა;
    - სარეცხი მანქანის რეცხვის დასრულების ხმა;
    - მაცივრის კარების გამაფრთხილებელი ხმა;
    - ელექტროღუმელის გამაფთხილებელი ხმა.
15. ბრენდინგის რა კონცეფციას მიუსადაგებდით ამ მოტივს? ჩაწერეთ ცარიელ სივრცეში.

ასოციაციურად ბრენდის რომელ მახასიათებელს დაუკავშირებდით ამ მოტივს?

მომხმარებელში რა განცდა ან ასოციაცია უნდა გამოეწვია?

მრეწველობა და ხელოვნება

16. რა ხერხს მიმართეს „ბარამბინოს“ რეკლამის შემქმნელებმა მომხმარებელში ნაწარმისადმი დადებითი განწყობის გამოსაწვევად?
17. რომელი მუსიკალური მაგალითები არ მიეკუთვნება ჯინგლს?
18. რომელი მუსიკალური მაგალითები არ მიეკუთვნება საიმიჯო კომპოზიციას?

შემოთავაზებული ნაწარმისთვის სათანადო ფორმის მუსიკალური რეკლამის შერჩევა. მსჯელობა შემდეგ საკითხებზე:

19. ამ ნაწარმის რა მახასიათებლით შეიძლება მიიპყრო მომხმარებლის ყურადღება?
20. რა მუსიკალური ხერხებით შეიძლება გადმოიცეს ეს მახასიათებლები?
21. რა ფორმის მუსიკალურ რეკლამას მიუსადაგებდით ამ ნაწარმს?
22. რატომ შეურჩიეთ ასეთი მუსიკალური ლოგო/ჯინგლი/მუსიკალური ფონი? (მუსიკალური მახასიათებლების გამოსახულებასთან დაკავშირება, მაგ. ნაწარმის დიზაინი და მუსიკალური ლოგოს ხასიათი, ფერები და ჟღერადობა, მუსიკის ზოგადი განწყობა, რომელიც აღძრავს მომხმარებელში ამ ნაწარმისადმი ინტერესს და ა.შ.)

- **პროდუქციის რეალიზების კონცეფციის შემუშავება**
- **პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინის შექმნა.**

პროექტის საბოლოო დავალება (მეორე ნაწილი).

მოიფიქრეთ იმ საწარმოს პროდუქციის რეალიზების კონცეფცია, რომლის ესკიზიც, მაკეტიც გააკეთეთ. შექმენით ამ საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინი, მუსიკალური ლოგო და მუსიკალური ფონი. მოიფიქრეთ, რომელი **მუსიკალური** და **სახვითი** და **გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები** შეიძლება გამოიყენო.

IV ეტაპი.

საბოლოო ნამუშევრის წარდგენა და შეფასება.

მოიფიქრეთ პრეზენტაციის ფორმა (მაგ. პრეზენტაცია, გამოფენა, კონფერენცია, ვიდეორგოლი და სხვ.)

წარმოადგინეთ:

- საწარმოს სამუშაო გარემოს და პროდუქციის რეალიზების კონცეფცია.
- ამ საწარმოს ესკიზი/მაკეტი, მუსიკალური პროგრამა სამუშაო დღისთვის.
- ამ საწარმოს პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინი, მუსიკალური ლოგო და მუსიკალური ფონი.

მოიფიქრე პრეზენტაციის ფორმა (მაგ. პრეზენტაცია, გამოფენა, კონფერენცია, ვიდეორგოლი და სხვ.)

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა იყო თქვენი/ თქვენი ჯგუფის იდეა (რისი საწარმოს, წარმოების ადგილის ინტერიერის ესკიზი, მაკეტი შექმენი)?
- როგორი იერსახისაა/ როგორ გამოიყურება თქვენ მიერ მოფიქრებული საწარმო, საწარმოო ადგილი (შენობა, მისი ექსტერიერი (მაგ. ფასადები) ან/და ინტერიერი (შიდა სივრცე) — არქიტექტურა, დიზაინი, ფორმები, ფერი, პროპორციები, მასშტაბი და სხვ.)

მრეწველობა და ხელოვნება

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა ტექნიკა გამოიყენეთ ესკიზის, მაკეტის შესაქმნელად?
- რა სამუშაო ტიპს რა მუსიკალური ფონი შეურჩიეთ და რატომ? (მიუთითეთ, სამუშაოს ტიპი, ამ ტიპის სამუშაოს რა მახასიათებლების მქონე მუსიკა მოუხდება ყველაზე მეტად. აღწერეთ მუსიკალური ნიმუშები, რომელიც ამ ტიპის სამუშაოს შეურჩიეთ და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი).
- სამუშაო დღის სხვადასხვა მონაკვეთებისათვის როგორ შეურჩიეთ მუსიკალური ფონი? (მიუთითეთ სამუშაოს დღის მონაკვეთი. ახსენით, რა მახსიათებლების მქონე მუსიკალური ფონი ესადაგება მას და ამ კუთხით გაანალიზეთ თქვენ მიერ შერჩეული მუსიკალური მაგალითები).
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ სამუშაო გარემოს შექმნისას საწარმოო ძალების გააქტიურებლად და შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად, წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად?
- ბრენდის ატრიბუტად რა მუსიკალური ფორმა შეარჩიეთ: მუსიკალური ლოგოტიპი, მუსიკალური ფონი, თუ ჯინგლი?
- რა პროდუქცია შეარჩიეთ? როგორ დაგეგმეთ და რა მუსიკალური და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, საშუალებები, დარგები და ტექნიკა გამოიყენეთ პროდუქციის რეალიზაციისთვის?

შეფასება

სტუდენტს შეუძლია:

1	საწარმოს სამუშაო გარემოს კონცეფციის შემუშავება და მისი ინტერიერის ესკიზის, მაკეტის, შექმნისას მუსიკალური და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საწარმოო ძალების გააქტიურებლად და შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად.
2	პროდუქციის, მისი შეფუთვის/ეტიკეტის დიზაინის, მუსიკალური ლოგოს და მუსიკალური ფონის შექმნა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, საშუალებების, ტექნიკის გამოყენებით.
3	დასაბუთება, რატომ გამოიყენა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, საშუალებები, ტექნიკა.
4	პროექტის წარდგენა (საპრეზენტაციო უნარები).

2 ხელოვნება თავისუფალ დროს

საათი

ხანგრძლივობა 13 საკონტაქტო საათი

ხელოვნება თავისუფალ დროს

პროექტის მიზანი:	◆ სტუდენტმა გააცნობიეროს ხელოვნების როლი და მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, სტილის მხატვრული მახასიათებლების ცოდნა არა მხოლოდ სახელოვნებო პროფესიებში, არამედ თავისუფალ დროს და მრავალი განსხვავებული საქმიანობისას რომ შეიძლება გამოვიყენოთ.
პროექტის მკვიდრი წარმოდგენები:	◆ ხელოვნებას ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ◆ ხელოვნების დახმარებით დასვენება, თავისუფალი დროის გატარება და სხვა საქმიანობა უფრო სასიამოვნო და საინტერესო შეიძლება გახდეს. ◆ ხელოვნების ენის ცოდნა არა მხოლოდ სახელოვნებო პროფესიებში შეიძლება გამოვიყენოთ. ◆ სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, სტილის, მიმდინარეობის ხელოვნების მხატვრული მახასაითებლები, სახასიათო ნიშნები, ხელოვნების ნიმუშები შეიძლება გამოვიყენოთ იდეების და შთაგონების წყაროდ, როგორც თავისუფალ დროს, ისე სხვადასხვა საქმიანობისას.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	**ვიზუალური ხელოვნება:** 1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა 2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები 3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი ფორმა და დანიშნულება 4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიდინარეობის, სტილის ხელოვნება **მუსიკა:** 1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი 2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები 3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა

ხელოვნება თავისუფალ დროს

საკითხი:

- სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/სტილის/მიმდინარეობის ხელოვნების მხატვრული მახასიათებლების, სახასიათო ნიშნების, ხელოვნების ნიმუშების შთაგონების წყაროდ გამოყენება.
- გარემოში სათანადო ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა ხელოვნების საშუალებით.
- როგორც პირადი, ისე ჯგუფური დასვენებისთვის/დღესასწაულისთვის/ღონისძიებებისთვის/წვეულებისთვის ესთეტიური გარემოს შექმნა (მუსიკა, გარემოს, ინტერიერის გაფორმება და სხვ.), გართობის მრავალფეროვანი ფორმების მოფიქრება.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ შეიძლება გამოვიყენო სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, სტილის, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების, სახასიათო ნიშნების ცოდნა სხვადასხვა საქმიანობისას?
- თუ შეიძლება და როგორ ხელოვნების საშუალებით დასვენება, გართობა, ან სხვა საქმიანობა უკეთესი ან უარესი გახდეს?
- როგორ დავგეგმო და მოვაწყო თემატური საღამო, წვეულება (კორპორატიული, დაბადების დღე და სხვ.), რომლის კონცეფციაც რომელიმე ეპოქის, კულტურის, სტილის ან მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების, სახასიათო ნიშნების გამოყენება და ინტერპრეტაცია იქნება?

პროექტის საბოლოო დავალება:

შეარჩიე წვეულების/საღამოს (კორპორატიული, დაბადების დღე და სხვ.) თემა, მოიფიქრე მისი კონცეფცია, რომელიც დაუკავშირდება რომელიმე ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნებას და შეადგინე მისი სცენარი, გეგმა. მოიფიქრე როგორ აისახება ამ ხელოვნების მხატვრული მახასიათებლები წვეულების გაფორმებაში (დეკორაცია, ავეჯი, ჭურჭელი, ჩაცმულობა, აქსესუარები, ვარცხნილობა, საკვების გაფორმება, განათება, გარემოს, ეზოს მოწყობა და სხვ.). გასაფორმებლად კიდევ რა მხატვრულ და მუსიკალურ საშუალებებს, ხერხებს და ტექნოლოგიებს გამოიყენებ (განათება, ფერი, კონტრასტი, ფაქტურა, კომპოზიცია, აუდიო-ვიზუალური ეფექტები, დრონების შოუ და სხვ.). შექმენი ესკიზები (ჩანახატი, კოლაჟი), ან მაკეტი შენთვის სასურველი მასალითა და ტექნიკით ან მოიძიე შესაბამისი აუდიო-ვიზუალური მასალა და წარმოადგინე კონცეფციასთან ერთად.

ხელოვნება თავისუფალ დროს

პროექტის საბოლოო დავალება:

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა იყო თქვენი/თქვენი ჯგუფის იდეა, კონცეფცია/თემა, რომელი ეპოქა, კულტურა, მიმდინარეობა, სტილი შეარჩიეთ?
- ისაუბრეთ საღამოს/წვეულების სცენარზე, გეგმაზე.
- როგორ გამოიყენეთ შერჩეული ეპოქის, კულტურის, სტილის მხატვრული მახასიათებლები წვეულების/საღამოს გაფორმებისას?
- რა მხატვრული საშუალებები, ხერხები და ტექნოლოგიები გამოიყენეთ (განათება, ფერი, კონტრასტი, ფაქტურა, კომპოზიცია, აუდიო-ვიზუალური ეფექტები, დრონების შოუ და სხვ.)?
- როგორ შექმენენით ესკიზები (ჩანახატი, კოლაჟი), მაკეტი, ხელოვნების რა ხერხები, საშუალებები, მასალა და ტექნიკა გამოიყენეთ ამისთვის?
- წვეულების/საღამოს გასაფორმებლად რა მუსიკალური ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ, რისთვის და როგორ?
- პროექტის წარსადგენად რა ფორმა შეარჩიეთ?

პროექტის სტრუქტურა:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება.	1. პროექტის თემა, მიზანი, საბოლოო დავალება, შეფასება 2. სხვადასხვა თემატური წვეულებისთვის გარემოს მოწყობის, გაფორმების ნიმუშების გაცნობა
II ეტაპი. წვეულების კონცეფციის, თემის მოფიქრება, წვეულების სცენარის, გეგმის შემუშავება	◆ სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/სტილის/მიმდინარეობის ხელოვნების სახასიათო ნიშნების, მხატვრული მახასიათებლების გაცნობა და ერთ-ერთის შერჩევა. ◆ წვეულების კონცეფციის, თემის მოფიქრება; სცენარის, გეგმის შემუშავება.
III ეტაპი. წვეულების გაფორმებაზე მუშაობა.	◆ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ასევე ინტერიერის დიზაინისა და ლანდშაფტური დიზაინის ნიმუშები. ◆ წვეულების გარემოს მოწყობისა და გაფორმების ესკიზების, მაკეტის შექმნა.
IV ეტაპი. საბოლოო ნამუშევრის წარდგენა და შეფასება.	◆ წვეულების კონცეფცია, თემა ◆ წვეულების სცენარი, გეგმა ◆ წვეულების ვიზუალური/მხატვრული გაფორმების ესკიზები და მუსიკალური გაფორმება.

ხელოვნება თავისუფალ დროს

პროექტის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება

1 **პროექტის თემის, მიზნის, საბოლოო დავალების, შეფასების გაცნობა**

შეფასება

სტუდენტს შეუძლია:

1	◆ თემატური წვეულების/საღამოს კონცეფციის შემუშავება, ინსპირაციის წყაროდ რომელიმე ეპოქის, კულტურის, სტილის, მიმდინარეობის შერჩევა
2	◆ თემატური წვეულების/საღამოს კონცეფციის შესაბამისად სცენარის, გეგმის შექმნა
3	◆ თემის, კონცეფციის შესაბამისი ეპოქის, კულტურის, სტილის, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების მიზანმიმართულად გამოყენება
4	◆ თემატური წვეულების/საღამოს ესკიზების, მაკეტის შექმნა და მხატვრული, ხერხების, საშუალებების და ტექნიკის შერჩევა და მიზანმართულად გამოყენება
5	◆ თემატური წვეულების/საღამოს მოსაწყობად ხელოვნების ხერხების, საშუალებების (კომპოზიცია, განათება, ფერი, კონტრასტი, ფაქტურა, სტატიკა, დინამიკა და სხვ.) და ტექნოლოგიების შერჩევა და გამოყენება და არჩევანის დასაბუთება
6.	◆ მუსიკალური ხერხების და საშუალებების მიზანმიმართულად გამოიყენება და არჩევანის დასაბუთება.
7.	◆ პროექტის წარდგენა (საპრეზენტაციო უნარები)

შენიშვნა: სტუდენტის წინარე ცოდნის, დროის მენეჯმენტის თუ საჭიროების შესაბამისად მასწავლებელი თავად ირჩევს შეთავაზებულ აქტივობასა და დავალებებს.

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობა 1.
დაფიქრდით მოცემულ კითხვებზე:

- როგორ შეიძლება გამოვიყენო სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, სტილის, მიმდინარეობის მხატვრული მახასიათებლების ცოდნა თავისუფალ დროს და სხვადასხვა საქმიანობისას?
- თუ შეიძლება ხელოვნების საშუალებით დასვენება, გართობა ან სხვა საქმიანობა უკეთესი ან უარესი გახდეს? როგორ?
- როგორ დავგეგმო და მოვაწყო თემატური საღამო/წვეულება (კორპორატიული, დაბადების დღე და სხვ.) რომლის თემა და კონცეფცია იქნება რომელიმე ეპოქის, კულტურის, სტილის ან მიმდინარეობის ხელოვნება და მისი მხატვრული მახასიათებლები.

დავალება 1. იფიქრეთ ამ კითხვებზე და ამ პროექტის განსახორციელებლად წარმოადგინეთ მოსაზრებები. როგორი წინარე ცოდნა გაგაჩნიათ და გაკლიათ.

ჩამოწერეთ საკითხები, თემები, რის შესახებაც, თქვენი აზრით, ამ პროექტის განსახორციელებელი ცოდნა უნდა მიიღოთ.

2 სხვადასხვა თემატური წვეულებისთვის გარემოს მოწყობის, გაფორმების ნიმუშების გაცნობა

აქტივობა 2.
დაათვალიერეთ, ან მოიძიეთ ილუსტრაციები, სადაც სხვადასხვა თემატური წვეულებისთვის გარემოს მოწყობის, გაფორმების ნიმუშებია მოცემული. შეეცადეთ უპასუხოთ შეკითხვებს

- ყოფილხართ თუ არა მსგავს წვეულებაზე?
- თავად ხომ არ მონაწილეობდით მის მოწყობაში, მსვლელობის დაგეგმვასა და გაფორმებაში?
- აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელი უფრო მოგეწონათ, რატომ?
- დაფიქრდით თითოეულის კონცეფციაზე, თემაზე, რომელი ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას მიამსგავსებდით? რატომ?
- თვლით თუ არა, რომ თემატური საღამოს მოსაწყობად ვიზუალური გაფორმება საკმარისად ეფექტურად გამოყენებულია?
- შეცვლიდით რამეს? რას და როგორ?

ხელოვნება თავისუფალ დროს

II ეტაპი. წვეულების კონცეფციის, თემის მოფიქრება, წვეულების სცენარის, გეგმის შემუშავება

1 **პროექტის თემის, მიზნის, საბოლოო დავალების, შეფასების გაცნობა**

🔎 დააკვირდით მაგალითებს და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. ცხრილში მოცემული მახასიათებლები რომელ მაგალითშია წარმოდგენილი? ჩასვით თოლია √ მაგალითის ნომრის სტრიქონსა და მახასიათებლის სვეტის გადაკვეთაზე. დაადგინეთ, სამივე მაგალითს რომელი მახასიათებელი ეკუთვნის. ასევე, დაადგინეთ, არის თუ არა ისეთი მახასიათებელი, რომელიც მხოლოდ ერთ მაგალითს ეკუთვნის

სურათი V. *ანრი მატისი, „წითელი ოთახი“.* ***ფოვიზმი***

სურათი VI. *ლარნაკის წითელ-ფიგურიანი მოხატულობა*

ძველი საბერძნეთი

სურათი VII. *ჟან ლუი დავიდი, „ჰორაციუსების ფიცი“*

ნეოკლასიციზმი

მაგალითის ნომერი	სტატიკური კომპოზიცია	სიბრტყობრივი ფორმები	კონტრასტული ფერები
1			
2			
3			

- ობიექტები რომელ მაგალითში ან მაგალითებში არის ისე განლაგებული, რომ ჰორიზონტალურად იკვეთება?
- რა აქვს საერთო ფოვიზმსა და ძველბერძნული ლარნაკის მოხატულობას?
- არის ცხრილში ისეთი მახასიათებელი, რომელიც მხოლოდ ერთ ნიმუშს უკავშირდება?
- რომელ ნიმუშს ან ნიმუშებს დაუკავშირებდით მახასიათებელს — „მოცულობითი ფორმები“?

2 **რომელიმე ეპოქის თემატური წვეულების გასაფორმებლად საჭიროა მისთვის მახასიათებელი სტილისტური თავისებურებების გათვალისწინება. გაეცანით ხელოვნების მიმართულების ან ეპოქის სტილისტურ თავისებურებებს და ამოიცანით რომელი მაგალითები არ მიეკუთვნება ამ მიმერთულებას თუ ეპოქას. ამ მაგალითების ლიტერა ჩაწერეთ ცხრილის N2 სათანადო უჯრებში.**

I. *გამარტივებული განზოგადებული სიბრტყობრივი ფორმები,მკვეთრი ენერგიული კონტრასტული, ლოკალური ფერები, მსხვილი კონტურები.* ➡

ხელოვნება თავისუფალ დროს

II. *მოცულობითი კომპოზიციების აგება, ადამიანის სამყაროს ცენტრად წარმოჩენა, რის შედეგადაც პორტრეტი, როგორც ცალკეული ჟანრი ჩამოყალიბდა. უკანა ფონზე პეიზაჟების გამოყენება, სივრცის გამოსახვა ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივით,*



ხელოვნება თავისუფალ დროს

III. დინამიკური კომპოზიციები, დაძაბული ემოციური გამოსახულებები, დიაგონალზე სიმეტრიის ღერძი, კონტრასტული განათება.



ეპოქის/მიმართულების აღწერის ნომერი	მაგალითის ღიზერა
I	
II	
III	

უპასუხეთ კითხვებს:

- 🔎 დააკვირდით სურათის დეტალს. რომელი მაგალითის დეტალია? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1) III. ბ;	2) II. ა;	3) I. ბ;	4) II. გ;	5). I. დ;

- თქვენი აზრით, რა ფერისაა ეს დეტალი? შემოხაზეთ მისაღები პასუხი. თუ თქვენთვის მისაღები პასუხი ვერ მონახეთ, დაასახელეთ თქვენი ვარიანტი.

ა) ალუბლისფერი; ბ) ალისფერი; გ) ვარდისფერი; დ) იისფერი;

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, ეს დეტალი სურათზე რამდენი ფერით არის გადმოცემული?
- შეიძლება ითქვას, რომ ამ დეტალის ლოკალური ფერი არის მეწამული? თუ არა, დაასახელეთ თქვენი ვარიანტი.
- შეიძლება ითქვას, რომ ეს დეტალი ამ სურათზე ლოკალური ფერით წარმოჩენილია?
- შეგიძლიათ ამ სურათზე კიდევ ერთი ასეთი მაგალითი წარმოგვიჩინოთ?
- რამდენი ფერით არის გადმოცემული ეს დეტალი?
- რატომ არის სხვადასხვა ფერით გადმოცემული ეს დეტალი?
- თუ გახსოვთ, რომელი მიმართულების მხატვრები უარყოფდნენ ნივთის ლოკალურ ფერს? აღნიშნეთ თოლიით √ ეს მიმართულება.

  ◯ **კლასიციზმი** ◯ **ბაროკო**

  ◯ **რენესანსი** ◯ **იმპრესიონიზმი**

- რომელი ლიტერა ჩაწერეთ ეპოქის პირველი აღწერის გვერდით უჯრაში? წინა კითხვებზე დაფუძნებით ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მაგალითი. **ა) ბ) გ)**
- რომელ მაგალითში არის გამოყენებული ხაზოვანი პერსპექტივა?
- რომელ მაგალითშია ფონად პეიზაჟი გამოყენებული?
- რომელ მაგალითში არის პორტრეტი წარმოდგენილი?
- რამდენ მაგალითშია წარმოდგენილი ფრიზული კომპოზიცია?
- რომელ მიმართულებას ან ეპოქას ეკუთვნის ეს მაგალითები? აღნიშნეთ თოლიით √ სწორი პასუხი.

  ◯ **ბაროკო** ◯ **კლასიციზმი**

  ◯ **ფოვიზმი** ◯ **იმპრესიონიზმი**

- რომელ მაგალითშია გამოყენებული როგორც ხაზოვანი, ისე ჰაეროვანი პერსპექტივა?
- რომელი სურათის დეტალია წარმოდგენილი ამ მაგალითში? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1) II. ბ;	2) I. ბ;	3) II. ა;	4) III. დ;	5). II. დ;

- ამ დეტალში ლოკალური ფერია გამოყენებული?
- როგორი ფორმაა გადმოცემული, მოცულობითი თუ სიბრტყობრივი?
- რატომ ფიქრობთ ასე?

ხელოვნება თავისუფალ დროს



- რომელი მაგალითის ლიტერა ჩაწერეთ ცხრილში, ეპოქის მეორე აღწერის გვერდით უჯრაში? წინა კითხვებზე დაფუძნებით ახსენით, რატომ.
- დააკვირდით, რომელი სურათის კომპოზიციაა წარმოდგენილი? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1) II. ა;	2) I. გ;	3) III. გ;	4) III. ბ;	5). III. დ;

- თქვენი აზრით, როგორი კომპოზიციაა დინამიური, თუ სტატიური? ახსენით, რატომ?
- როგორ ფიქრობთ, ობიექტების განლაგებისას, რომელ სურათში იკვეთება მართკუთხედი?
- რა შედეგი მიიღწევა სურათში ობიექტების ამგვარი განლაგებით? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზეთ.

  ა) გაწონასწორებული კომპოზიცია

  ბ) სურათზე აღწერილი სიტუაციის ჩვეულებრივობის ხაზგასმა, (გამოთქვით ვარაუდი, რა ხდება ამ სურათზე)

  გ) სურათზე გამოსახული პერსონაჟების მიერ აღმოჩენის სიდიადის წარმოსაჩენად, (გამოთქვით ვარაუდი, რაში მდგომარეობს ამ აღმოჩენის სიდიადე)

  დ) სხვა;
- როგორ ფიქრობთ, რომელ მიმართულებას და ჟანრს მიეკუთვნება ეს ნაწარმოები?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელი მაგალითის ლიტერა ჩაწერეთ ცხრილში ეპოქის მესამე აღწერის გვერდით უჯრაში? წინა კითხვებზე დაფუძნებით ახსენით, რატომ.

3 **თემატური წვეულებისთვის სათანადო ეპოქის ინტერიერის შესაქმნელად საკმარისია რამდენიმე დამახასიათებელი დეტალის გათვალისწინება. დააკვირდით ამ ინტერიერებს და ფერწერულ ნიმუშებს, დააკავშირეთ ერთმანეთს ეპოქის სტილისტური მახასიათებლების მიხედვით და შეავსეთ ცხრილი.**

ხელოვნება თავისუფალ დროს



შეიტანეთ ინტერიერის ლიტერა სათანადო მიმართულების/ეპოქის უჯრაში

ბაროკო	მოდერნი	კლასიციზმი	რენესანსი

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ინტერიერი მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ?
- რომელი ინტერიერი უფრო კომფორტული გეჩვენებათ და რომელში იცხოვრებდით? თუ არ დაემთხვა თქვენი არჩევანი წინა კითხვის არჩევანს, ახსენით, რატომ.
- ხაზების მიხედვით, რომელ მაგალითებს დაუკავშირებთ ერთმანეთს? აღწერეთ, რა მსგავსება დაინახეთ.
- რომელი მაგალითები დაუკავშირეთ ერთმანეთს კომპოზიციის მიხედვით? აღწერეთ მსგავსებები.

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი მაგალითები დააკავშირეთ ინტერიერის არქიტექტორული დეტალის მიხედვით? რომელი დეტალია?
- დააკვირდით ამ აქტივობაში წარმოდგენილ მაგალითებს. რომელი დეტალი რომელ ეპოქას ახასიათებს? ჩაწერეთ სათანადო დეტალის ლიტერა ეპოქის ცარიელ უჯრაში.

ა	ბ	გ	დ
მოდერნი	რენესანსი	ბაროკო	კლასიციზმი

4 შესაძლოა, თემატური საღამოსთვის კონკრეტული ეპოქის სამოსის დამახასიათებელი დეტალების გათვალისწინება დაგჭირდეთ. დააკვირდით ამ სამოსს. რომელი ინტერიერი მიესადაგება? ჩაწერეთ ამ სამოსის სურათის ცარიელ უჯრაში სათანადო ინტერიერის ნომერი.



ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ აღწერდით ამ სამოსს?
  - რამდენად მკაცრია? რატომ?
  - რამდენად მედიდურია? რატომ?
  - ჩაიცვამდით ასეთ სამოსს? რატომ?
  - რას მოგითხრობთ ეს სამოსი თავის ეპოქაზე?
- რომელ ეპოქას ეკუთვნის ინტერიერი 1? რატომ მიაკუთვნეთ ამ ეპოქას?
- როგორ ფიქრობთ, აკმაყოფილებს ამ ეპოქის ესთეტიკას აქ წარმოდგენილი სამოსი? რატომ?
- თქვენი აზრით, აქ წარმოდგენილი სამოსის რომელი დეტალი მიესადაგება 1 ინტერიერს? შემოხაზეთ სათანადო ლიტერა.

- რა ნიშნით დაუკავშირეთ ეს სამოსი ეპოქას?
- კიდევ ერთხელ დააკვირდით ინტერიერს. თქვენი აზრით, რომელი მოგაგონებთ სამოსის ბ) ნაკეცებს ქვედაბოლოზე? ახსენით პასუხი.
- რომელ ეპოქას ეკუთვნის ეს ინტერიერი და სამოსი?
- დააკვირდით ა) სამოსს. აქ წარმოდგენილი ინტერიერიდან რომელიმე შეესაბამება ამ სამოსს? დაასახელეთ ინტერიერის ლიტერა.
- რატომ დააკავშირეთ ეს სამოსი ამ ინტერიერს? ახსენით თქვენი არჩევანი. მაგალითად, დაასახელეთ სამოსის რაიმე დეტალი, რომელიც ამ ინტერიერს უკავშირდება

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

ამ სტილს მკაცრი კანონზომიერება, თამამი გეომეტრიული ხაზების, ეთნიკური გეომეტრიული უზორების, ჭრელი ორნამენტების, ძვირად ღირებული თანამედროვე მასალების გამოყენება ახასიათებს.

- ამ სამოსიდან, რომელი ეკუთვნის იმავე ეპოქას, რომელსაც სამოსი I წარმოადგენს?

- რა დეტალის მიხედვით ამოიცანით სამოსი?
- გაეცანით **არ დეკო** სტილის მახასიათებლებს. ამოიცნობთ ამ სტილს ამ სამოსში?
- რომელი ინტერიერია არ დეკოს სტილში? შემოხაზეთ ამ ინტერიერის ლიტერა.

- რომელი მახასიათებლით ამოიცანით არ დეკოს სტილის ინტერიერი?
- დააკვირდით ამ ინტერიერს, კიდევ რა დამახასიათებელი ნიშნები შეამჩნიეთ?
- შეგიძლიათ დაუკავშიროთ სამოსი არ დეკოს სტილს? ჩასვით ამ უჯრაში სამოსის ნომერი.

გაეცანით რომელიმე ეპოქის ხელოვნების სწავლისწავლ თავისებურებებს. რომელი სამკაული მიეკუთვნება ამ ეპოქას

ამ ეპოქაში ხელოვნების ნიმუშებს გარკვეული რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. ამიტომაც სამკაულებს არა მხოლოდ სამშვენისის, დაცვითი ფუნქციაც ეკისრებოდათ. ერთგვარ მაგიურ ნივთს, თილისმას წარმოადგენდა. ამიტომაც სამკაულებში ხშირად, რაიმე ტოტემის (ძირითადად ცხოველების, მწერების ან სხვადასხვა სტიქიების გამოსახულებების) სახით ღმერთებს ასახავდნენ. ადამიანის ფიგურებს შემდეგნაირად გამოხატავდნენ: სახე პროფილში, ტორსი ანფასში, ხელები და ფეხები პროფილში.

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი სამკაულის დეტალია? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) 3;
ბ) 1;
გ) 4;
დ) 2;

- გადახედეთ წინა აქტივობების მაგალითებს. რომელ მიმართულებას მიეკუთვნება ეს სამკაული?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ სამკაულში იგრძნობა სიმდიდრე და სიდიადე?
- როგორ ფიქრობთ, რომელ ეპოქას ახასიათებს ეს თვისებები?
- რომელი სამკაული ეკუთვნის ამავე ეპოქას? დაასახელეთ მაგალითის ლიტერა.
- როგორ ამოიცანით სამკაული?
- რა მიმართულებას უკავშირდება გ) მაგალითის სამკაული?

ეს საინტერესოა:

სურათი VIII. *ნიკოლას პუსინი „არკადიელი მწყემსები“*

ნამუშევარი განეკუთვნება მითოლოგიურ ჟანრს, რომელიც შექმნილია მე-17 საუკუნეში, კლასიციზმის პერიოდში, ნამუშევარზე გამოსახულია მწყემსები, რომლებმაც აღმოაჩინეს საფლავის ქვა და კითხულობენ მასზე გამოსახულ წარწერას. "Et in Arcadia Ego" ითარგმნება როგორც „და მე ვიყავი არკადიაში“. მხატვარი ამით მიმართავს მნახველებს — ცხოვრება წარმავალია, ყველანი მოკვდავები ვართ. და ისეთ სამოთხეშიც კი, როგორიც არკადიაა, სიკვდილი ყველას გველოდება.

არკადია ნამდვილი ადგილია, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ საბერძნეთში და ანტიკურ პერიოდში, ფაქტობრივად სამოთხედაც მოიხსენებოდა.

ნამუშევარზე გამოსახული პერსონაჟები სამოსით და გარეგნულად ძველი ანტიკური საბერძნეთის ჰეროიკული გმირების მსგავსად გამოიყურებიან

ხელოვნება თავისუფალ დროს

მუსიკა და თემაგზური წვეულებები:

სახვით ხელოვნებაში უკვე ვისაუბრეთ დასვენების ნაირსახეობებზე, თემატურ წვეულებებზე, ჩატარების ფორმებზე, მსვლელობის სცენარებზე და ა.შ. მუსიკის მხრივაც ძალიან საინტერესოა თემატური წვეულებები, რომელიც საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოების, კინოფილმის ან კომპიუტერული თამაშის მიხედვით შეიძლება ავაგოთ. წვეულებისთვის რა თემაც არ უნდა ავირჩიოთ, სხვადასხვა ეპოქის მახასიათებლებს თავს ვერ ავარიდებთ. წარმოიდგინეთ, წვეულების თემაა შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“ ან ედგარ ალან პოს „წითელი სიკვდილის ნიღაბი“. ცხადია, უნდა გაითვალისწინოთ ამ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ეპოქის ატრიბუტები. ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი, შთამბეჭდავი და საჭირო განწყობის შემქმნელი ატრიბუტი კი, რა თქმა უნდა, მუსიკაა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია თქვენი ყურადღება სხვადასხვა ეპოქის მუსიკის სტილისტურ თავისებურებებზე გავამახვილოთ.

სახვითი ხელოვნებისგან განსხვავებით, მუსიკაში ნაკლებად შემორჩა ანტიკური ხანის ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მუსიკალური თეორეტიკოსი ჩვენამდე მოღწეული თეორიული ნაშრომების ან მანუსკრიპტების საფუძველზე ცალკეული მუსიკალური კომპოზიციების გაშიფვრას ცდილობდა, ანტიკური ხანის მუსიკალურ ნიმუშებს პირვანდელი სახით ჩვენ დრომდე არ მოუღწევია. ამიტომ ანტიკურ ხანას გამოვტოვებთ. თუმცა, შუა საუკუნეების მუსიკაზე უამრავი წყარო მოგვითხრობს და ნოტების სახით მრავალი ნიმუშია შემორჩენილი, ამიტომ მუსიკის თემას სწორედ შუასაუკუნეებით დავიწყებთ.

წვეულება შუა საუკუნეების სჯილში

*შუა საუკუნეები ძირითადად, ყველაზე უღიმღამო, სასტიკ და ბნელ ისტორიულ პერიოდად მიიჩნევა, სადაც აღვირახსნილი ბატონებისა და ხარბი, გაუმაძღარი სასულიერო პირების უღელქვეშ მყოფი უბრალო, მშრომელი ხალხი საშინელი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა და მძიმედ ცხოვრობდა. სინამდვილეში ხალხი შუა საუკუნეებშიც კარგად ერთობოდა. გართობის ერთ-ერთი ფორმა სახალხო წარმოდგენები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია გართობის ყველა ფორმას სატანის მანქანებად მიიჩნევდა, მის მიმართ ხალხის ინტერესსა და სიყვარულს ანგარიშს უწევდა. მოგვიანებით, სასულიერო პირები მიხვდნენ, რომ წარმოდგენები ეკლესიის იდეოლოგიურ იარაღად შეიძლება ქცეულიყო. წარმოდგენის ერთ-ერთ ჟანრს, რომელიც თითქოსდა, სპეციალურად ასეთი, დიდაქტიკური და ეთიკური დარიგებისთვის იყო შექმნილი, **მორალიტე** ეწოდებოდა. მორალიტეს განმასხვავებელი თვისება მისი პერსონაჟების ალეგორიზმში მდგომარეობდა. წარმოდგენის გმირები აბსტრაქტული ცნებები იყვნენ, როგორიცაა: იმედი, რწმენა, სიყვარული, ერთგულება და ა.შ. მორალიტეს ჟანრის იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წარმოდგენა „ღრეობის დაგმობა“ იყო. თემატური წვეულების სცენარს სწორედ ამ წარმოდგენის სიუჟეტი შეიძლება დაედოს საფუძვლად.*

ხელოვნება თავისუფალ დროს

„ღრეობის დაგმობა“
(მოკლე შინაარსი)

*ამ წარმოდგენის არსი ჭამაში თავშეუკავებლობის გაკიცხვაა. სცენაზე ორი მთავარი ალეგორიული პერსონაჟი გამოდის — **ნადიმი** და **ღრეობა**.*

ნადიმს** თან ახლავს მშვენიერი ყმაწვილი **დროის ტარება** და წარმტაცი ქალბატონი **კარგი კომპანია**, ხოლო ღრეობას — ორი ქალბატონი — **სასუსნავი** და **ლამაზი მორთულობა**, ასევე ორი კავალერი — **მსუნაგობა** და **უმსგავსო საქციელი.

*სახალისო ლექსებით თითოეული პერსონაჟი საკუთარ მიდრეკილებებს გაგვაცნობს. **კარგი კომპანია** და **დროის ტარება** მხიარულებას, ცეკვას, გართობას ადიდებს, მსუნაგობა — გაუმაძღრობას და მუდმივ ჭამას, **უმსგავსო საქციელი** — ხმაურს და ხიპიშს.*

*მსუბუქი საუზმის შემდეგ, **დროის ტარება** ზრდილობიან ფორმებში სტუმრებს საცეკვაოდ იწვევს. პერსონაჟები ერთმანეთს დახვეწილი კომპლიმენტებით ამკობენ.*

*რაღაც დროის შემდეგ, სტუმრებს კვლავ მაგიდისკენ მიიპატიჟებენ, მაგრამ როგორც კი სუფრას მიუსხდებიან, ღრეობა სხვადასხვა ავადმყოფობას ეძახის, რათა სტუმრებს თავს დაესხან. ამასობაში **ნადიმი** მომღერლებს სიმღერით სუფრის დასამშვენებლად ეძახის. მომღერლები სხვადასხვა, ხალხურ და ქალაქურ სიმღერებს მღერიან.*

*შესეული **ავადმყოფობები** სტუმრებს ჯოხებით სცემენ, სუფრიდან აგდებენ, ჭურჭელს ამსხვრევენ. შეშინებული სტუმრები, **ნადიმი** და მისი ამალა, **დროის ტარება** და **კარგი კომპანია** სცენას ტოვებენ.*

*გადარჩენილი **ნადიმი**, **დროის ტარება**, **კარგი კომპანია** და **ლამაზი მორთულობა** საჩივრით **ქალბატონ იმედს** მიმართავენ, **რომლის გზავნილები ღრეობას** იპყრობენ. **იმედს ღრეობისთვის** განაჩენი გამოაქვს — სამუდამო განდევნა მიუსაჯეს, ამიერიდან არცერთი ოჯახის სუფრაზე არ დაიშვება.*

*ეს სადა, მარტივი სიუჟეტი შეიძლება თემატური წვეულების სცენარს საფუძვლად დაედოს. წვეულების ორგანიზატორები წარმოდგენის პერსონაჟებს განასახიერებენ და წვეულების მსვლელობას გააკონტროლებენ. მათი მთავარი მიზანია, სტუმრები არ მოაწყინონ. ბუნებრივია, წარმოდგენის ზოგიერთი სცენა სიმბოლურ ორთაბრძოლად უნდა გადაიქცეს, სადაც შეიძლება სახალისო შეჯიბრი ან ვიქტორინა ჩატარდეს (მაგ. ეპიზოდი, როდესაც **ავადმყოფობები** სტუმრებს ჯოხებით სცემენ და სუფრიდან აგდებენ). პერსონაჟები სტუმრებს სახალისო შაირებით ან ენაკვიმატი ტექსტებით, სიმღერით საკუთარ თავს გააცნობდნენ. ეს კი, რა თქმა უნდა, შუასაუკუნების მუსიკის თანხლებით უნდა იყოს წარმოდგენილი.*

ხელოვნება თავისუფალ დროს

წვეულების სცენარი

1 ალეგორიების (**ნადიმი, ღრეობა, დროის ტარება, კარგი კომპანია, სასუსნავი, ლამაზი მორთულობა, მსუნაგობა და უმსგავსო საქციელი**) გამოსვლა. ალეგორიები სტუმრებს თავს აცნობენ.

- ალეგორიები სტუმრებს თავს აცნობენ.

აქტივობა 1.

გახსენით ბმული

როგორ შეიძლება ამ ნომრის მომზადება? მაგალითად წარმოგიდგენთ ფრაგმენტს თანამედროვეობის უდიდესი თეატრალური რეჟისორის, რობერტ უილსონის დადგმიდან „შექსპირის სონეტები“. გამოჩენილი რეჟისორი შუა საუკუნეების თეატრალურ ტრადიციას მიმართავს და მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამომსახველობით ხერხებს იყენებს, სადაც მსახიობების ე.წ. რეალისტური თამაში შეცვლილია ძველი, ქუჩის თეატრისთვის დამახასათებელი კარიკატურული, ექსცენტრული და საოცრად მეტყველი, ნახევრად პანტომიმური წარმოდგენით. ამით აღინიშნება, რომ მსახიობები არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ განზოგადოებულ ალეგორიებს განასახიერებენ.

კარგად დააკვირდით პერსონაჟებს და მათი მოქმედების მიხედვით ამოიცანით, რომელ ალეგორიებს წარმოადგენენ.თითოეული პერსონაჟის სურათის ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ სათანადო ალეგორიის ნომერი, რომელიც წარმოაჩენს თქვენ მიერ შერჩეულ ალეგორიებს.

ხელოვნება თავისუფალ დროს

შეგიძლიათ თავად მოფიქროთ რისი ალეგორია შეიძლება იყოს თითოეული პერსონაჟი

ალეგორიები:

1. მსახურება (----------)
2. მიზანტროპია (----------)
3. ძალაუფლება (----------)
4. სიბრიყვე (----------)
5. ქარაფშუტობა (----------)
6. ჯამბაზობა (----------)
7. აღრფრთოვანება (----------)

უპასუხეთ კითხვებს:

- რა ქმედებით, ჟესტით, მიმიკით წარმოაჩენს თავს იისფერ კაბაში გამოწყობილი მოხუცი ქალი?
- თქვენ აზრით, რატომ ასახიერებს ამ ქალ პერსონაჟს მამაკაცი მსახიობი?
- თქვენი აზრით, რისი ალეგორია შეიძლება იყოს ეს პერსონაჟი?
- რა ახასიათებს პერსონაჟს მეშვიდე სურათზე?
- შეიძლება რომელიმე პერსონაჟი **სიბრიყვის** ალეგორიას დავუკავშიროთ?

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რა ალეგორიას შეიძლება დავუკავშიროთ პერსონაჟი, რომელიც სულ იღრინება (ან, შესაძლოა, მოტოციკლეტის ძრავის ხმას ბაძავს) და ხევს პოეტის ქმნილებებს?
- თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს მესამე სურათზე გამოსახული პერსონაჟის ჟესტი, რომელიც თითქოსდა წამით აჩერებს წარმოდგენის მსვლელობას? რა ჟესტია ეს? (გაიმეორეთ ეს ჟესტი)
- რა ალეგორიას დაუკავშირეთ ეს პერსონაჟი და რატომ?
- მეხუთე სურათზე წარმოდგენილი პერსონაჟის რომელი ყველაზე დამახასიათებელი ჟესტის გახსენება შეგიძლიათ? (განასახიერეთ ეს ჟესტი).
- თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ჟესტი და რა ალეგორიას დაუკავშირდებით მას?
- თქვენი აზრით, რომელ პერსონაჟს უწოდებდით ონავარს? რატომ?
- რა ალეგორიას დაუკავშირებდით ამ პერსონაჟს?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ასახიერებს მეექვსე სურათზე ასახულ პერსონაჟს ყველაზე ხნიერი მსახიობი?
- რა ალეგორიას შეიძლება დავუკავშიროთ ეს პერსონაჟი და რატომ?

აქტივობა 2.

მოუსმინეთ შუა საუკუნეებში არსებული მუსიკალური კომპოზიციების რამდენიმე ჟანრს. შუა საუკუნეების მუსიკაში არსებული გარკვეული ჟანრის კომპოზიცია ხაზით დაუკავშირეთ **მორალიტეს** რომელიმე ალეგორია-პერსონაჟს. ***მუსიკალური ჟანრები გაიჟღერებს*** იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც აქ არის წარმოდგენილი.

1.ესტამპი	2.ჰოკეტი	3.კონდუქტი	4.კანცონა	5.ტურდიონი	6.სარტარელო
ნადიმი	ღრეობა	დროის ტარება	ლამაზი მორთულობა	მსუნაგობა	უმსგავსო საქციელი

ხელოვნება თავისუფალ დროს

2 სტუმრების საცეკვაოდ გამოწვევა

აქტივობა 3.

დააკვირდით ცეკვას მუსიკის გარეშე. შემდეგ ***სამ, თანმხლებ მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად*** და გამოიცანით, რომელი ცეკვაა ვიდეოში. სურათის ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ სათანადო ფრაგმენტის სახელწოდება.

1. ანდრია | 2. ბას დანსი | 3. კავანა

უპასუხეთ კითხვებს:

- ამ სამი ცეკვიდან რომელია ყველაზე სწრაფი და ენერგიული?
- რომელი ცეკვაა ყველაზე დინჯი და დიდებული?
- რომელი ცეკვაა ამ სურათზე წარმოდგენილი?
- უყურეთ და ***მოუსმინეთ ცეკვას*** კიდევ ერთხელ და დააკვირდით სანოტო გამოსახულებებს. რომელ გამოსახულებაშია ამ ცეკვის რიტმული ფიგურაცია ასახული? შემოხაზეთ გამოსახულების ლიტერა.

ა) 

ბ) 

გ) 

- ***მოუსმინეთ*** რიტმულ ფიგურაციებს ცალკე. რომელია ამ სანოტო გამოსახულების ხმოვანი მაგალითი? ჩაწერეთ ხმოვანი მაგალითის ნომერი სათანადო სანოტო გამოსახულების ცარიელ უჯრაში.

დავალება 1. ვიდეოს მეშვეობით შეისწავლეთ ერთ-ერთი ცეკვის ძირითადი მოძრაობები, რათა წვეულების დროს სტუმრებს ხალისიანი გაკვეთილი ჩაუტაროთ და ასწავლოთ შუა საუკუნეების ეპოქის ერთი ცეკვა.

ხელოვნება თავისუფალ დროს

3 სტუმრები მაგიდას უბრუნდებიან (**შენიშვნა**: ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, სტუმრები წვეულებაზეც მაგიდას/მაგიდებს მიუსხდნენ. შეიძლება სუფრა გაიშალოს როგორც „ალაფურშეტი“). **ნადიმი** იწვევს მომღერლებს. (წვეულებაზე შეიძლება ვინმემ ნებისმიერი სიმღერა იმღეროს). ამ პუნქტთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენს აქტივობებს.

აქტივობა 4.

*შუა საუკუნეებში სიმღერებს **ტრუბადურებს** და **ტრუვერებს** უკავშირებენ. სახელწოდება **ტრუბადური**, ისტორიკოსთა აზრით, სამხრეთ საფრანგეთის დიალექტიდან trobar წარმოიშვა, რაც „შეთხზვას“, „გამოგონებას“ ნიშნავს. მართლაც ტრუბადურები თვითონ თხზავდნენ პოეტურ ნაწარმოებებს და მათივე მელოდიებით ამკობდნენ. ისინი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ და მხოლოდ პოეტური და მუსიკალური ნიჭი აერთიანებდათ. პოეზიასა და სიმღერებში უმანკო, ამაღლებულ სიყვარულს უმღეროდნენ. თითოეული მათგანი აუცილებლად მდიდარი ოჯახის წარმომადგენელ ქალბატონს ეთაყვანებოდა, ვისაც პოემებსა და სიმღერებს უძღვნიდნენ. თუმცა ტრუბადურების პოეზიისა და სიმღერების თემა მხოლოდ სიყვარული არ ყოფილა. ტრუბადურების ქმნილებები რამდენიმე ქვეჟანრად იყოფა. გაეცანით ქვეჟანრების განმარტებებს, **მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს,** სადაც ქვეჟანრებია წარმოდგენილი და დააკავშირეთ ერთმანეთს. მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი ქვეჟანრების განმარტების ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ.*

კანცონა

ტრუბადურების სატრფიალო სიმღერა, რომლითაც სათაყვანო, მშვენიერ ქალს ამკობენ. კანცონას ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია პოეტის დრტვინვა უპასუხო სიყვარულზე, როდესაც სატრფო იგივე გრძნობით არ პასუხობს.

სირვენტა

ტონალობით პოლემიკური სიმღერაა. ხშირად პოლიტიკური ან საზოგადოებრივი პრობლემები განიხილება. ხშირად სირვენტა სააგიტაციო, მოწოდებითი ხასიათის სიმღერას ემსგავსება.

პასტორელა

ცოცხალი, ზოგ შემთხვევაში, სახუმარო ხასიათის სიმღერა მწყემსი ქალის შესახებ. სიმღერა რაინდისა და მწყემსი ქალის დიალოგია, სადაც ქალი მომაბეზრებელ მოარშიყე რაინდს თავიდან იშორებს. პასტორელაში ხშირად გამოყენებულია ხალხური ან საცეკვაო მელოდიები.

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რა მუსიკალური მახასიათებლები აქცევს სიმღერას სააგიტაციო ნაწარმოებად? აღნიშნეთ მუსიკალური ხერხის აღწერა, რომელიც, თქვენი აზრით მისაღები პასუხია.
  - ერთ ბგერაზე გამღერებული სიტყვები;
  - ერთი და იგივე რიტმულ ფიგურაციაზე აგებული მელოდიური სვლები;
  - დაღმავალი მელოდიური სვლები.
- რომელ სიმღერაშია გამოყენებული დასარტყამი ინსტრუმენტი და რას სძენს სიმღერას მისი ხმა?
- რომელ ქვეჟანრს მიაკუთვნეთ ეს სიმღერა?
- რა ხასიათს სძენს სიმღერას დაღმავალი მლოდიური სვლები?
- ყველაზე ხშირად რომელი სიმღერის მელოდიაში გვხდება ასეთი მელოდიური სვლები?
- რომელ ქვეჟანრს მიაკუთვნეთ ეს სიმღერა?
- კიდევ ერთხელ მოუსმინეთ სიმღერებს. რომელ სიმღერებში ვერ გამოკვეთეთ ძლიერი და სუსტი დრო?
- დააკვირდით ამ სანოტო მაგალითებს. რომელია შესაბამისი კომენტარები? შემოხაზეთ.





  - მძაფრი ემოციების გამომხატველი მელოდია დიდი ნახტომებით;
  - სამეტყველო ინტონაციის მსგავსი, მდორე, მელოდიური ხაზი დიდი ნახტომების გარეშე;
  - მშვიდი დეკლამაციისთვის დამახასიათებელი თანაბარზომიერი რიტმი, რიტმული ორნამენტიკით;
  - საცეკვაო ხასიათის მელოდია მკვეთრი რიტმული ფიგურაციებით;
  - მელოდია გამოირჩევა მეტრული თავისუფლებით.
- რომელ სანოტო მაგალითს უკავშირდება?

ხელოვნება თავისუფალ დროს

4 *სტუმრებს ავადმყოფობები თავს ესხმიან. (**შენ**. აქ ავადმყოფობების სამოსში გამოწყობილ წვეულების ორგანიზატორებს სტუმრებისთვის სხვადასხვა შეჯიბრის, თამაშის, ვოქტორინის შეთავაზება შეუძლიათ. ეს შეჯიბრი და ვიქტორინები შუა საუკუნეების მუსიკის თანხლებით შეიძლება ჩატარდეს). ჩვენ აქტივობებს გთავაზობთ.*

აქტივობა 5.

როგორც უკვე ვთქვით, ამ დროს ჭიდაობის, მტვრევის, ცემის მაგივრად ავადმყოფობების სამოსში გამოწყობილი წვეულების ორგანიზატორები სტუმრებს სხვადასხვა შეჯიბრს, თამაშს და ვიქტორინას სთავაზობენ. აქტივობის უფრო დინამიურად და ხალისიანად ჩასატარებლად, საჭიროა სათანადო მუსიკის შერჩევა. თამაშის თითოეულ ეტაპს შეიძლება ისეთი მუსიკა შეურჩიო, მოთამაშეს რომ გაამხნევებს. მოუსმინეთ სხვადასხვა ჟანრის, შუა საუკუნეების მუსიკას და დააკავშირეთ თამაშის იმ ეტაპებს. ***მუსიკალური მაგალითები*** აქ ჩამოთვლილი ჟანრების თანმიმდევრობით გაიჟღერებს.



როგორც სათაურებიდან მიხვდით, მუსიკალურ მაგალითებში კვლავ ცეკვებია წარმოდგენილი, რადგან შუა საუკუნეებში მხოლოდ ინსტრუმენტებით (ადამიანის ხმის გარეშე) ძირითადად საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ. ზოგიერთი ინსტრუმენტალისტი (რაიმე ინსტრუმენტზე დაკვრის ოსტატი) სიმღერებს ინსტრუმენტზეც ასრულებდა. თუმცა იშვიათად. ძირითადად ინსტრუმენტალისტები მომღერლებს აკომპანიმენტს უკეთებდნენ.

უპასუხეთ რამდენიმე კითხვას:

- თქვენი აზრით, თამაშის დასაწყისისთვის რა ხასიათის მუსიკა უნდა შეირჩეს?
- რომელი მუსიკალურ მაგალითშია წარმოგდგენილი ასეთი ხასიათის ცეკვა?
- შეძლებთ მოკლედ აღწეროთ, რა მუსიკალური ხერხებით არის მიღწეული ეს ხასიათი?

აღწერა

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ ცეკვას აქვს ყველაზე ცოცხალი რიტმი?
- თამაშის რომელ ეტაპს მოუხდება ეს ცეკვა?
- კიდევ ერთხელ, ამ მუსიკალური მაგალითებიდან ორს ***მოუსმინეთ.*** მათგან რომლის სანოტო გამოსახულებაა წარმოდგენილი? ჩასვით სანოტო მაგალითის ცარიელ უჯრაში მუსიკალური მაგალითის ნომერი.



1. ესზამკი | 2. კავანა | ☐

- რამდენი ინსტრუმენტია წარმოდგენილი?
- რომელ მუსიკალურ მაგალითში ჟღერს ორზე მეტი მუსიკალური ინსტრუმენტი?
- მუსიკალური მაგალითიდან გამომდინარე, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა Lento? შეარჩიე სწორი პასუხი.
  - ცოცხლად;
  - ძალიან სწრაფად;
  - ნელა;
  - მძიმე მოძრაობით;
- ზემო სანოტო ხაზზე როგორია მელოდიური ხაზი? შეარჩიეთ სწორი პასუხი.
  - მელოდია დიდი ნახტომებით;
  - ფართო დიაპაზონის მელოდია, სადაც გვხვდება ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი ნოტები;
  - პატარა დიაპაზონის, მდორე მელოდია ხაზი;
  - ტალღისებრი, სწრაფად აღმავალ–დაღმვალი მელოდიური ხაზი;

დავალება 2. მოიფიქრეთ სცენარის ამ ეპიზოდისთვის რაიმე თამაში, შეჯიბრი ან ვიქტორინა. შეეცადეთ, შეარჩიოთ აქტივობა, რომელიც სახალისო იქნება და არ დაამძიმებს წვეულებას.

5 წვეულების სცენარის ბოლო ეპიზოდი: ავადმყოფობები სტუმრებს თამაშში ხელს უშლიან. (მაგ. არღვევენ თამაშის წესებს, ვიქტორინის კითხვაზე სტუმრების სწორ პასუხს ავადმყოფობები თავის ქულად იწერენ ან რაღაც მსგავსი). ნადიმი და მისი ამალა აღშფოთებას გამოხატავენ. იმედს უხმობენ. სინათლე ქრება და სიბნელეში პროჟექტორის ერთი სხივით ნათდება იმედისა და მისი მსახურების ფიგურები. მსახურები შეიპყრობენ ღრეობას და მის დამქაშებს. აგლეჯენ კოსტიუმების ატრიბუტებს, ერთ ყუთში ყრიან და დარბაზიდან გააქვთ. ამიერიდან სტუმრებს ხალისიან დროსტარებაში ხელს ვერავინ შეუშლის.

ხელოვნება თავისუფალ დროს

დავალება 3. დაწვრილებით გაწერეთ უკანასკნელი ეპიზოდის ზოგიერთი დეტალი:

- სცენა, პანტომიმა, მოქმედ პირთა ფრაზები.
- რომელ მომენტში რა მუსიკა გაჟღერდება: (შეგიძლიათ ერთი მუსიკალური ნაწარმოები შეარჩიოთ სცენის გაფორმებისთვის, ან შეადგინოთ მუსიკალური ფონი რამდენიმე მუსიკალური ნომრისგან და საუნდთრექში გააერთიანოთ);
- იმსჯელეთ ვინ იქნება შუქის გამფორმებელი, ხმის ოპერატორი.

წვეულება ბაროკოს სტილში

ბაროკოს ეპოქა **ვენეციურ კარნავალთან ასოცირდება.** ეპოქის თავისებურებები კარნავალში ყველაზე უკეთ ვლინდება. ამიტომაც ამ ეპოქის წარმოსაჩენად ვენეციური კარნავალის მსგავსი წვეულების ჩატარება ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება. ვენეციური კარნავალი ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წყაროებში არის ნახსენები, თუმცა მაშინ კარნავალზე ნიღბებს არ იკეთებდნენ. ნიღბების ტარების ტრადიცია გვიანდელ შუა საუკუნეებში მკვიდრდება და პიკს სწორედ ბაროკოს ეპოქაში აღწევს. სიტყვა „კარნავალის“ წარმოშობას მეცნიერები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, სიტყვა ლათინური „carne vale“-დან წამოვიდა, რაც „მშვიდობით ხორცო“-ს ნიშნავს. კარნავალები დიდი მარხვის დაწყების წინ ტარდებოდა და მთელი კვირა გრძელდებოდა. საუკუნეების მანძილზე კარნავალის მსვლელობის გარკვეული წესები ჩამოყალიბდა, თუმცა ღონისძიების თანმიმდევრობას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. კარნავალის კულმინაციას სხვადასხვა კოსტიუმებისა და ნიღბების სადღესასწაულო სვლა — ჩვენება წარმოადგენდა. ამ სვლის დასრულებისას კარნავალის მონაწილეები გამარჯვებულ ნიღაბს და კოსტიუმს ასახელებდნენ. უკვე მერამდენე წელია **ვენეციის კარნავალი** ე.წ. „ანგელოზის ფრენით“ (Volo dell'Angelo) იხსნება. მშვენიერ საკარნავალო კაბაში გამოწყობილ, ქალაქის ყველაზე ლამაზ გოგონას, ვენეციის მთავარი მოედნის, სან-მარკოს სამრეკლოდან, მოედანზე აგებულ სცენაზე ბაგირით უშვებენ. ეს ტრადიცია საუკუნეებს ითვლის და მასში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, დიდი გამბედაობა ჭირდება. მაყურებლისთვის შთამბეჭდავი სანახაობა კარნავალისთვის დამახასიათებელი სიგიჟისა და ბრწყინვალების სიმბოლოდ იქცა.

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობა 6.

როგორც აღვნიშნეთ, კარნავალი მონაწილეებს სხვადასხვა საანახობასა და ღონისძიებას სთავაზობს. წარმოგიდგენთ კარნავალის გახსნის ჩვენეულ ვარიანტს (რა თქმა უნდა, შეგიძლიათ წვეულების დაწყების საკუთარი სცენარი შექმნათ). რადგან კარნავალი ძირითადად კოსტიუმების და ნიღბების წარმოდგენაა, ყველაზე ლოგიკურად გვეჩვენება მთავარი ნიღბების წარდგენით დაწყება. ბაროკოს ეპოქაში, კარნავალებზე **კომედია დელ არტეს** პერსონაჟების ნიღბებმა დაიმკვიდრა ადგილი.

კომედია დელ არტე ანუ **ნიღბების თეატრი** იტალური ქუჩის თეატრის სახეობა იყო, რომლის წარმოდგენები მსახიობების იმპროვიზაციებით იქმნებოდა. წინასწარ გაწერილი მხოლოდ წარმოდგენის სიუჟეტი იყო, ცალკეულ სცენებს და დიალოგებს კი ნიღბიანი მსახიობები პირდაპირ წარმოდგენის დროს ქმნიდნენ. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კონკრეტული სასცენო ტიპაჟები, რომელთაც სახასიათო ნიღბები ჰქონდათ. ნიღაბი პერსონაჟის თავისებურებას ასახავდა, რითაც სხვებისგან გამოირჩეოდა. პერსონაჟები გარკვეული სოციალური ფენის წევრთა სატირული სახეები იყვნენ. რაც გასაკვირი არ იყო, რადგან კომედია დელ არტეს წარმოდგენები საზოგადოების მანკიერ მხარეებს დასცინოდა. ნიღაბი მსახიობების სახეს მთლიანად ან ნაწილობრივ ფარავდა, ამიტომაც პერსონაჟების ხასიათს ჟესტებით და მოძრაობით გადმოსცემდნენ. ამ უნარებში კომედია დელ არტეს მსახიობები საოცარ სრულყოფილებას აღწევდნენ. სწორედ კომედი დელ არტეს ხელოვნებამ ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე თეატრს. მისი პერსონაჟები და ნიღბები იმდენად პოპულარი იყო, რომ მათი ნახვა თეატრალურ სცენაზე და კარნავალებზე დღესაც შეიძლება. გთავაზობთ კომედია დელ არტეს ძირითადი პერსონაჟების დახასიათებებს. ***დაუკავშირეთ ვიდეო მაგალითებს,*** სადაც მსახიობი სხვადასხვა ხერხით ამ პერსონაჟებს განასახიერებს. დახასიათების ცარიელ ოთხკუთხედში სათანადო ვიდეო მაგალითის ნომერი ჩაწერეთ.

ხელოვნება თავისუფალ დროს

პანტალონე

მოხუცი ვაჭარი პანტალონე სიხარბით გამორჩეულია. თითოეულ მონეტას დაჰკანკალებს და ამიტომაც ხშირად სასაცილო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით არ უმართლებს ქალბატონებთან ურთიერთობისას.

დოქტორი

დოქტორ-იურისტს თავი ყველაზე ჭკვიანი და განათლებული ჰგონია. თუმცა წარამარა სისულელეებს როშავს. მიაჩნია, რომ ოყნა ყველა ავადმყოფობის ერთადერთი წამალია.

კაპიტანი

კაპიტანი საშინელი ესპანური აქცენტით საუბრობს (იმ დროს იტალიის ნაწილი ესპანეთის მიერ ოკუპირებული იყო). ტრაბახა და მშიშარა მეომარია. დაშნის წესიერად ხმარებაც კი არ შეუძლია.

არლეკინი

არლეკინი გაიძვერა და ეშმაკი მსახურია. თუმცა ამის გამო ხშირად მახეში ებმება, ამიტომ თავის დასაძვრენად ცრუობს. საბედნიეროდ, მის ტყუილებს დიდი ზიანი არ მოაქვს.

კოლომბინა

ერთადერთი ქალი პერსონაჟი, რომელიც კომედია დელ არტეს საკვანძო პერსონაჟებს მიეკუთვნება. ეშმაკი, მოხერხებული მსახური ქალი, რომელიც ბატონს ან ქალბატონს სასიყვარულო ინტრიგებიდან თავის დაღწევაში ეხმარება.

უპასუხეთ კითხვებს:

- შეგიძლიათ გაიმეოროთ ჟესტი/ჟესტები, რომლითაც დოქტორი თავის „უნიკალურ“ ინტელექტზე მიანიშნებს?
- რა ჟესტით ან პოზით ახასიათებს მსახიობი კოლომბინას?
- რას გამოხატავს ეს ჟესტი თუ პოზა?
- აღწერეთ, როგორ წარმოაჩენს მსახიობი პანტალონეს სიხარბეს, როგორ დაჰკანკალებს თითოეულ მონეტას?

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- დაკვირვებიხართ პანტალონეს ნიღაბს, როგორ გამოიყურება? აღწერეთ დამახასიათებელი დეტალი.
- როგორ უკავშირდება ეს დეტალი პანტოლონეს ხასიათს? ასოციაციას რასთან იწვევს?
- რა განასხვავებს ერთმანეთისგან არლეკინის და პანტალონეს ნიღბებს?
- რა იერს სძენს ნიღაბი არლეკინს?
- როგორ გაახმოვანებდით არლეკინს? მოიფიქრეთ, როგორ ლაპარაკობს.
- რა ჟესტით გამოხატავდით სიტყვებს: „ამას როგორ არ უნდა ვაჯობო. შეხედე, შეხედე, რას გავს! მკერდამდე ძლივს მწვდება!“?
- რომელ პერსონაჟთან გვხვდება ეს ჟესტი?
- რისი გამომხატველია ეს ფრაზები?
- კიდევ რა დამახასიათებელი ჟესტი ან პოზა გვხვდება ამ პერსონაჟთან?

აქტივობა 7.

შევეცადოთ პერსონაჟები მუსიკალურად დავახასიათოთ. მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს, რომელშიც ბაროკოს პერიოდის ნაწარმოების ფრაგმენტებია. შეეცადეთ, მუსიკალური ფრაგმენტები კომედი დელ არტეს პერსონაჟებს დაუკავშიროთ. წინა სავარჯიშოს ვიდეო კადრების ცარიელ უჯრებში ***ჩაწერეთ სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.***




ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში არის მძიმე, მოუქნელი რიტმი მცირე პაუზებით?
- როგორ ჟესტებს ან მოძრაობებს მოუხდებოდა ეს მუსიკალური ფრაგმენტი? ლაპარაკის რომელ მანერას გაგონებთ ასეთი რიტმის მქონე მუსიკალური ფრაგმენტი?
- რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით ამ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- ასეთი პაუზებით კიდევ რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გახსენდებათ?
- ეს მუსიკა მაღალ რეგისტრში ჟღერს, თუ დაბალში?
- ამ მუსიკალურ ფრაგმენტში მოძრავი ფიგურები რიტმულია, თუ მძიმე და მოუქნელი?
- რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით ამ პერსონაჟს? რატომ?
- მეოთხე ფრაგმენტს რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით? რატომ?
- (5) ამ მუსიკალურ ფრაგმენტში რომელია სოლო ინსტრუმენტი? ***მოუსმინეთ ინსტრუმენტების ჟღერადობას და ამოიცანით ინსტრუმენტი მუსიკალურ ფრაგმენტში.*** აღნიშნეთ თოლიით √.

1. ბრომბონი



2. საყვირი

3. ვაღბორნა

- რიტმი ხტომის ასოციაციას რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში გიჩენთ? დაასახელეთ ფრაგმენტის ნომერი.
- ***მოუსმინეთ სხვადასხვა ტიპის რიტმებს.*** რომელი ტიპის რიტმია გამოყენებული ამ ფრაგმენტში? აუდიო მაგალითები იმავე თანმიმდევრობით გაჟღერდება, როგორც სანოტო მაგალითებია მოცემული. აღნიშნეთ სათანადო სანოტო მაგალითი თოლიით √.

თანაბარი გრძლიობებით მოძრაობა	აქცენტირებული რიტმი	პუნქტირული რიტმი

- რომელ პერსონაჟს დაუკავშირებდით ამ მუსიკალურ ფრაგმენტს?

ხელოვნება თავისუფალ დროს

დავალება 4. შეარჩიეთ კომედია დელ არტეს რამდენიმე პერსონაჟი, რომლებიც თქვენი თემატური წვეულების მასპინძლები იქნებიან. შეგიძლიათ წინა აქტივობა (რა თქმა უნდა, შემოკლებული ვარიანტი) სტუმრებსაც შესთავაზოთ. ასევე, გაითამაშეთ პანტომიმა თითოეული პერსონაჟის წარმოსაჩენად. მოხალისეებს (ვინც თამაშს ისურვებს) პერსონაჟების აღმწერი ბარათები ურიგდებათ, რაზე დაყრდნობითაც სტუმრებმა უნდა გამოიცნონ ვინ ვინაა. მოიფიქრეთ, პანტომიმა, რომლის გათამაშებითაც ბარათებზე აღწერილ პერსონაჟებს ამოიცნობენ. პანტომიმას მოარგეთ წინა აქტივობაში პერსონაჟებისთვის შერჩეული მუსიკალური ფრაგმენტი.

აქტივობა 8.

➡️ **ნაწილი I**

წვეულებაზე ამ აქტივობასაც გამოიყენებთ. ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, ბაროკოს ეპოქაში ცეკვა ერთ-ერთი პოპულარული გართობა იყო. კარგად დააკვირდით ვიდეო მაგალითებში წარმოდგენილ ბაროკოს პერიოდის პოპილარულ ცეკვებს. თქვენი ვარაუდით, რომელი ცეკვა არის ორ თვლაზე (2/4) და რომელი სამზე (3/4). შემოხაზეთ ზომა, რომლიც, თქვენი ვარაუდით, ამ ცეკვას ესადაგება. ***გახსენით ბმული***

მენუეტი
2/4 3/4

ბრენლი
2/4 3/4

ბურე
2/4 3/4

უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენი ცეკვა არის ორ თვლაზე? შემოხაზეთ სწორი რაოდენობა
  ა) 1; ბ) 2; გ) 3;
- რომელი ცეკვაა ორ თვლაზე? შემოხაზეთ სწორი პასუხი.
  ა)მენუეტი; ბ) ბრენლი; გ) ბურე
- რომელია ყველაზე მოძრავი ცეკვა? დაასახელეთ.

ხელოვნება თავისუფალ დროს

➡️ **II ნაწილი.** ***მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს.*** გარდა მეტრისა, ტემპსაც ყურადღება მიაქციეთ. მიუსადაგეთ მუსიკალური მაგალითები ვიდეოებს და ჩაწერეთ სურათის ქვემოდ მოცემულ ცარიელ ოვალში სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.

უპასუხეთ კითხვებს:

- მოუსმინეთ, რომელი ცეკვა იწყება ამ რიტმული ფიგურაციით? შემოხაზეთ სწორი პასუხი.



1. მენუეტი	2. ბრენლი	3. ბურე

- რას უწოდებენ ასეთი რიტმის სახეობას? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) რიტმი თანაბარი გრძლიობებით;	ბ) ლომბარდული რიტმი;	გ) პუნქტირული რიტმი;
	დ) სინკოპა;	

- რომელი ცეკვის მელოდიის სანოტო გამოსახულებაა?



1. მენუეტი	2. ბრენლი	3. ბურე

- როგორ დაახასიათებდით ამ მელოდიას?

დავალება 5. ერთ-ერთი ცეკვა სტუმრებისთვის სასწავლებლად შეარჩიეთ. დააკვირდით ილეთებს, შეეცადეთ თავად შეისწავლოთ, რომ შემდეგ სტუმრებს აუხსნათ. შეგიძლიათ კლასიდან ერთ-ერთი შეარჩიოთ, ვინც ცეკვის ილეთებს ყველაზე უკეთ აჩვენებს. ***გახსენით ბმული***

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობა 9.

კარნავალის ერთ-ერთი, ყველაზე შთამბეჭდავი ღონისძიება საუკეთესო საკარნავალო კოსტიუმების წარდგენაა. ბოლოს ცხადდება გამარჯვებული. თითოეულ კოსტიუმს შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ასახავს სხვადასხვა განცდას, თუნდაც სევდას, გულისწყრომას, იმედს, თანაგრძნობას და ა.შ. ბაროკოს პერიოდის მუსიკისთვისაც დამახასიათებელია კონკრეტული აფექტის (გრძნობის) გამოხატვა. ამიტომ ერთი ნაწარმოები ერთ კონკრეტულ განცდას ასახავდა. სხვა ეპოქების მუსიკალურ ნაწარმოებებში კი განწყობები იცვლებოდა. ამ მონაცვლეობით იქმნებოდა კონფლიქტი, რაზეც მუსიკალური კომპოზიციის დრამატურგია იგებოდა. ბაროკოს პერიოდისთვის მუსიკაში აფექტების წარმოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მაშინდელმა მუსიკალურმა თეორეტიკოსებმა არაერთი ტრაქტატი მიუძღვნეს. ასე შეიქმნა ე.წ. აფექტების თეორია, რომლის გაცნობა ძალიან შორს წაგვიყვანს. ის კი უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა კონკრეტული მუსიკალური ხერხები რომელთა დახმარებით კომპოზიტორს რაიმე აფექტი (ვნება) უნდა გადმოეცა. ამ ხერხებს **მუსიკალურ-რიტორიკული ფიგურაციები** დაერქვა. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს. გთავაზობთ მოსასმენად ოთხ **მუსიკალურ-რიტორიკულ ფიგურაციას** თავისი სანოტო გამოსახულებით. აქვე წარმოდგენილია, თუ რა აფექტს გადმოსცემს თითოეული. ***მოუსმინეთ და ამოიცანით რას გადმოსცემს.*** სანოტო გამოსახულება დაუკავშირეთ გარკვეული აფექტის დასახელებას.

ა)



ბ)



გ)



დ)



1. მღელვარება (exclamatio)
2. აღტაცება (anabasis)
3. მწუხარება (passus diriusculus)
4. სევდა (catabasis)

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ სანოტო მაგალითებშია ნოტები მწკვრივში ჩაწყობილი?
- რომელშია მწკვრივში ჩაწყობილ ბგერებზე აღმავალი სვლა?
- რომელ აფექტს (განცდას) დაუკავშირეთ ეს რიტორიკული ფიგურაცია?
- როგორი მელოდიური სვლით გადმოიცემა მღელვარება (exclamatio)? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - დაღმავალი სვლით მცირე დაშორების ინტერვალებზე;
  - აღმავალი ნახტომით დიდი დაშორების ინტერვალზე;
  - გვერდით მყოფ ბგერებზე აღმავალი სვლით;
  - გვერდით მყოფ ბგერებზე დაღმავალი სვლით.
- მოუსმინეთ მაგალითს და დაასახელეთ აფექტი, რომელსაც ეს რიტორიკული ფიგურაცია დაუკავშირეთ?
- ამ მაგალითებში რამდენია დაღმავალი რიტორიკული ფიგურაცია? დაასახელეთ მათი ლიტერები.
- რა აფექტებს დაუკავშირეთ ეს რიტორიკული ფიგურაციები?
- რა კანონზომიერების დადგენა შეიძლება ამ რიტორიკული ფიგურაციების შედარებისას?
  - ორივე მაგალითი დაღმავალია;
  - ბაროკოს მუსიკაში ყველა დაღმავალ სვლებში ნოტები მწკვრივშია ჩალაგებული?
  - დაღმავალი სვლა ბაროკოში ნეგატიურ განცდებს უკავშირდება?
  - სხვა;

აქტივობა 10.

მუსიკით გამოიცანით, რას განასახიერებენ აქ წარმოდგენილი საკარნავალო კოსტიუმები. ყურადღებით ***მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს,*** რომლებიც კოსტიუმებს უკავშირდება. ამოიცანით მათში წინა აქტივობაში გაჟღერებული მუსიკალურ-რიტორიკული ფიგურაციები და ამის საფუძველზე ახსენით, რა აფექტს განასახიერებენ სურათებზე წარმოდგენილი საკარნავალო კოსტიუმები. ჩაწერეთ ცარიელ უჯრებში სათანადო აფექტი.

1. **ფრაგმენტი** — ვივალდი, კონცერტების ციკლი „წელიწადის დრონი“, „ზამთარი“;
2. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, დიდონას დატირება ოპერიდან „დიდონა და ენეასი“;
3. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, კონჩერტო გროსო N9;
4. **ფრაგმენტი** — ვივალდი, სავიოლინო კონცერტი რე მინორი.

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- საკარნავალო კოსტიუმებს მიუწერეთ მუსიკის განწყობის აფექტები, თუ ფრაგმენტებში რიტორიკული ფიგურაციები ამოიცანით.
- მუსიკალურ ფრაგმენტში გაჟღერებული რიტორიკული ფიგურის მიხედვით, თითოეულ საკარნავალო კოსტიუმს მიუწერეთ სათანადო აფექტი. აქედან გამომდინარე შეგიძლიათ ამოცნობა, რომელი ფრაგმენტი და მუსიკალური ნაწარმოებია წარმოდგენილი ამ სანოტო მაგალითში?

ზემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. **ფრაგმენტი** — ვივალდი, კონცერტების ციკლი „წელიწადის დრონი“, „ზამთარი“;
2. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, დიდონას დატირება ოპერიდან „დიდონა და ენეასი“;
3. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, კონჩერტო გროსო N9;
4. **ფრაგმენტი** — ვივალდი, სავიოლინო კონცერტი რე მინორი.



უპასუხეთ კითხვებს:

ზემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. **ფრაგმენტი** — ვივალდი, კონცერტების ციკლი „წელიწადის დრონი“, „ზამთარი“;
3. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, კონჩერტო გროსო N9;
2. **ფრაგმენტი** — ჰენდელი, დიდონას დატირება ოპერიდან „დიდონა და ენეასი“;
4. **ფრაგმენტი** — ვივალდი, სავიოლინო კონცერტი რე მინორი.

- ამ სანოტო მაგალითში რომელი რიტორიკული ფიგურა ამოიცანით? სწორ პასუხს ხაზი გაუსვით.
  - მღელვარება (exclamatio)
  - აღტაცება (anabasis)
  - მწუხარება (passus diriusculus)
  - სევდა (catabasis)
- ამ სანოტო მაგალითში რომელი ნაწარმოებია წარმოდგენილი?
- რამდენად ემთხვევა ამ ნაწარმოების თქვენეული აღქმა აფექტში ჩადებულ შინაარსს? თუ არა, შეეცადეთ თქვენი ემოცია დაასახელოთ.
- ამ სანოტო მაგალითში რომელი ნაწარმოებია წარმოდგენილი?



ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი რიტორიკული ფიგურაცია ამოიცანით ამ სანოტო მაგალითში?
   - მღელვარება (exclamatio)
   - აღტაცება (anabasis)
   - მწუხარება (passus diriusculus)
   - სევდა (catabasis)
2. რამდენი ხმა არის ამ მაგალითში? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

   ა) ერთი; ბ) ორი; გ) სამი; დ) ოთხი;
3. რა სახეობის რიტმია ქვედა ხმაში? შემოხაზეთ სწორი პასუხი.
   - სინკოპა;
   - პუნქტირული რიტმი;
   - რიტმი თანაბარი გრძლიობებით;
   - აქცენტირებული რიტმი;
   - ლომბარდული რიტმი;
4. იცვლება თუ მეორდება ამ სახეობის რიტმი? რას ვუწოდებთ რიტმს, რომელიც მუდმივად მეორდება? შემოხაზეთ სწორი პასუხი.
   - რიტმული ფიგურაცია;
   - ერთფეროვანი რიტმი;
   - რიტმული ოსტინატო.
5. ამ მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენისას რა ემოცია გეუფლებათ? ემთხვევა რიტორიკულ ფიგურაციაში ჩადებულ განცდას?
6. ამ სანოტო მაგალითში რომელი რიტორიკული ფიგურაცია არის? შემოხაზეთ სწორი პასუხი.



1. მღელვარება (exclamatio)	3. მწუხარება (passus diriusculus)
2. აღტაცება (anabasis)	4. სევდა (catabasis)

- ახსენით რატომ გადმოიცემა ეს აფექტი (განცდა) ამ რიტორიკული ფიგურაციით?

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობა 11.

- როგორი სვლაა ამ რიტორიკულ ფიგურაციაში აღმავალი, თუ დაღმავალი?
- სად არის ეს ფიგურაცია — ბანში, თუ მელოდიაში? როგორ ფიქრობთ, რატომ?
- რა თანმიმდევრობით არის დალაგებული მთელი და ნახევრიანი ნოტი?
- მეორდება ეს რიტმული ფიგურაცია, თუ არა? რას დაარქმევდით ასეთ ბანს?
- რომელი რიტორიკული ფიგურაცია არ განვიხილეთ?
- რა აფექტს უკავშირდება ეს რიტორიკული ფიგურაცია?
- როგორ აღწერდით ამ რიტორიკულ ფიგურაციას თქვენი სიტყვებით?

დავალება. შემოთავაზებულ მაგალითებში ამოიცანით გარკვეული ეპოქის მუსიკის მახასიათებლები და შეავსეთ ცხრილი

მუსიკალური მაგალითის ნომერი	ეპოქა (აღნიშნეთ სათანადო ეპოქა √)	მახასიათებლების ჩამონათვალი
	შუა საუკუნეების მუსიკა ☐ ბაროკო და კლასიციზმი ☐	
	შუა საუკუნეების მუსიკა ☐ ბაროკო და კლასიციზმი ☐	
	შუა საუკუნეების მუსიკა ☐ ბაროკო და კლასიციზმი ☐	
	შუა საუკუნეების მუსიკა ☐ ბაროკო და კლასიციზმი ☐	

სხვადასხვა ეპოქის მუსიკალური მაგალითების შედარება და მათ მთავარ მახასიათებლებზე დაკვირვება.

1. ყველაზე ხშირად რა ტიპის ინსტრუმენტები გამოიყენება სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში?
2. რა რიტმული, მელოდიური, ჰარმონიული თავისებურებები გააჩნია სხვადასხვა ეპოქის მუსიკას?
3. როგორია ოსტინატური ბანი და რიტორიკული ფიგურაციები ბაროკოს მუსიკაში?
4. რა როლი მიენიჭა ქრომატიზმს რომანტიზმის ეპოქის მუსიკაში?

ხელოვნება თავისუფალ დროს

ყველა საუკეთესო საკარნავალო კოსტიუმი ან ნიღაბი წარმოდგენილია. მათ შორის საუკეთესოს შერჩევის და დაჯილდოების დროა. ამ აქტივობით წვეულების ყველა თემატური აქტივობა სრულდება. ბოლო ნაწილი საკლუბო მუსიკას მიეძღვნება, რომლის ფონზე სტუმრებს შეუძლიათ სურვილისამებრ გაერთონ. წვეულების ამ ნაწილზე შემდგომ აქტივობაში ვისაუბრებთ.

მუსიკა:

აქტივობა 1.

სახვით ხელოვნებაში განხილული სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული, სამოსელის, ლანდშაფტის დიზაინის ნიმუშების და მუსიკის მაგალითებთან დაკავშირება. ვარაუდების გამოთქმა და მსჯელობა:

1. როგორ დაუკავშირეთ სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურას სათანადო ეპოქის მუსიკა მახასიათებლით, ინტუიციურად თუ განწყობით?
2. რა საერთოს ხედავენ სტუდენტები არქიტექტურასა და მუსიკას შორის? (მუსიკალური ენის ელემენტებისა და არქიტექტურული დეტალების მსგავსებებზე დაკვირვება);
3. რა საერთოს ხედავენ სტუდენტები გარკვეული ეპოქის სამოსელის და ამავე ეპოქის მუსიკას შორის? (მუსიკალური ენის ელემენტებისა და სამოსელის დეტალების მსგავსებაზე დაკვირვება);
4. რა საერთოს ხედავენ სტუდენტები გარკვეული ეპოქის ლანდშაფტის დიზაინსა და ამავე ეპოქის მუსიკას შორის? (მუსიკალური ენის ელემენტებისა და ლანდშაფტის დიზაინის დეტალების მსგავსებებზე დაკვირვება).

აქტივობა 2.

ტრადიციული დღესასწაულების ვიდეო ჩანაწერების სათანადო მუსიკალურ გაფორმებასთან დაკავშირება. მსჯელობა შემდგ საკითხებზე:

5. რა ნიშნით დაუკავშირე ხმა ვიდეოჩანაწერს? (ვარაუდები: რა ეპოქის სამოსელი აქვთ დღესასწაულის მონაწილეებს და რომელი მუსიკალური გაფორმება მოუხდება ამ დღესასწაულს);
6. როგორ ამოიცანი სათანადო ეპოქის მუსიკა? (ინსტრუმენტების ჟღერადობით, რიტმით, მელოდიით, ჰარმონიით).

დავალება: რამდენიმე მუსიკალური მაგალითის მოსმენა და ცხრილის შევსება. ვარაუდებზე დაფუძნებით, საკუთარი სიტყვებით ახსნა, მუსიკალური მაგალითები ცხრილში ამგვარად რატომ გადაანაწილა?

ეპოქა	მუსიკალური მაგალითის ნომერი
ძველებური მუსიკა	
XVIII–XIX მუსიკა	
XX–XXI მუსიკა	

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობა 3.

დიჯეი სეტი

წვეულების მუსიკალური გაფორმებისთვის, ხშირად დიჯეის იწვევენ, რომელიც სპეციალური აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით სხვადასხვა ტრეკს ერთ კომპოზიციაში აერთიანებს (**მიქსირება**). მაშასადამე **მიქსი** ერთიანი კომპოზიციაა, რომელშიც სხვადასხვა დამოუკიდებელი ტრეკია გაერთიანებული. კომპოზიციის შექმნის დროს, სხვადასხვა ტრეკი, რომ ერთმანეთში ორგანულად შეხამებული იყოს, დიჯეის შეუძლია მათი ტემპი, რიტმი და ტონალობა ცვალოს. დიჯეის საქმიანობა ხმის რეჟისორობას ან მუსიკის არანჟირებას გავს, მაგრამ სხვა, უამრავი დეტალი ამ პროფესიას უფრო შემოქმედებითს ხდის. თითოეული კომპოზიცია შეიძლება 20 წუთზე მეტხანს გრძელდებოდეს. წვეულებაზე მყოფი სტუმრების ემოციური მდგომარეობა რომ შეიგრძნოს, დიჯეის სერიოზული მუსიკალური ალღო სჭირდება. მისი მთავარი მიზანია, მსმენელს თავი არ მოაბეზროს ხანგრძლივი კომპოზიციით და მუდმივად ემოციურ ტონუსში ამყოფოს. რაც იოლი არ არის. უპირველესად საჭიროა კომპოზიციის შექმნის საბაზო წესების ცოდნა. თუ კომპოზიცია უფორმოა, დინამიურობას კარგავს, მსმენელი სწრაფად იღლება და შესაძლოა, ინტერესი იოლად გაუქრეს. მუსიკალური კომპოზციის შემთხვევაშიც იგივე ხდება, რაც კინოფილმში, — თუ სიუჟეტი არ ვითარდება, მაყურებელს მარტივად ბეზრდება.

მაშ ასე, როგორ არის აგებული **დიჯეი–კომპოზიცია** იგივე **დიჯეი–მიქსი**. გაეცანით დიჯეი–მიქსის სტრუქტურული ერთეულების დახასიათებას და დააკავშირეთ შემოთავაზებულ მუსიკალურ მაგალითებს, ამოიცანით ისინი. მუსიკალური ფრაგმენტები დაუკავშირეთ სათანადო სტრუქტურული ერთეულის აღწერას. რა თანმიმდევრობით ლაგდება სტრუქტურული ერთეულები, ჩაწერეთ მუსიკალური მაგალითის ნომერი ცხრილის სათანადო უჯრაში. ***მოისმინეთ ერთი დიჯეი–მიქსის ფრაგმენტები.*** აღწერების მიხედვით ამოიცანით ამ ფრაგმენტებში რომელი სტრუქტურული ერთეულია წარმოდგენილი და დაალაგეთ იმ თანმიმდევრობით, როგორც დიჯეი–მიქსში უნდა იყოს. შეავსეთ ცხრილი.

➡️

ხელოვნება თავისუფალ დროს

➡️ სტრუქტურული ერთეული	აღწერა	ფრაგმენტის ნომერი
ინტრო (INTRO)	ერთგვარი შესავალი, სადაც მოცემულია ამ მიქსის საწყისი რიტმი. ამ ნაწილში ბევრი მუსიკალური ინსტრუმენტი არ ჟღერს. ძირითადი დატვირთვა დრამებს და სხვა დასარტყამ ინსტრუმენტებს აქვს. ინტრო შეიძლება შედგებოდეს ფრაზის ან მოკლე ტექსტისგან, რომელსაც წარმოთქვამენ ან მღერიან.	
კუპლეტი (HOLE) „ორმო“	ამ ნაწილში შემოდის ინსტრუმენტები და ზოგ შემთხვევაში ვოკალიც. ისმის მელოდია, ტექსტი და დასამახსოვრებელი ჰარმონიული სვლები (აკორდული სვლები).	
შემზადება (BUILD UP)	შემზადებაში ბიტების (დარტყმების) რაოდენობა იზრდება, მატულობს ემოციური მუხტი.	
დროპი (DROP)	ემოუციური მუხტით, სხვადასხვა ინსტრუმენტების ჟღერადობით დახუნძლული, მელოდიური სვლებით ყველაზე დასამახსოვრებელი, გამორჩეული ნაწილი, სადაც მიქსის მთელი მუსიკალური პოტენციალი იხსნება. ეს ნაწილი შეიძლება მისამღერს შევადაროთ.	
კუპლეტი (HOLE) „ორმო“	შემდეგ მოდის ემოციური განმუხტვა (იხ. ზემოთ კუპლეტის დახასიათება).	
აუტრო (OUTRO)	მიქსის ერთ-ერთი ტრეკის დასრულება, რომელიც თავისი მახასიათებლებით გავს ინტროს (იხ. ინტროს დაასიათება)	

აქტივობის საბოლოო შედეგის მიღწევამდე უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი მუსიკალური მაგალითი გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციური მუხტით? რა მუსიკალური ხერხებია გამოყენებული საამისოდ?
- რომელი მუსიკალური მაგალითია ემოციურად ყველაზე განმუხტული?
- ამ მუსიკალურ მაგალითს რომელ სტრუქტურულ ერთეულს მიაკუთვნებდით?
- მსმენელს კომპოზიციის ემოციურად ყველაზე დამუხტული ნაწილისთვის რომელი მუსიკალური მაგალითი ამზადებს?

➡️

ხელოვნება თავისუფალ დროს

აქტივობის საბოლოო შედეგის მიღწევამდე უპასუხეთ კითხვებს:

- ყველაზე მეტად რომელი მუსიკალური მაგალითები ჰგავს ერთმანეთს ემოციური მუხტით?
- ამ ორ მაგალითს რა საერთო და განმასხვავებელი აქვთ?

აქტივობა 3.

მოუსმინეთ ხუთი ტრეკის ფრაგმენტებს და დაადგინეთ, რომელი სტრუქტურული ერთეულებია ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი. შეავსეთ ცხრილი.

ფრაგმენტში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები	ფრაგმენტის ნომერი
ინტრო (intro), კუპლეტი (hole)	
ინტრო (intro), კუპლეტი (hole), შემზადება (build up)	
ინტრო (intro), კუპლეტი (hole), შემზადება (build up), დროპი (drop)	
შემზადება (build up), დროპი (drop)	
კუპლეტი (hole), შემზადება (build up)	

უპასუხეთ კითხვებს:

- მოთელვა და დროპი რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია ერთ მელოდიაზე აგებული?
- რომელ სანოტო მაგალითშია ეს მელოდია? მოუსმინეთ ამ სანოტო მაგალითებში მოცემულ მელოდიებს და სათანადო სანოტო გამოსახულების ცარიელ უჯრაში ჩასვით ნიშანი „თოლია“ √. მაგალითები გაიჟღერებს იგივე თანმიმდევრობით, როგორც სანოტო მაგალითებია მოცემული.

ა) ☐



ბ) ☐



გ) ☐



უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ მაგალითშია კუპლეტი (hole) ვოკალის და რეპის გარეშე?

ხელოვნება თავისუფალ დროს

უპასუხეთ კითხვებს:

- რა სტრუქტურული ერთეულებია ამ მაგალითში? აღნიშნეთ სწორი პასუხი.
  - ინტრო, კუპლეტი, შემზადება; ☐
  - კუპლეტი, შემზადება; ☐
  - ინტრო, კუპლეტი; ☐
- ბანი ერთ ბგერაზე გაჩერებული რომელ მაგალითში არ არის? თან დაღმავალი სვლა აქვს, რითაც მელოდია უფრო საინტერესოა.
- არის თუ არა ეს მელოდია ზემოთ მოცემულ მაგალითებში?
- ინტრო რეპის სახით წარმოდგენილი რომელ მაგალითშია?
- რომელ მაგალითშია ინტრო, კუპლეტიც და შემზადებაც ერთ მელოდიაზე აგებული?

დავალება 4.



შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა) ორი გვერდი;

ბ) ერთი გვერდი;

გ) სამი გვერდი;

დ) ყველა გვერდი (მთლიანი კვარდატი).

გავეცანით დიჯეი ტრეკის სტრუქტურულ ერთეულებს. რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს თითოეული სტრუქტურული ერთეული? როგორ უნდა შეენაცვლოს ერთი მეორეს, ისე, რომ მწყობრი კომპოზიცია არ დაირღვეს? პასუხი ერთია — თითოეული სტრუქტურა მკაცრად, დიჯეი კვადრატებად უნდა დაიყოს. რა არის დიჯეი კვარდატი? წარმოიდგინეთ გეომეტრიული ფიგურა, კვადრატი. თანაბარი სიგრძის ოთხი გვერდისგან შედგება. ახლა წარმოიდგინეთ კვადრატი, რომლის თითოეული გვერდი 8 სანტიმეტრია. მუსიკით, თითოეული სანტიმეტრი დრამის დარტყმით გადმოიცემა. ე.ი. კვადრატის თითო გვერდი მუსიკით რვა დატრყმით გადმოიცემა. ქვემოთ მოცემულია კვადრატი, რომლის გვერდები 8 სანტიმეტრია. სანტიმეტრები წერტილებით არის გამოყოფილი. ***მოუსმინეთ დარტყმების რაოდენობას და გამოთვალეთ,*** რამდენი გვერდი იყო დასარტყამით გადმოცემული.

ხელოვნება თავისუფალ დროს

დავალება 5. დიჯეიმ მრავალი, სხვადასხვა ტრეკი უნდა გადააბას. გადაბმისას რიტმული „სლოკინი“ რომ არ შეიმჩნეოდეს, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ტრეკის კვადრატებად დაყოფა. სტრუქტურულ ერთეულებში კვადრატების რაოდენობა განსხვავებული შეიძლება იყოს. მაგალითად, ინტრო შეიძლება ორი კვადრატისგან შედგებოდეს, კუპლეტი — ოთხი კვადრატისგან, მოთელვა — ერთი და ა.შ. ***მოუსმინეთ ერთი კომპოზიციის სხვადასხვა ნაწილს.*** თითოეული ნაწილი ამ კომპოზიციის რომელიმე, ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. გამოიცანით, რომელი სტრუქტურული ერთეულია (ინტრო, კუპლეტი, შემზადება, თუ დროპი) და რამდენი კვადრატია თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში (შეგიძლიათი წინა სავარჯიშოს კვადრატი გამოიყენოთ). შეავსეთ ცხრილი.

მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი	ბრეიკის სტრუქტურული ერთეული	დიჯეი-კვადრატების რაოდენობა
ფრაგმენტი 1		
ფრაგმენტი 1		
ფრაგმენტი 1		
ფრაგმენტი 1		

უპასუხეთ კითხვებს:



1. რამდენი კვადრატია შემზადებაში?
2. შემზადება რა მელოდიაზე აგებულია — ინტროზე თუ კუპლეტზე?
3. სამკვადრატიანი რომელი სტრუქტურული ერთეულია?
4. დროპი როგორ მელოდიაზე აგებული, ახალზე, თუ სხვა ერთეულის?
5. ***მოუსმინეთ ამ მუსიკალურ მაგალითს.*** რომელ სტრუქტურულ ერთეულში ჟღერს ეს ჰარმონია?
6. დააკვირდით ამ ჰარმონიული სვლების სანოტო გამოსახულებას. ამ აკორდებში დისონანსური ინტერვალები გვხვდება? რა ინტერვალებია?

ხელოვნება თავისუფალ დროს

დავალება 6. სხვადასხვა ტრეკის გადაბმის დროს, არა მარტო კვადრატების თვლა, ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი. ***მოუსმინეთ*** ტრეკების სამ დაწყვილებას, რომელთა გადაბმისას შეცდომებია დაშვებული. გადახედეთ ცხრილს, რომელშიც შეცდომებია დასახელებული და მუსიკალურ მაგალითებში შეცდომა მიუსადაგეთ სათანადო ნომრებს.

რიტმების შეუთავსებლობა	
ტონალური შეუთავსებლობა	
სტილისტური ერთფეროვნება	

დავალება 7. ***მოუსმინეთ 4 ტრეკს*** (ტრეკები მოცემულია კუპიურებით (შემოკლებით)). დააწყვილეთ ტრეკები (შეავსეთ ცხრილი) და უპასუხეთ კითხვებს.

უპასუხეთ კითხვებს:

- მუსიკის რა მახასიათებლების (ჟღერადობის, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიული სვლების) მიხედვით დააწყვილეთ ტრეკები?
- რა პრინციპით (კონტრესტულობის, მსგავსებობის) დააწყვილეთ ტრეკები?
- თუ კონტრასტულობის პრინციპით დააწყვილეთ, რაში მდგომარეობს მათი კონტრასტი (ჟღერადობაში კონტრასტი, რიტმული, მელოდიური, ჰარმონიული, ჟანრობრივი კონტრასტი, კონტრასტი განწყობაში)?
- ამ კონტრასტულობას შედარების გზით როგორ აღწერდით?
- თუ მსგავსების მიხედვით დააწყვილეთ, რა მუსიკალური მახასიათებლებით მიამსგავსეთ (ჟღერადობით, რიტმით, მელოდიით, ჰარმონიით, ჟანრით, თუ განწყობით)?
- ამ მსგავსებას შედარების გზით როგორ აღწერდით?

ხელოვნება თავისუფალ დროს

IV ეზაპი. საბოლოო ნამუშევრის წარდგენა და შეფასება.

საბოლოო დავალებაზე მუშაობა (მესამე ნაწილი).

მოიფიქრე გარემო და მისი გაფორმება (დეკორაცია, ავეჯი, ავეჯის განლაგება, ჭურჭელი, მცენარეები, ჩაცმულობა, დრესკოდი, აქსესუარები, ვარცხნილობა, საკვების გაფორმება, გარემოს, ეზოს მოწყობა და სხვ.), რომელიც მიესადაგება შენი წვეულების კონცეფციას, თემას და შექმენი მოსამზადებელი ესკიზები. გადაწყვიტე, გასაფორმებლად კიდევ რა მხატვრულ და მუსიკალურ საშუალებებს, ხერხებს და ტექნოლოგიებს გამოიყენებ (განათება, ფერი, კონტრასტი, ფაქტურა, კომპოზიცია, აუდიო-ვიზუალური ეფექტები, დრონების შოუ და სხვ.) და შექმენი დასრულებული ესკიზი (ჩანახატი, კოლაჟი) ან მაკეტი სასურველი მასალითა და ტექნიკით. შექმენი დი ჯეი სეტი წვეულების დისკოთეკის ნაწილში.

წარმოადგინეთ:	◆ წვეულების კონცეფცია, თემა ◆ წვეულების სცენარი, გეგმა ◆ წვეულების ვიზუალური, მხატვრული გაფორმების ესკიზები და მუსიკალური გაფორმება
ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:	◆ რა იყო შენი/ შენი ჯგუფის იდეა, კონცეფცია/თემა, რომელი ეპოქა, კულტურა, მიმდინარეობა, სტილი შეარჩიე? ◆ ისაუბრე საღამოს/წვეულების სცენარზე, გეგმაზე. ◆ როგორ გამოიყენე შერჩეული ეპოქის, კულტურის, სტილის მხატვრული მახასიათებლები წვეულების/საღამოს გაფორმებისას? ◆ რა მხატვრული საშუალებები, ხერხები და ტექნოლოგიები გამოიყენე (განათება, ფერი, კონტრასტი, ფაქტურა, კომპოზიცია, აუდიო-ვიზუალური ეფექტები, დრონების შოუ და სხვ.)? ◆ როგორ შექმენი ესკიზები (ჩანახატი, კოლაჟი), მაკეტი. ხელოვნების რა ხერხები, საშუალებები, მასალა და ტექნიკა გამოიყენე? ◆ წვეულების/საღამოს გასაფორმებლად რა მუსიკალური ხერხები და საშუალებები გამოიყენე, რისთვის და როგორ? ◆ პროექტის წარსადგენად რა ფორმა შეარჩიე?

3 პროექტი: ტურიზმი და ხელოვნება

საათი

ხანგრძლივობა 12 საკონტაქტო საათი

ტურიზმი და ხელოვნება

პროექტის მიზანი:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობა და მისი მნიშვნელობის გავრცელება მსოფლიოში და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. კულტურული ტურიზმის როლის გააზრება ქვეყნის პოპულარიზაციასა და ეკონომიკაში. ამ მიმართულებით საკუთარი ძალების მოსინჯვა

პროექტის მკვიდრი წარმოდგენები:

- არსებობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კულტურული ტურიზმი, რომელშიც ხელოვნებას დიდი ადგილი უკავია.
- კულტურული ტურიზმი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისა და პოპულარიზაციისათვის.

ვიზუალური ხელოვნება:

1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა
2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები
3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი, ფორმა და დანიშნულება
4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნება

მუსიკა:

1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი
2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები
3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა

საკითხები:

- ხელოვნება ტურიზმის სამსახურში.
- კულტურული მემკვიდრეობა (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, არქიტექტურა) და ტურიზმი.
- თანამედროვე ხელოვანები და ტურიზმი.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ შევადგინო საქართველოს რომელიმე რეგიონის, კუთხის, ქალაქის ტურისტული მარშრუტი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ და საინტერესო კუთხით გასაცნობად?
- როგორ მოვაწყო საინტერესო ღონისძიება, სადაც ტურისტები ეზიარებიან/გაეცნობიან როგორც ძველ, ტრადიციულ, ისე თანამედროვე ქართულ ხელოვნებას/ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებას?

ტურიზმი და ხელოვნება

პროექტის საბოლოო დავალება:

შექმენი ტურისტული გზამკვლევი.

შეარჩიეთ საქართველოს რომელიმე რეგიონი, კუთხე, ქალაქი. გაანალიზეთ ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი (რა სახის კულტურული ტურიზმი შეიძლება განვითარდეს და რა ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს ამ პოტენციალის გასავითარებლად (destination management, tourist administration) შეადგინეთ საინტერესო ტურისტული მარშრუტის მონახაზი, რომელშიც შევა შერჩეული კუთხის/რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის/ძეგლები (ხელოვნების ნიმუშების, გავრცელებული დარგების, დარგის ოსტატების, სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა, ადგილობრივი ხალხური ანსამბლები, ლანდშაფტის თავისებურება და ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორი და სხვ.), ინფორმაცია მათ შესახებ და რაც ხელს შეუწყობს პოპულარიზაციას. აარჩიეთ ტურიზმის კიდევ რა მიმართულებას/სახეობას შეუხამებთ (კულინარიული, ეთნო, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და ოსტატების ნამუშევრები, ფოლკლორული ანსამბლები, ქართული სუფრის წესები, ბუნებრივი ნაკრძალები და ა.შ.).

გზამკვლევი წარმოადგინეთ Facebook გვერდის სახით, სადაც თქვენ მიერ შექმნილი ვიდეორგოლიც იქნება განთავსებული.

გზამკვლევთან ერთად მოიფიქრეთ ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფცია, სადაც ტურისტები ძველი, ტრადიციული ხელოვნების ნიმუშებთან ერთად და თანამედროვე ხელოვნებასაც გაეცნობიან.

სასურველი ტექნიკით და მასალით შექმენით ტურისტული მარშრუტის ბუკლეტი, ფლაერი, გამოიყენე შესაბამისი გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები.

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რომელი რეგიონი, კუთხე, ქალაქი აირჩიეთ, რატომ? მარშრუტში რომელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ძეგლები ხელოვნების ნიმუშები, გავრცელებული დარგები, დარგის ოსტატები, ადგილობრივი ხალხური ანსამბლები, ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორი და სხვ. შეიტანეთ?
- ძეგლების შექმნის პერიოდი, მხატვრულ მახასიათებლები.
- რეგიონის, კუთხის, ქალაქის ტურისტული პოტენციალის ანალიზი (რა სახის კულტურული ტურიზმი შეიძლება განვითარდეს და რა ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს ამ პოტენციალის გასავითარებლად).
- კულტურულ ტურიზმს კიდევ რა მიმართულებას/სახეობას შეუხამებთ?

ტურიზმი და ხელოვნება

პროექტის საბოლოო დავალება:

- როგორი სახით, ფორმით წარმოადგინეთ ტურისტული გზამკვლევი? რა ტექნიკა, მასალა გამოიყენეთ გზამკვლევის შესაქმნელად?
- როგორ შექმენით ვიდეორგოლი? რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენეთ? შერჩეული კუთხის, რეგიონის შესახებ ტურისტისთვის საინტერესო ინფორმაცია როგორ გადმოეცით?
- რა ღონისძიება, ფესტივალი დაგეგმეთ, როგორია კონცეფცია, რომელი დარგის და პერიოდის ხელოვნებას წარმოადგენთ?
- რომელ მუსიკალურ კოლექტივებს, ხელოვანებს აირჩევთ ტურისტული ღონისძიებებისა და ფესტივალისთვის, რა ნიშნით აირჩიეთ კოლექტივები?
- რა ფორმით მოხდება ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია? რომელ მუსიკალურ და სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს გამოიყენებთ?
- რატომ უნდა აირჩიოს ტურისტმა ეს შეთავაზება/შეთავაზებული ადგილი (მარშრუტი, ლოკაცია, ძეგლი, ღონისძიება და ა.შ.)?
- როგორ შექმენით ბუკლეტი, ფლაერი, რა მასალა, ტექნიკა და გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენეთ? დაასაბუთეთ არჩევანი.

პროექტის სტრუქტურა:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება	1. პროექტის თემა, პროექტის მიზანი, პროექტის საბოლოო დავალება, შეფასება 2. მასალის გაცნობა ტურიზმზე, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, სხვადასხვა ქვეყნის და საქართველოს კულტურის გასაცნობად მოწყობილ ღონისძებებზე, ფესტივალებზე და სხვ.
II ეტაპი. ზოგადი ინფორმაციის გაცნობა ტურიზმის, მისი სახეობების, კულტურული მემკვიდრეობის რაობის და სახეების, ეკოლოგიისა და სხვ. შესახებ. კვლევა ქართული ტურიზმის შესახებ.	◆ ზოგადი ინფორმაციის გაცნობა ტურიზმის, მისი სახეობების, კულტურული მემკვიდრეობის რაობის და სახეების, ეკოლოგიისა და სხვ. შესახებ. ◆ კვლევა ქართული ტურიზმის შესახებ.

ტურიზმი და ხელოვნება

III ეტაპი. საქართველოს რეგიონების/კუთხეების შერჩევა და მათში არსებული კულტურის ძეგლების, ასევე სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ (მაგ. კულინარია, ხალხური რეწვის ოსტატები, ფოლკლორი, ბუნების ძეგლები და სხვ.) ინფორმაციის შეგროვება. კონკრეტული ძეგლების, ღირსშესანიშნაობების შერჩევა და ტურისტული მარშრუტის შემუშავება/დაგეგმვა.	◆ საქართველოს რეგიონების/კუთხეების შერჩევა და მათში არსებული კულტური ძეგლების, ასევე სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ (მაგ. კულინარია, ხალხური რეწვის ოსტატები, ფოლკლორი, ბუნების ძეგლები და სხვ.) ინფორმაციის შეგროვება ◆ კონკრეტული ძეგლების, ღირსშესანიშნაობების შერჩევა და ტურისტული მარშრუტის შემუშავება/დაგეგმვა.
IV ეტაპი. მარშრუტში შესულ კულტურის ძეგლებზე ინფორმაციის (ხელოვნების დარგების და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები, ხალხური სიმღერები და სხვ.) მოძიება და დამუშავება.	◆ მარშრუტში შესულ კულტურის ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება და დამუშავება
V ეტაპი. ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფციის შემუშავება და დაგეგმვა.	◆ ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფციის შემუშავება და დაგეგმვა (თემატიკა, ადგილი, გაფორმება, პროგრამა და სხვ.)
VI ეტაპი. Facebook გვერდის, ვიდეორგოლის, ბუკლეტების, ფლაერების შექმნა.	◆ საინფორმაციო/სარეკლამო ტურისტული ბუკლეტი, ფლაერი (შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე, ტექნიკა), ესკიზი ◆ Facebook გვერდი ◆ ტურისტული ვიდეორგოლი
VII ეტაპი. საბოლოო ნამუშევრის წარდგენა და შეფასება	◆ ტურისტული გზამკვლევი Facebook გვერდის სახით (მარშრუტი, ძეგლები (მატერიალური, არმატერიალური) და სხვა ღირსშესანიშნაობები, ინფორმაცია ძეგლების და სხვ. შესახებ და სხვ.) ◆ ტურისტული ვიდეორგოლი ◆ ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფცია ◆ ტურისტული ბუკლეტი, ფლაერი

ტურიზმი და ხელოვნება

პროექტის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება

1 **პროექტის თემის, მიზნის, საბოლოო დავალების, შეფასების გაცნობა**

შეფასება

სტუდენტს შეუძლია:

1	კულტურული ტურიზმისთვის რეგიონის, კუთხის, ქალაქის შერჩევა, არჩევანის დასაბუთება.
2	რეგიონის, კუთხის, ქალაქის ტურისტული პოტენციალის ანალიზი და პოპულარიზაციისთვის მარშრუტის შედგენა.
3	მარშრუტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის/ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების, გავრცელებული დარგების, დარგის ოსტატების, ადგილობრივი ხალხური ანსამბლების, ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორის და სხვ. მოძიება და შეტანა.
4	ტურისტულ მარშრუტში შეტანილ, სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე, მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, შექმნის პერიოდზე, გავრცელებულ დარგებზე, დარგის ოსტატებზე, ადგილობრივ ხალხურ ანსამბლებზე, ადგილობრივ მუსიკალურ ფოლკლორზე ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.
5	კულტურულ ტურიზმთან ერთად ტურიზმის სხვა მიმართულების /სახეობების შერჩევა.
6	სხვადასხვა მასალით, ტექნიკით და ფორმით (Facebook გვერდი, ვიდეორგოლი) ტურისტული გზამკვლევის შექმნა და მუსიკალური და სახვითი ხელოვნების მხატვრულ -გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების გამოიყენება.
7	ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისთვის ღონისძიების, ფესტივალის კონცეფციის შემუშავება — დაგეგმვა.
8	ტურისტული ღონისძიებისთვის, ფესტივალისთვის მუსიკალური კოლექტივების, ხელოვანების და სხვ. არჩევა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისთვის; მუსიკალურ და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებების და ხერხების შერჩევა და გამოყენება მის მოსაწყობად და გასაფორმებლად.
9	დასაბუთება, რატომ უნდა აირჩიოს ტურისტმა შეთავაზებული ტურისტული პროდუქტი.

აქტივობა 1.
დაფიქრდი მოცემულ კითხვებზე:

- როგორ შევარჩიო საქართველოს რომელიმე რეგიონი, კუთხე, ქალაქი? როგორ შევადგინო ტურისტული მარშრუტი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ და საინტერესო კუთხით გასაცნობად?

ტურიზმი და ხელოვნება

აქტივობა 1.
დაფიქრდი მოცემულ კითხვებზე:

- როგორ მოვაწყო საინტერესო ღონისძიება, ფესტივალი სადაც ტურისტები ეზიარებიან/გაეცნობიან როგორც ძველ, ტრადიციულ, ისე თანამედროვე ქართულ ხელოვნებას/ ქართველი ხელოვანების შემოქმედებას?
- როგორ შევქმნა ტურისტული გზამკვლევი, ბუკლეტი, ფლაერი?

დავალება 1. იფიქრე ამ კითხვებზე და წარმოადგინე მოსაზრებები, პროექტის განსახორციელებლად რა ცოდნა გაქვს, რისი ცოდნა გჭირდება.

ჩამოწერე საკითხები, თემები, რისი ცოდნაც ამ პროექტის განსახორციელებლად გჭირდება.

- **მასალის გაცნობა საქართველოში და საზღვარგარეთ მოგზაურობაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, სხვადასხვა ქვეყნის კულტურის გასაცნობად მოწყობილ ფესტივალებზე, ღონისძებებზედა სხვ.**

დავალება 2. დაათვალიერე ილუსტრაციები და ბმულებში არსებული მასალა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, სხვადასხვა ქვეყნის კულტურის გასაცნობად მოწყობილ ფესტივალებზე, ღონისძებებზე და სხვ. შეეცადე უპასუხო შეკითხვებს:

- მონაწილეობდი ტურისტულ ტურში? რა სახის ტური იყო?
- ისაუბრე პირად ტურისტულ გამოცდილებაზე, სად ყოფილხარ, რა მოგეწონა, რა არა?
- სად გეგმავ (ოცნებობ) წასვლას, მოგზაურობას? მოგზაურობის დასაგეგმად რა ტიპის ინფორმაცია დაგჭირდებოდა?
- რომელი ტურისტული საიტი, გვერდი, მარშრუტი მოგეწონა? რამდენად ინფორმაციული და მიმზიდველი იყო მასალა (ვიზუალური, შემოთავაზებული პირობები და სხვ.)? შეცვლიდი ან დაამატებდი რამეს?

რესურსი:

ქართული ან უცხოური ტურისტული მარშრუტების ნიმუშები:

- ინგლისურენოვანი გვერდი საქართველოს ტურისტული ადგილების შესახებ
- ქართულენოვანი საიტი საქართველოს ტურისტული ადგილების შესახებ
- ტურისტული კომპანიის გვერდი საზღვარგარეთის ტურისტული ადგილების შესახებ
- მოგზაურობა საბერძნეთში
- სვანეთი
- თუშეთი
- Soso eround the world: www.youtube.com
- ტურისტული საქართველო საიმიჯო კლიპი

ტურიზმი და ხელოვნება

რესურსი:

ქართული ან უცხოური ტურისტული მარშრუტების ნიმუშები:

- ტურისტული ფესტივალები www.youtube.com
- წინანდლის ფესტივალი
- თანამედროვე ცეკვის და ექსპერიმენტული ხელოვნების ფესტივალი www.youtube.com
- ჭიათურის ფესტივალი

II ეტაპი. ზოგადი ინფორმაციის გაცნობა ტურიზმის, მისი სახეების, კულტურული მემკვიდრეობის რაობის და სახეების, ეკოლოგიისა და სხვ. შესახებ. კვლევა ქართული ტურიზმის შესახებ.

აქტივობა 1.

ტურიზმი აქტიური დასვენების ერთ-ერთი ნაირსახეობაა. სიტყვა „ტურიზმი“ (tourisme, სიტყვისგან tour) ფრნგულად „მოგზაურობას“ ნიშნავს. ტურიზმი სამსახურისგან თავისუფალ დროს მოგზაურობას გულისხმობს. ამავე დროს ის არის თვალსაწიერის გაფართოების, სხვადასხვა კულტურის გაცნობის, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გააზრების, ბუნებრივი რესურსების, ძეგლების დაცვის საშუალებაა. ტურიზმის სხვადასხვა სახეობა არსებობს. რომლებიც განსაზღვრავენ ტურისტულ ტურებს, რომელიც ტურისტული მარშრუტებისა და ღონისძიებებისგან შედგება. გაეცანით ტურიზმის რამდენიმე სახეობის განმარტებებს და ისინი გარკვეული ნიშნით ხელოვნების ნიმუშებს თუ მუსიკალურ მაგალითებს დაუკავშირეთ. ხელოვნების ნიმუშის სურათის და მუსიკალური მაგალითის ნომერი მიუწერეთ ცარიელ კვადრატში თუ სამკუთხედში ტურიზმის სახეობის განმარტების შესაბამისად. *გახსენით ბმული*

ექსკურსიული ტურიზმი

თვალსაწიერისა თუ ინტელექტის გაფართოების მიზნით დაგეგმილ მოგზაურობას გულისხმობს. ამ მოგზაურობის დროს ადამიანები ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ ძეგლებს (სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი, მუსიკალური ღონისძიებები და ა.შ.).

ეგზოტიკური ტურიზმი

უჩვეულო, ყოველდღიურობისგან განსხვავებული მოვლენის შემეცნებას და შეგრძნებას გულისხმობს. ამ მოგზაურობის დროს ადამიანები განსხვავებულ კლიმატურ პირობებში იმყოფებიან, განსხვავებულ ფლორას და ფაუნას, ნაციონალურ სამზარეულოს და ადათ-წესებს ეცნობიან.

რელიგიური ტურიზმი

სხვადასხვა რელიგიური ადგილებისა და ძეგლების მონახულებას, მომლოცველობას გულისხმობს.

გასართობი ტურიზმი

მსოფლიოს სხვადასხვა ფესტივალებზე დასწრებას, დღესასწაულებების მონახულებას და მათში მონაწილებას გულისხმობს.

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რომელი კულტურა და დარგების ნიმუშებია მეორე და მესამე სურათებზე?
- ტურიზმის რომელ სახეობას დაუკავშირე ეს სურათები და რატომ?
- რომელ სურათებშია ხალხური რეწვის ნიმუში?
- ტურიზმის რომელ სახეობებს დაუკავშირებდი ამ სურათებს და რატომ?
- რამდენ მუსიკალურ ფრაგმენტში ჟღერს ევროპული ორკესტრის ხმა?
- ტურიზმის რომელ სახეობას დაუკავშირე პირველი სურათი? რატომ?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი დაუკავშირე ტურიზმის ამ სახეობას და რატომ?

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რომელი სურათი დაუკავშირე რელიგიურ ტურიზმს?
- ხელოვნების რომელ დარგს შეიძლება დაუკავშირო ეს სურათი და რატომ?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი დაუკავშირე ამ სურათს?
  - რის მიხედვით დაუკავშირე? შეარჩიე ან მოიფიქრე მისაღები პასუხი. მუსიკის განწყობის მიხედვით, ახსენი რა განწყობაა?
  - მუსიკის განწყობის მიხედვით. ახსენი რა განწყობაზეა საუბარი;
  - მუსიკის ჟღერადობის მიხედვით, ახსენი რა ჟღერადობაა;
  - მუსიკალური ინტონაციების მიხედვით. ახსენი რა ინტონაციებია?
  - სხვა;
- ტურიზმის რომელ სახეობას შეარჩევდი შენი კუთხის წარმოსაჩენად და რატომ?

აქტივობა 2.

გაეცანით ტურიზმის სახეობებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე, ეკოლოგიასა და ტურიზმზე ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას. იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- ტურიზმის რომელ სახეობებს იცნობდი და რომელს არა? რა გაიგე ახალი?
- იცოდი რა არის კულტურული მემკვიდრეობა? რა და რა სახის კულტურული მემკვიდრეობა არსებობს?
- იცნობ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს? კულტურული მემკვიდრეობის რა სახეობას მიეკუთვნებიან?
- რა ნიშნით ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი?
- როგორ და რატომ უნდა დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობა? რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსთვის, ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანისთვის?

რესურსი:

- ტურიზმის სახეობები
- ტურიზმის საფუძვლები
- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
- კულტურული მემკვიდრეობის პორტალი

დავალება 2. ჩაატარეთ კვლევა ქართულ ტურიზმზე. ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: პრიორიტეტული ტურიზმის სახეობები, შიდა და გარე ტურიზმი, რეგიონები და კუთხეები, შემოსავალი, ტურისტული სააგენტოები, არსებული პრობლემები, გადაჭრის გზები და სხვ. დავალების შესასრულებლად გამომაგდებათ ქვემოთ მოცემული რესურსებიც:

ტურიზმი და ხელოვნება

რესურსი:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო
  კვლევები
- საქართველოს ტურისტული გზამკვლევი. რა ვნახო საქართველოში
- ნიკო კვარაცხელია, კულტურული ტურიზმი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2009
- თამარ კიკნაძე, ლეილა ჭიჭინაძე, კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული სასაჩუქრე პროდუქცია ტურისტული ბაზრისთვის, თბილისი, 2022

III ეტაპი. საქართველოს რეგიონების/კუთხეების შერჩევა, მათი კუთვნილი კულტურის ძეგლების და სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ (მაგ. კულინარია, ხალხური რეწვის ოსტატები, ფოლკლორი, ბუნების ძეგლები და სხვ.) ინფორმაციის შეგროვება. კონკრეტული ძეგლების, ღირსშესანიშნაობების შერჩევა და ტურისტული მარშრუტის შემუშავება/დაგეგმვა.

აქტივობა 1.

როგორც უკვე ვთქვით, ტურიზმი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის გააზრების საშუალებაა. ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხალხის ყოფას, ცხოვრების წესს, ადათ-წესებს, საცხოვრებელი და სამლოცველო ნაგებობების იერს, ყოველივეს, რასაც კულტურას ვუწოდებთ. განსაკუთრებით ეს ეხება ხალხურ მუსიკას. უკეთ რომ გავიაზროთ, როგორი გავლენა აქვს ბუნებრივ გარემოს ხალხურ მუსიკაზე, ეს აქტივობა შევასრულოთ. თქვენ წინაშეა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სურათები. ***მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს*** და თითოეულ სურათს მიუსადაგეთ იმ კუთხის სიმღერა, რომელიც თქვენი აზრით მოუხდება. სურათის ცარიელ უჯრაში მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი ჩაწერეთ.

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რა სახეობის ტურიზმს შეურჩევდით კადრებში ასახულ საქართველოს კუთხეებს და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რომელი კუთხის ხალხური სიმღერაა პირველ ფრაგმენტში?
- რა განწყობას გიქმნით ეს სიმღერა?
- რომელი სურათი გიქმნით მსგავს განწყობას?
- რომელ სურათში ჩანს ბუნება განსაკუთრებით დიადი? რატომ?
- მიხვდით საქართველოს რომელი კუთხეა?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მოუხდებოდა ამ სურათს? რატომ?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს მოუხდებოდა აღწერა: „მოძრავი, მრავალფეროვანი, რიტმული ფიგურებით დახუნძლული სიმღერის თითოეული ხმის პარტია“? სიმღერა, რომლის თითოეული ხმის პარტია მოძრავი, მრავალფეროვანი და რიტმული ფიგურებით დახუნძლულია.
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში ჟღერს გურული კრიმანჭული?
- რომელ სურათს მიუსადაგეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტი?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში, ჟღერს კახური სიმღერა?
- როგორ აღწერდით ამ სიმღერის მელოდიას? შეარჩიეთ მისაღები პასუხი ან მოიფიქრეთ:
  - წყვეტილი, მოკლე მუსიკალური ფრაზებისგან შედგენილი მელოდია
  - დიდი გრძლიობის ბგერებზე აგებული, მუსიკალური ორნამენტებით მოქარგული ფართო სუნთქვის მელოდია;
  - მოკლე ბგერებზე აგებული, მოძრავი, რიტმული ფიგურაციებისგან შედგნილი მელოდია;
  - სხვა;
- რომელ სურათს დაუკავშირეთ ეს მუსიკალური ფრაგმენტი და რატომ?

დავალება 1. შეარჩიე საქართველოს რომელიმე რეგიონი, კუთხე ან ქალაქი (საკუთარი ან რომელიმე სხვა), რომლის ტურისტულ მარშრუტსაც შეადგენ. მოიძიე ინფორმაცია ამ რეგიონის კულტურული ძეგლების და სხვა ღირსშესანიშნაობების (მაგ. კულინარია, ხალხური რეწვის ოსტატები, ფოლკლორი, ბუნების ძეგლები და სხვ.) შესახებ. დაგეხმარება ქვემოთ მოცემული რესურსიც.

ტურიზმი და ხელოვნება

რესურსი:	• საქართველოს ტურისტული გზამკვლევი. რა ვნახო საქართველოში • ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი www.facebook.com • საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია • ვარძია (საქართველოს ეროვნული ტურიზმის სააგენტოს გვერდი): • ანგი
აქტივობა 2.	გაეცანი ქვემოთ მოცემულ რესურსებს ტურისტული კომპანიის მიერ დაგეგმილი ტურის, მარშრუტის შესახებ.
რესურსი:	• ვიდეორგოლი, ტურისტული მარშრუტი ნარიყალა (თბილისი) • ვიდეორეპორტაჟი, ტურისტული მარშრუტები, მესტია (სვანეთი) • TEAM TRAVEL
პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა (ნაწილი პირველი):	დაგეგმეთ ტური და შეადგინეთ მარშრუტი. ამისთვის შეარჩიეთ კონკრეტული ძეგლები, ღირსშესანიშნაობები, აქტივობები.

IV ეტაპი. მარშრუტში შესულ კულტურის ძეგლებზე ინფორმაციის (ხელოვნების დარგების და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები) მოძიება და დამუშავება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:

დავალება 1. ტურისთვის შერჩეულ ძეგლებზე მოიძიეთ ინფორმაცია, დაამუშავეთ, დაახარისხეთ და შეაგროვე სასურველი ფორმით. ინფორმაცია ძეგლის/ძეგლების შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- **ძეგლის დასახელება, დარგი**
- **ძეგლის შექმნის პერიოდი**
- **მხატვრული მახასიათებლები** (დარგის (მაგ. არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, რელიეფი, მოზაიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება), ეპოქის, საქართველოს კუთხის/რეგიონის მახასიათებლები)
- **ძეგლის მდგომარეობა**
- **მიეკუთვნება თუ არა კულტურულ მემკვიდრეობას**
- **ვიზუალური მასალა**

ტურიზმი და ხელოვნება

1. 🔎 დააკვირდი ამ ორ მაგალითს. რომელია კოლაჟი და რომელია აპლიკაცია? მიუწერეთ ლიტერა „ა“ აპლიკაციას, ხოლო ლიტერა „კ“ კოლაჟს



სურათი IX. *დავით კაკაბაძე „აბსტრაქცია კოლაჟი“*

❓ რომელი ტექნიკის მახასიათებლებია? თითოეული მახასიათებლის ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ სათანადო ტექნიკის სახელწოდების საწყისი ასო („ა“ ან „კ“).

- ეს ტექნიკა ერთგვაროვანი მასალისგან (ძირითადად ქაღალდი) ამოჭრილი ელემენტების (ფიგურების) გამოყენებას გულისხმობს; ☐
- ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები დეკორატიულობის გარდა, რთულ მხატვრულ კონცეფციასაც შეიცავენ; ☐
- ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები, ძირითადად დეკორატიული ხასიათისაა. ☐
- ეს ტექნიკა სხვადასხვა კონტრასტული მასალის (ხე, შუშა, რკინა და ა.შ.) ელემენტების გამოყენებას გულისხმობს. ☐

2. 🔎 დააკვირდით ამ ორ მაგალითს და აღნიშნეთ + ნიშნით რომელია თქვენთვის უფრო საინტერესო და სასიამოვნო საყურებლად (ჩასვით „+“ სათანადო სურათის ცარიელ უჯრაში)

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რომელი სურათის თვალიერება უფრო გსიამოვნებთ? რატომ?
- სხვა სურათი რატომ არის ნაკლებად სასიამოვნო?
- რომელია კოლაჟი და რომელია აპლიკაცია?
- ასე რატომ ფიქრობთ?
- თქვენი აზრით, სურათი 1 როგორ ინტერიერს მოუხდებოდა?
- როგორ ფიქრობთ, დაკიდებდით ამ სურათს სამუშაო მაგიდასთან? რატომ?
- რომელი ტექნიკა უფრო სახალისოა თქვენთვის? რატომ?

ეს საინტერესოა:

კოლაჟი სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე სახალისო და მრავალფეროვანი სახეობაა, თუმცა კოლაჟის ნამუშევარი არ იქმნება ტრადიციული მეთოდით და მასალებით (საღებავები, ფანქრები, პასტელები), მზადდება სხვადასხვა მასალისგან, როგორებიცაა: ნაჭრები, ნაკუწები, ზოგჯერ — ნივთების კომბინაციით. ამ ელემენტებს ძირითადად წებოთი აერთებენ.

კოლაჟის პირველი ნამუშევარი 1912 წელს, პაბლო კიკასომ შექმნა და გამოფენაზე გამოიტანა „***ნატურმორტი დაწნილი სკამით***“.

სურათი X. პაბლო პიკასო
„ნატურმორტი დაწნილი სკამით“

ტურიზმი და ხელოვნება

აქტივობა 3.

🔎 დააკვირდი ნამუშევრებს და უპასუხე კითხვებს:

- შეიძლება თუ არა, ორივე ფოტოკოლაჟი იყოს? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, თუ აპლიკაციის ძირითადი მასალა ქაღალადია, რატომ უწოდებენ ფოტოსურათებით შექმნილს კომპოზიციას ფოტოკოლაჟს და არა ფოტოაპლიკაციას?
- როგორც უკვე ვთქვით, კოლაჟი იქმნება გარკვეული იდეის ან რაიმე კონცეფციის გადმოსაცემად. რა საერთო იდეით შეგიძლიათ გააერთიანოთ ეს ორი ნიმუში? შეარჩიეთ პასუხი:
  - *ყველა თავისებურად ხედავს რეალობას;*
  - *ადამიანს რთული შინაგანი სამყარო აქვს;*
  - *ადამიანის პიროვნებას გარე სამყაროში არსებული მრავალი, სხვადასხვა ფაქტორი აყალიბებს;*
  - *სხვა. ახსენით თქვენი არჩევანი.*

აქტივობა 4.

უკვე ვთქვით ფოტოკოლაჟის და მისი მახასიათებლების შესახებ. ამჯერად ფოტოკოლაჟის ნაირსახეობას განვიხილავთ, — როგორ შეიძლება კოლაჟის აგება, როგორ აისახება ჩანაფიქრი ან იდეა. დააკვირდით კიდევ ორ მაგალითს და უპასუხეთ კითხვებს.

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- კოლაჟის იდეის, შინაარსის ამოსაცნობად, ცალკეულ ფოტოზე დაკვირვება რომელ მაგალითში გვჭირდება?
- რომელ ნამუშევარს ნახავდი ახლოდან? რომელს შორიდან?
- ფოტოსურათების განლაგებით რომელ კოლაჟში ამოიკითხე შინაარსი?
- მაგალით „ა“ ში განსხვავებული ზომის სურათები რატომ არის? რა საჭიროა სხვადასხვა ზომის სურათები? ცხრილში ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი აღნიშნეთ 3 ქულით და ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი 1 ქულით.

კომპოზიცია	შინაარსი	ცალკეული სურათის უკეთ აღქმა

- ცხრილი ასე რატომ შეავსეთ?

აქტივობა 5.

🔎 დააკვირდი ფოტოკოლაჟებს და ნომრები კომპოზიციის ტიპებს მიუსადაგე:

ასიმეტრიული	☐	სიმეტრიული	☐
ფრიზული	☐	სტატიკური	☐
ფრაგმენტული	☐	დინამიკური	☐

➡

ტურიზმი და ხელოვნება

აქტივობა 6.

კომპოზიციების აღწერებს მიუწერე შესაბამისი ციფრები, რომლებიც ზემოთ, კომპოზიციის ტიპებს მიუსადაგე.

- ფიგურათა განლაგება ერთ ხაზზე, ნამუშევარში რიტმზე, ფიგურათა განმეორებაზე მნიშვნელობის მინიჭება. ☐
- ნამუშევარში მკაფიოდ გამოყოფილი გეომეტრიული ცენტრი, რომლის ორივე მხარეს გამოსახულებები თანაბრად ნაწილდება. ☐
- კომპოზიციაში დარღვეული წონასწორობა, გამოსახულებების არათანაბარი განაწილება, ნამუშევარში მოძრაობის, დაძაბულობის შეგრძნება. ხშირ შემთხვევაში ფიგურების დიაგონალზე განლაგება. ☐
- ნამუშევარში ამბის თითქოს, მხოლოდ ნაწილის გამოსახვა, რომელიც ჩარჩოს მიღმა გრძელდება. ☐
- ნამუშევარში ფიგურების უძრავად, თითქოს გაშეშებულად გამოსახვა. ☐

აქტივობა 7.

დააკავშირე კომპოზიციის პრინციპის მიხედვით ფოტოკოლაჟები და ფერწერული ნამუშევრები.

სურათი XI. სან აპოლინარე ნოუვოს ფრიზული მოზაიკა

სურათი XII. პიტერ პაულ რუბენსი „გარდამოხსნა“

ტურიზმი და ხელოვნება

სურათი XIII. ლეონარდო დავინჩი „საიდუმლო სერობა“

სურათი XIV. ედგარ დეგა

სურათი XV. ცაკუშიკა ფოკუსია „დიდი ტალღა“

სურათი XVI. ჟაკ ლუი დავიდი „ჰორაციუსის ფიცი“

ტურიზმი და ხელოვნება

დავალება: სატელეფონო ან კომპიუტერული პროგრამებით ააწყვე ფოტოკოლაჟი, ერთდროულად: სიმეტრიული, ასიმეტრიული, დინამიკური ფრიზული, ფრაგმენტული.

დააკვირდი კლოდ მონეს ნამუშევრებს „რუენის ზაძარი“ და უპასუხე კითხვებს:

სურათი XVII. *კლოდ მონე „ რუენის ტაძარი“*

უპასუხე კითხვებს:

- რა განწყობას გიქმნის?
- რომელი უფრო მოგწონს და რატომ?
- დღე-ღამის რომელ მონაკვეთში ნახავდი ამ ტაძარს, რატომ?
- რომელი ნამუშევარი გიქმნის სადღესასწაულო განწყობას?
- რომელზე ფიქრობ, რომ უფრო მკაცრია?
- რომელი გამშვიდებს?
- რომელზე მოიწყინე?
- კიდევ რა განწყობებს გიქმნის? იმსჯელე შენს მოსაზრებებზე.

ტურიზმი და ხელოვნება

დააკვირდი ჯვრის მონასტრის ფოტოებს და უპასუხე კითხვებს:

- ჯვრის მონასტერი როგორ ერწყმის გარემოს?
- როგორ ფიქრობ, მნიშვნელოვანია არქიტექტურული ნაგებობა გარემოს ერწყმოდეს?

- განათება განწყობას როგორ ცვლის?
- განათება ფერებს როგორ ცვლის?



- ფოტოების მიხედვით იმსჯელე, განათება რამდენად მნიშვნელოვანია ნამუშევარში.
- შეიძლება განათებამ არქიტექტურული ნაგებობის მიმართ დამოკიდებულება შეგიცვალოს? რატომ? დაასაბუთე პასუხი;
- როგორი განათება უფრო გხიბლავს, ბუნებრივი თუ ხელოვნური?
- ბუკლეტისთვის ფოტოებს როგორ განათებაში და ამინდში გადაიღებდი, რატომ?

ტურიზმი და ხელოვნება

ფერს შეუძლია იდეის/განწყობის გადმოცემა?

- [ ] ამ ფოტო კოლაჟში თბილი ფერები ჭარბობს რომელში ჭარბობს?
- [ ] ცივი რომელში?
- [ ] რომელია მონოქრომული?
- [ ] ერთი შეხედვით, მთლიანი – ფოტოკოლაჟის კომპოზიცია როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს მონოქრომულს თუ–პოლიქრომულს?
- [ ] ნამუშევარში როგორი ფერები ჭარბობს, კონტრასტული თუ ფერთა გრადაციები?
- [ ] რომელი ფოტოს ფერები უფრო მოგწონს შენ და რატომ?

- კოლაჟის ტექნიკა ტურისტული ბუკლეტის გასა–ფორმებლად გამოდგება?
- ბუკლეტის შექმნისას კომპოზიციური განაწილება მნიშვნელოვანია?
- ტურისტული ბუკლეტის შექმნისას, როგორ კომპო–ზიციას მიანიჭებდი უპირატესობას და რატომ?
- ფოტო–მასალის გარდა, რა მასალას გამოიყენებ ბუკლეტის დასამზადებლად?
- ბუკლეტის დასამზადებლად აპლიკაციის ტექნიკა გამოგადგება?
- ბუკლეტის რა ნაწილს გააფორმებ აპლიკაციით? (ყდას, შიდა გვერდებს, უკანა გვერდს).

ტურიზმი და ხელოვნება

მუსიკა:

აქტივობა 8.

ქართულ სიმღერაში სხვადასხვა ფორმის მრავალხმიანობა არსებობს. კონკრეტული რეგიონის სიმღერებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი, რომელიმე ფორმა. ყურადღებით წაიკითხეთ მრავალხმიანობის თითოეული ფორმის განმარტება და მიუსადაგეთ წინა დავალებაში (*III ეტაპის, აქტივობა 1*) მოცემული მუსიკალური ფრაგმენტები. ჩაწერეთ მუსიკალური ფრაგმენტების ნომერი სათანადო ცარიელ უჯრაში. შეიძლება ერთ ფორმას ერთზე მეტი მუსიკალური ფრაგმენტი ესადაგებოდეს ***გახსენით ბმული***

☐ **ბურდონი** — ერთ ბგერაზე გამღერებული ბანის ფონზე ზედა ხმათა (ხმის) მოძრაობა;

☐ **სინქრონული ხმათასვლა** — ხმათა ერთდროული მოძრაობა აკორდებზე. ამ შემთხვევაში ხმები ერთდროული მოძრაობით სხვადასხვა აკორდებს ქმნიან;

☐ **თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა** — ხმათა შეუზღუდავი მოძრაობა. ამ შემთხვევაში თითოეული ხმა აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოძრაობს და ქმნის ურთულეს მრავალხმიან მაქმანს.

უპასუხე კითხვებს:

- რომელ რეგიონს ახასიათებს **ბურდონი**?
- **თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა** ხალხის ხასიათის რომელ თვისებას შეიძლება დავუკავშიროთ?
- განსაკუთრებით რომელ რეგიონს ახასიათებს **თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა**?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტს დაუკავშირეთ **სინქრონული ხმათასვლა**?
- დავალებაში მოცემულ, სვანური სიმღერის მაგალითს თუ ვეყრდნობით, მრავალხმიანობის რომელი ფორმა ახასიათებს ამ რეგიონის ხალხურ სიმღერებს? (ჩასვით სათანადო უჯრაში ნიშანი თოლია √).



ბურდონი ☐

სინქრონული ხმათასვლა ☐

თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა ☐

- **როგორ ფიქრობთ, რომელი მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო მაგალითია?** ➡

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რას უნდა ნიშნავდეს განწყობის აღმნიშვნელი სიტყვა Grave (გრავე)? შემოხაზეთ მისაღები პასუხი:
  - სევდიანად;
  - მედიდურად;
  - მხიარულად;
  - მრისხანედ;
- დააკვირდით შემდეგ სანოტო მაგალითს. მრავალხმიანობის რომელი ფორმაა აქ წარმოდგენილი?



- ☐ ბურდონი
- ☐ სინქრონული ხმათასვლა
- ☐ თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა

- თქვენი აზრით, რომელ რეგიონს ახასიათებს ასეთი მრავალხმიანობა?
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო გამოსახულებაა?
- რას ნიშნავს ტემპის აღმნიშვნელი სიტყვა Largo? შეარჩიეთ პასუხი:
  - ცოცხლად;
  - ძალიან ნელა;
  - ძალიან სწრაფად;
  - საშუალო ტემპში.

- კიდევ ერთ სანოტო მაგალითს გაეცანით. მრავალხმიანობის რომელი ფორმაა?



- ☐ ბურდონი
- ☐ სინქრონული ხმათასვლა
- ☐ თავისუფალ-კონტრასტული ხმათასვლა

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- სანოტო გამოსახულებაზე დაყრდნობით, როგორ უნდა შესრულდეს ეს სიმღერა? შეარჩიეთ პასუხი
  - ცოცხლად, ენერგიულად;
  - მშვიდად, გაწონასწორებულად;
  - ნელა, მღერადად.
- რომელი მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო მაგალითი არ არის წარმოდგენილი?
- რომელ სურათს დაუკავშირეთ ეს მაგალითი?
- რომელ რეგიონს ეკუთვნის ფრაგმენტში წარმოდგენილი სიმღერა? შეარჩიე პასუხი:
  - გურია; • კახეთი; • იმერეთი; • სამეგრელო;
  - აჭარა; • რაჭა.

აქტივობა 9.

ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მასთან მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცხოვრების წესი, რაც ტრადიციებს, სხვადასხვა ადათ-წესს, რწმენას, რიტუალს გულისხმობს. ასევე, კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს ერის ისტორიული გამოცდილება და ისტორიული მეხსიერება განაპირობებს. ეს ყველაფერი ხალხურ მუსიკაშიც აისახება. არსებობს ქართული ხალხური სიმღერების სხვადასხვა ჟანრი, რომელიც კულტურის რომლიმე ასპექტს (წახნაგს) უკავშირდება. დაუკავშირეთ სიმღერის ჟანრს მუსიკალური მაგალითი და ორივე მათგანი კულტურის რომელიმე ასპექტს. დააკვირდი ნიმუშს.

გახსენით ბმული

სიმღერის ჟანრი	მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი	კულტურის ასპექტები
ეპიკური	1	გარემოსთან (ბუნებასთან) დამოკიდებულება
სუფრული	2	ცხოვრების წესი
შრომის	3	რელიგია
საკულტო-რიტუალური (წარმართული ან ქრისტიანული სიწმინდეებისადმი მიძღვნილი)	4	ისტორიული გამოცდილება
	5	
	6	
საქორწილო		
სადღესასწაულო		

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- რომელია თხრობითი ხასიათის სიმღერა?
- დააკვირდით სანოტო მაგალითს. რომელ მაგილითშია ამ სიმღერის რიტმული ფიგურაცია? (შემოხაზეთ სათანადო ლიტერა)

ა



ბ



გ



- რისი იმიტირებაა (მიბაძვა) ეს რიტმული ფიგურაცია? შეარჩიეთ ან მოიფიქრეთ პასუხი:
  - სიარულის;
  - მეტყველების;
  - ნაყვის;
  - სხვა;
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია სადღესასწაულო სიმღერა?
- რომელ დღესასწაულს უკავშირდება ეს სიმღერა?
- ეს სიმღერა სადღესასწაულო განწყობას გიქმნით, არა? რატომ?
- რომელი ჟანრის სიმღერაა მეორე მუსიკალურ ფრაგმენტში?
- რა მუსიკალური მახასიათებლებით დაუკავშირეთ ეს სიმღერა ამ ჟანრს?
- ეს ჟანრი კულტურის რომელ ასპექტს დაუკავშირეთ და რატომ?
- რომელ ჟანრს (ჟანრებს) უკავშირებთ გარემოსთან (ბუნებასთან) ურთიერთობის ასპექტს, რატომ?
- ამ ჟანრს (ჟანრებს) რომელი მუსიკალური ფრაგმენტი/ ფრაგმენტები დაუკავშირეთ?
- მრავალხმიანობის რომელი ფორმაა წარმოდგენილი მეექვსე მუსიკალურ ფრაგმენტში?
- ეს სიმღერა საქართველოს რომელი კუთხიდანაა?
- მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტი მრავალხმიანობის რომელი ფორმა?
- →

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- ეს სიმღერა რა ჟანრს მიაკუთვნეთ?
- ეს სიმღერა კულტურის რომელ ასპექტს დაუკავშირეთ?

დავალება 1. შეარჩიეთ რომელიმე კუთხის სიმღერები კულტურის ყველა ასპექტისათვის. შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია.

სიმღერის სახელწოდება	ჟანრი	მრავალხმიანობის ფორმა	კულტურის ასპექტი	ტურიზმის სახეობა

რესურსი:

- ქართული ხალხური მუსიკის ჟანრები
- ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება
- *სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა და ინსტრუმენტები*
- *სხვადასხვა კუთხის ლოტბარები და მუსიკალური კოლექტივები*

V ეტაპი. ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფციის შემუშავება და დაგეგმვა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:

აქტივობა 1.

გაეცანით ქვემოთ მოცემულ რესურსებს, ასევე თავადაც მოიძიეთ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის, შინაარსის ფესტივალების შესახებ.

რესურსი:

- კულტ. მემკვიდრეობაზე დაფუძნებული სასაჩუქრე პროდუქცია, ფესტივალები და სხვ.
- ტურისტული ფესტივალები: www.youtube.com
  წინანდლის ფესტივალი
  თანამედროვე ცეკვის და ექსპერიმენტული ხელოვნების ფესტივალი
  ჭიათურის ფესტივალი

ტურიზმი და ხელოვნება

პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა (ნაწილი მეორე):

მოიფიქრეთ ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფცია, სადაც ტურისტები ძველ, ტრადიციულ ხელოვნებასთან ერთად თანამედროვე ხელოვნებასაც გაეცნობიან.

გაითვალისწინეთ შემდეგი ასპექტები:

- ღონისძიების, ფესტივალის თემატიკა (რა და რა სფეროები იქნება წარმოდგენილი, მაგ. ხალხური რეწვა, ფოლკლორი, თანამედროვე ხელოვანები, სპორტი, კულინარია, ღვინო და ა.შ.);
- ღონისძიების, ფესტივალის ჩატარების ადგილი და მუსიკალური და მხატვრული გაფორმება (წარდგენა ესკიზების სახით შეიძლება)
- პროგრამა (ღონისძიების, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა, მათი თანმიმდევრობა, სავარაუდო მონაწილეები).

V ეტაპი. Facebook გვერდის, ვიდეორგოლის, ბუკლეტების, ფლაერების შექმნა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:

პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა (ნაწილი მეორე):

შექმენით ტურისტული ბუკლეტის, ფლაერის და დამაგვირგვინებელი ღონისძიების, ფესტივალის აფიშის ესკიზი სასურველი ტექნიკის გამოყენებით.

დავალების შესრულებაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1.

დაათვალიერეთ ტურისტული ფლაერების, ბუკლეტების და ფესტივალების, ღონისძიებების აფიშების ნიმუშები. იმსჯელეთ რომელი მოგწონთ და რომელი არა, რატომ (ტექსტები, გამოსახულებები, სათაურები, მათი შეხამება, კომპოზიცია, ფერი, ფონი და სხვ.)? გამოთქვით მოსაზრებები მათ დანიშნულებაზე და საჭიროებაზე (ტურების პოპულარიზაცია, ტურისტების მოზიდვა.)

სცადეთ საკუთარი იდეით შექმნათ ტურისტული მარშრუტის და ღონისძიების/ფესტივალის ბუკლეტი, ფლაერი, აფიშა.

ტურისტული ბუკლეტი, ფლაერი ტურისტისთვის მაქსიმალურად ინფორმატიული, ეფექტური, საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს. მუშაობის დროს ყურადღება გაამახვილეთ შინაარსობრივ და ვიზუალურ მხარეზე. გაითვალისწინეთ რჩევები:

- შეარჩიეთ ვიზუალური მასალა, საიმიჯო გამოსახულებები, სადაც თქვენი ტურისტული მარშრუტის ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ობიექტები მაქსიმალურად ეფექტურად გამოჩნდება.
- შეადგინეთ საინფორმაციო ტექსტები. მოკლე, იოლად აღქმადი და საინტერესო. მოიფიქრეთ სათაურები.

ტურიზმი და ხელოვნება

აქტივობა 1.

- გააკეთეთ გვერდის/ გვერდების ესკიზები, სადაც კომპოზიციურად ისე გაანაწილებთ ტექსტებს და გამოსახულებებს (სათაური, ილუსტრაცია, სლოგანი და სხვ.), რომ ერთმანეთს ავსებდეს/ეხმარებოდეს და იოლად აღქმადი იყოს. გასათვალისწინებელია მათი ზომებიც, თანაფარდობაც.
- შეგიძლიათ შეარჩიოთ ტექნიკა მაგ.: გრაფიკა, კოლაჟი, კომპ. ტექნოლოგიები.
- გამოყავით სათაურები (მაგ: ფერით, კონტური, ზომით, მდებარეობით)
- მოიფიქრეთ ფონი (შეიძლება იყოს ფერადი, ფოტო დაუდოთ, ფაქტურა მისცეთ და სხვ.) გაითვალისწინეთ, ფონი მკვეთრი არ უნდა იყოს, ძირითადი ინფორმაციის აღქმას ხელს არ უნდა უშლიდეს (გამოიყენეთ ნახევარტონები, ფერის გრადაციადა სხვ.) გამოსახულებებს და სათაურებს უნდა ესადაგებოდეს, უხდებოდეს.

რესურსი:

- *რესურსი 1 — მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები (ცალკე რესურსად)*
- *რესურსი 8 — პლაკატი (ცალკე რესურსად)*
- **გააციფრულე სასწავლო პროცესი — პლაკატი, აფიშა**
- **ინფორმაცია ბუკლეტის, ფლაერის რაობის შესახებ**
- **„ტურიზმი სვანეთში“ — თბილისის N54 სკოლის მეხუთეკლასელმა საინტერესო ნამუშევრები შექმნა**
- *უცხოური და ქართული ტურისტული ფლაერების და ფეისბუქ-გვერდების დიზაინის ნიმუშები*

შენიშვნა: *რესურსში მოცემული ვიზუალური და სხვა მასალა, შესაბამისი ბმულები (რესურსის წყარო) მოცემულია სტუდენტის რვეულში.*

აქტივობა 2.

სხვადასხვა ტექნიკის გაცნობა (რომლის გამოყენებითაც შეიძლება ბუკლეტის, ფლაერის, Facebook გვერდის შექმნა)

რესურსი

შენიშვნა: *რესურსში მოცემული ვიზუალური და სხვა მასალა, ასევე შესაბამისი ბმულები (რესურსის წყარო) მოცემულია სტუდენტის რვეულში.*

- სხვადასხვა ქვეყნის საიმიჯო გამოსახულებები, ესკიზები და სხვ.
- სხვადასხვა ქვეყნის, ქალაქის სიმბოლოების ვექტორული გამოსახულებები
- მსოფლიოს ცნობილი ძეგლების 3D ვექტორული გამოსახულებები

ტურიზმი და ხელოვნება

მუსიკა:

აქტივობა 3.

საქართველოს შესახებ ნახეთ ოთხი ვიდეო რგოლი. შეეცადეთ მეტ დეტალს მიაქციოთ ყურადღება. შეაფასეთ ისინი კლებადობის მიხედვით: 4 ქულა — ვიდეო რგოლს, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონათ, ხოლო 1 ქულა ვიდეო რგოლს, რომელიც ყველაზე ნაკლებად საინტერესო მოგეჩვენათ. ჩაწერეთ ქულები ვიდეო რგოლების კადრების თანმხლებ ცარიელ უჯრებში.

გახსენით ბმული

შევამოწმოთ, ყურადღებით უყურეთ თუ არა ვიდეო რგოლებს, უპასუხეთ კითხვებს:

- 4 ქულა რომელ ვიდეორგოლს მიანიჭეთ? რატომ?
- ყველაზე მეტად რომელი კადრები დაგამახსოვრდათ?
- გახსოვთ, რა კადრით იწყება და მთავრდება მეორე ვიდეო რგოლი?
- გახსოვთ ამ ვიდეორგოლის ***საკვანძო ფრაზა*** (როგორც წესი, რგოლის ბოლო ნაწილში ისმის და მთავარი გზავნილია)?
- ***საკვანძო ფრაზის*** ნაცვლად ***საკვანძო სიტყვა*** რომელ ვიდეო რგოლშია (როგორც წესი, ეს სიტყვა მრავალჯერ მეორდება ვიდეო რგოლის მსვლელობისას)?
- რომელი ვიდეო რგოლი ჰგავს უფრო მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, ვიდრე სარეკლამო ტურისტულ ვიდეო რგოლს? რატომ?
- შეგიძლიათ პირველი ვიდეო რგოლიდან დასამახსოვრებელი კადრი გაიხსენოთ? აღწერეთ და ახსენით თქვენი არჩევანი.

ტურიზმი და ხელოვნება

შევამოწმოთ, ყურადღებით უყურეთ თუ არა ვიდეო რგოლებს, უპასუხეთ კითხვებს:

- დააკვირდით, რომელი ვიდეო რგოლის კადრია?

- შეგიძლიათ ამ კადრით ვიდეო რგოლის მთავარი გზავნილი მთლიანად გაიხსენოთ?
- შეგიძლიათ რომელიმე ვიდეო რგოლი ეგზოტიკურ ტურიზმს დაუკავშიროთ? რომელია?
- რამდენ კითხვაზე ვერ უპასუხეთ? რატომ?

აქტივობა 4.

წინა აქტივობის მიხედვით, ტურისტულ-სარეკლამო ვიდეო რგოლში მნიშვნელოვანია ჩაიდოს გზავნილი, რომელიც **საკვანძო სიტყვით** ან **საკვანძო ფრაზით** გადმოიცემა. **საკვანძო სიტყვა** მრავალჯერ უნდა წარმოითქვას, **საკვანძო ფრაზა** კი ვიდეო — რგოლის ბოლოში გახმოვანდეს. რგოლის მთლიანი ტექსტი მაყურებელს საკვანძო ფრაზისთვის უნდა ამზადებდეს, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის გასაცნობად უნდა იზიდავდეს. ფაქტობრივად, საკვანძო სიტყვა ან ფრაზა განსაზღვრავს ვიდეო რგოლის ტექსტს, ვიზუალურ რიგს და ყველა დანარჩენ მხატვრულ ხერხს, მათ შორის, მუსიკალურ გაფორმებასაც.

კიდევ ერთხელ ნახეთ ვიდეო რგოლები „გ“ და „დ“, ტექსტის გარეშე. შეეცადეთ, ამ ვიდეოს მუსიკალური გაფორმებისა და გამოსახულებათა წყობის მიხედვით შეურჩიოთ, ფრაზა, რომელიც მაყურებელში ქვეყნის მონახულების და გაცნობის სურვილს გააღვივებს.

გახსენით ბმული

ტურიზმი და ხელოვნება

ვიდრე მოუფიქრებელ ფრაზას გაახმოვანებთ, უპასუხეთ რამდენიმე კითხვას:

- რა ემოცია გამოიწვია დასარტყამი ინსტრუმენტების ხმამ ვიდეო რგოლში „გ“?
- ეთანხმებით თუ არა ამ გამონათქვამებს? გამონათქვამები, რომელსაც არ ეთანხმებით აღნიშნეთ „x“-თ და რომელსაც ეთანხმებით, დაუსვით „√“.
  - დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა დამთრგუნველია?
  - დასატყამი ინსტრუმენტების ხმა გადმოსცემს ვიდეო-რგოლში ნაჩვენები ხალხის ხასიათს? ეთანხმებით, რა-ტომ? დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა როგორ ხასი-ათს გამოკვეთს.
  - დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა აფრთხობს მაყურე-ბელს და ამ კუთხის მონახულების სურვილს უკარგავს?
  - დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა ხალისს მატებს ვი-დეო რგოლს, თითქოს მაყურებელს ხალისიან, გასარ-თობ ღონისძიებაზე იწვევს.
- დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა შთამაგონებელია, მაყუ-რებელში დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზა-ურობის სურვილს აღძრავს

ჩაწერეთ თქვენი მოსაზრება დასარტყამ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

- რომელი ბუნებრივი ხმებია გამოყენებული და როგორ მხატვრულ სახეს ქმნიან?
- არის თუ არა გამოყენებული ხალხური სიმღერა?
- რა ფუნქციას ასრულებს ეს სიმღერა ვიდეო-რგოლში, რა მიზნითაა შეტანილი?
- გამოყენებულია თუ არა ხალხური სიმღერა ვიდეორგოლში „დ“?
- გამოყენებულია თუ არა ხალხური ინსტრუმენტები ან ხალხური მოტივები ამ ვიდეორგო-ლის მუსიკალურ გაფორმებაში? თუ არის, რა მიზნით იყენებენ ვიდეორგოლის ავტორები? პასუხი რაიმე სიმბოლოთი აღნიშნეთ.
  - ყველა ქართულ ოჯახში, ყოველდღე სრულდება ხალხური სიმღერები.
  - ხალხურ სიმღერებში თანამედროვე ქართველის ყოველდღიური ცხოვრება გადმოიცემა.
  - ხალხურ სიმღერაში ქართველის შინაგანი ბუნება ვლინდება.
  - ხალხური სიმღერა გამოყენებულია ეგზოტიკისათვის.
- დაწერეთ მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. შეეცადეთ, არ გაიმეოროთ ის, რაც უკვე ნახსენებია.

ტურიზმი და ხელოვნება

უპასუხე კითხვებს:

- ამ ვიდეო რგოლებში მთლიანი სიმღერაა გამოყენებული?
- როგორ ფიქრობთ, ქართულ სიმღერაზე ხმის ეფექტი და ვიდეორგოლში„დ“ ზარის ხმა რა მიზნით დაურთეს? შეარჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი;
  - ვიღაც სადარბაზოში მღერის;
  - ხმა მოგვესმის საქართველოს წარსულიდან;
  - ქართული სიმღერა ჩვენს სულში ექოსავით გაისმის;
  - ერი საფრთხის წინაშეა;
  - ჩვენ ვკარგავთ თვითმყოფადობას;
  - ეს ერის სიძლიერეა;
- დაწერეთ ორი წინადადებით თქვენის მოსაზრება:

ნაწილი II:

მოუსმინეთ ამ ინსტრუმენტების ხმას და ამოიცანით რომელი ჟღერს ვიდეორგოლის „დ“ მეორე ნაწილში. მუსიკალური ინსტრუმენტები გაჟღერდება იგივე თანმიმდევრობით, როგორც მათი სურათებია წარმოდგენილი;

ტურიზმი და ხელოვნება

- რომელი ქართული ხალხური საკრავია იმიტირებული ამ ინსტრუმენტით? ცარიელ უჯრაში ჩასვით თოლია √.

- დოლი

- ჭუნირი

- ჩონგური

- ჭიბონი

- სალამური

უპასუხე კითხვებს:

- რომელი ხალხური ინსტრუმენტი ჟღერს ვიდეორგოლებში? შემოხაზეთ დასახელება.
- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით გამოიყენეს ამ ინსტრუმენტების ჟღერადობა? ჩაწერეთ თქვენი მოსაზრება:

ჩაწერეთ თქვენი მოსაზრება

ვიდეო რგოლი „გ“

ვიდეო რგოლი „დ“

აქტივობა 5.

- როგორც უკვე იცით, ვიდეორგოლში მუსიკალურ გაფორმებასაც კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ***მოუსმინეთ სხვადასხვა სარეკლამო რგოლის მუსიკალურ გაფორმებას*** და დაუკავშირეთ ტურიზმის სახეობებს.

შეავსეთ ცხრილი და უპასუხე კითხვებს.

ტურიზმი და ხელოვნება

ტურიზმის სახეობები	მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი
ექსკურსიული ტურიზმი	
ეკზოტიკური ტურიზმი	
რელიგიური ტურიზმი	
გასართობი ტურიზმი	

- რომელ მუსიკალურ გაფორმებაშია საორკესტრო ჟღერადობა? რა განწყობას გიქმნით? შეარჩიეთ პასუხი.
  - საორკესტრო ჟღერადობა განსაკუთრებულ, ამაღლებულ განწყობას გვიქმნის, რომელიც ხშირად მნიშვნელოვან მოვლენასთან შეხებისას გვეუფლება;
  - საორკესტრო ჟღერადობა იპყრობს მომხმარებლის ყურადღებას;
  - ორკესტრის ეპიკური ჟღერადობა მარადიულ ფასეულობებზე გვაფიქრებს.
  - სხვა.

ჩაწერეთ თქვენი მოსაზრება:

- ტურიზმის რომელ სახეობას დაუკავშირეთ ეს მუსიკალური გაფორმება და რატომ?
- რომელი მუსიკალური მაგალითია ხმოვანი კოლაჟის ტექნიკით შესრულებული?
- როგორ შეიძლება ხმოვანი კოლაჟის ამოცნობა?
- რომელი მუსიკალური მაგალითი დაუკავშირეთ რელიგიურ ტურიზმს? რატომ?
- ეს მუსიკალური გაფორმებები რა მახასიათებლებით ემსგავსებიან ერთმანეთს? აღნიშნეთ მისაღები პასუხები
  - ყველა მუსიკალურ გაფორმებაში წამყვანი როლი რიტმს ენიჭება.
  - ყველა მუსიკალურ გაფორმებას დასამახსოვრებელი მელოდია აქვს.
  - ყველა მუსიკალურ გაფორმებაში ემოციური დაძაბულობა ფინალში მატულობს.
  - არცერთ მუსიკალურ გაფორმებაში დასამახსოვრებელი მელოდია არ არის.
  - ყველა მუსიკალურ გაფორმებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟღერადობა, ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ხმა, ბგერა.
  - მუსიკალური გაფორმების ყველა მხატვრული ხერხი გარკვეული განწყობის შესაქმნელად გამოიყენება
- როგორ აღწერდით მესამე მუსიკალური მაგალითის განწყობას?
- ტურიზმის რომელ სახეობას დაუკავშირეთ ეს მუსიკალური მაგალითი და რატომ?
- რომელ მუსიკალურ გაფორმებაში ჟღერს ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები? შემოხაზეთ ინსტრუმენტების სწორი ჩამონათვალი

ა) დუდუკი, ჩონგური; ბ) დოლი, ჭიბონი; გ) ჩონგური, სალამური; დ) სალამური, დოლი;

ტურიზმი და ხელოვნება

	◆ რომელი მუსიკალური გაფორმება მოგეჩვენათ ყველაზე შთმბეჭდავად და რატომ? **ჩაწერეთ თქვენი მოსაზრება ამის შესახებ**
პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა (მეოთხე ნაწილი):	ამ მუსიკალურ მაგალითებზე შექმენით ტურისტული ვიდეორგოლები. მომზადებისას გაითვალისწინეთ ტურიზმის სახეობა. მოიფიქრეთ საკვანძო ფრაზა, რომელიც შეიძლება გაახმოვანოთ ან ეკრანზე ტექსტის სახით გამოჩნდეს. მაყურებლის ყურადღება მთლიანად რომ მიიპყროს, განსაზღვრეთ, საკვანძო ფრაზა მუსიკალური გაფორმების რომელ მომენტში გახმოვანდეს ან წარწერის სახით გამოჩნდეს ეკრანზე.
რესურსი:	◆ www.youtube.com ◆ www.youtube.com

VII ეტაპი.

პროექტიოს საბოლოო დავალების წარდგენა და შეფასება	**წარმოადგინეთ:** ◆ ტურისტული გზამკვლევი Facebook გვერდის სახით (მარშრუტი, ძეგლები (მატერიალური, არმატერიალური) და სხვა ღირსშესანიშნაობები, ინფორმაცია ძეგლების და სხვ.) ◆ ტურისტული ვიდეორგოლი მუსიკის თანხლებით ◆ ტურის დამაგვირგვინებელი ფესტივალის, კულტურული ღონისძიების კონცეფცია ◆ ტურისტული ბუკლეტი, ფლაერი.
პრეზენტაციისას განსაკუთრებით წარმოაჩინეთ:	◆ რომელი რეგიონი, კუთხე, ქალაქი აირჩიეთ, რატომ? მარშრუტში რომელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ძეგლები ხელოვნების ნიმუშები, გავრცელებული დარგები, დარგის ოსტატები, ადგილობრივი ხალხური ანსამბლები, ადგილობრივი მუსიკალური ფოლკლორი და სხვ. შეიტანეთ? ◆ ძეგლების შექმნის პერიოდი, მხატვრული მახასიათებლები. ◆ ამ რეგიონის, კუთხის, ქალაქის ტურისტული პოტენციალის ანალიზი (რა სახის კულტურული ტურიზმი შეიძლება განვითარდეს და რა ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს ამ პოტენციალის გასავითარებლად).

ტურიზმი და ხელოვნება

პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- კულტურულ ტურიზმს ტურიზმის სხვა რომელ მიმართულებას/სახეობას შეუხამებთ?
- როგორი სახით, ფორმით წარმოადგინეთ ტურისტული გზამკვლევი? რა ტექნიკა, მასალა გამოიყენეთ გზამკვლევის შესაქმნელად?
- როგორ შექმენით ვიდეორგოლი? რომელი მხატვრულ –გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენეთ? როგორ მოახერხეთ შერჩეული კუთხის, რეგიონის შესახებ ტურისტისთვის საინტერესო ინფორმაციის გადმოცემა?
- რა ღონისძიება, ფესტივალი დაგეგმეთ, როგორია კონცეფცია, რომელი დარგის და პერიოდის ხელოვნებას წარმოადგენთ?
- რომელ მუსიკალურ კოლექტივებს, ხელოვანთ აირჩევთ თქვენი ტურისტული ღონისძიებებისთვის, ფესტივალისთვის და რა ნიშნით აირჩევთ?
- ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია რა ფორმით მოხდება, რა მუსიკალურ და სახვითი ხელოვნების მხატვრულ –გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს გამოიყენებთ?
- რატომ უნდა აირჩიოს ტურისტმა თქვენი შეთავაზება/შეთავაზებული ადგილი (მარშრუტი, ლოკაცია, ძეგლი, ღონისძიება და ა.შ.)?
- როგორ შექმენით ბუკლეტი, ფლაერი, რა მასალა, ტექნიკა და გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოიყენეთ? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

4 თანამედროვე ტექნოლოგიები ხელოვნებაში

საათი

ხანგრძლივობა 12 საკონტაქტო საათი

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

პროექტის მიზანი:

- თანამედროვე ტექნოლოგიებით გამოწვეული ცვლილებების, მნიშვნელობის, სარგებელის ან შესაძლო ზიანის შესწავლა და გაცნობიერება როგორც ზოგადად, ისე თითოეული ჩვენ-განის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხელოვნების ჭრილში. ამ მიმართულებით საკუთარი ძალების მოსინჯვა.

პროექტის მკვიდრი წარმოდგენები:

- თანამედროვე ტექნოლოგიამ მნიშვნელოვნად შეცვალა სამ-ყარო და თითოეული ჩვენგანის ცხოვრება.
- თანამედროვე ტექნოლოგია ხელს უწყობს ხელოვნების პო-პულარიზაციას, ხელოვნება უმრავლესობისთვის ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა
- სხვა სფეროთა მსგავსად, თანამედროვე ტექნოლოგიამ ხე-ლოვნებაშიც დიდი ძვრები მოახდინა, ახალი მიმართულებე-ბის, დარგების, ფორმების, ტექნიკისა და სხვა კუთხით.
- თანამედროვე ტექნოლოგია ზრდის ხელოვნების მხატვ-რული ხერხების არსენალს.
- თანამედროვე ტექნოლოგიას შეუძლია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.
- თანამედროვე ტექნოლოგია ადამიანს საქმიანობის სხვა-დასხვა სფეროში ეხმარება, მაგრამ მთლიანად ვერ ჩაანაც-ვლებს.
- თანამედროვე ტექნოლოგიით შექმნილი ხელოვნების მა-ღალმხატვრული ნიმუშები ხელს უწყობს ამ ტექნოლოგიების სრულყოფასა და განვითარებას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

ვიზუალური ხელოვნება:

1. **სამიზნე ცნება** — იდეა და სახვითი ენა
2. **სამიზნე ცნება** — ტექნიკა და ტექნოლოგიები
3. **სამიზნე ცნება** — შინაარსი ფორმა და დანიშნულება
4. **სამიზნე ცნება** — სხვადასხვა ქვეყნის, კულტურის, მიდინა-რეობის, სტილის ხელოვნება

მუსიკა:

1. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური შინაარსი
2. **სამიზნე ცნება** — მუსიკის გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები
3. **სამიზნე ცნება** — მუსიკალური ეპოქა
4. **სამიზნე ცნება** — სახვითი ხელოვნების დარგები და ჟან-რები — (შედეგი 1)

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

საკითხები:

- თანამედროვე ტექნოლოგიის გავლენა ხელოვნებაზე.
- სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში თანამედროვე ტექნოლოგიის როლი.
- დასახული მიზნის მისაღწევად როგორ იყენებს ხელოვნება თანამედროვე ტექნოლოგიას.
- ხელოვნების ენის (სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების) კავშირი თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიასთან და პროფესიებთან.
- ახალი ტექნოლოგია ხელოვნების პოპულარიზაციის სამსახურში.

საკვანძო შეკითხვები:

- რა გავლენა მოახდინა თანამედროვე ტექნოლოგიამ ხელოვნებაზე?
- ხელოვნებაში თანამედროვე ტექნოლოგიით გამოწვეული ცვლილებები აისახა თუ არა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, როგორ?

პროექტის საბოლოო დავალება:

მოამზადეთ პრეზენტაცია მომავალი პროფესიის შესახებ. ყურადღება გაამახვილეთ თანამედროვე ტექნოლოგიაზე (განსაკუთრებით ხელოვნების მიმართულებით). პრეზენტაციისთვის შექმენით თქვენი და თანაკურსელების სწავლის და სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტო-კოლაჟი, ვიდეორგოლი, სადაც შეიძლება ჩართოთ ინტერვიუები ლექტორებთან, პროფესიონალებთან და სხვ. პრეზენტაციისთვის შექმნილი მასალის წარსადგენად ფეისბუქგვერდის შექმნაც შეგიძლიათ. შექმენით ვიდეო ინსტალაცია (თემა თავად შეარჩიეთ) და მიუსადაგეთ მუსიკალური გაფორმება.

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას მკაფიოდ აღნიშნეთ:

- რატომ აირჩიეთ კონკრეტული პროფესია? რამ მიგიზიდათ?
- პროფესიასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია (მაგ. პროფესიის წარმოშობის და განვითარების მოკლე ისტორია, ცნობილი წარმომადგენლები და სხვ.);
- თქვენ მიერ არჩეულ პროფესიაში რისთვის და როგორ გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები (მაგ. რა და როგორ ჩაანაცვლა)? იმსჯელეთ დადებით და უარყოფით მხარეებზე — მუშაობის პროცესი გაადვილდა, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე აისახა, ხელი შეუწყო დროის ეკონომიას, ინფორმაციის გავრცელებას, იმოქმედა ეკონომიკურ მხარეზე და სხვ.?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

პროექტის საბოლოო დავალება:

ნაშრომში/ნაშრომში პრეზენტაციისას მკაფიოდ აღნიშნეთ:

- თქვენ პროფესიაში, ხელოვნების მიმართულებით, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით რა სიახლის შეტანა შეგიძლიათ (სამუშაო პროცესი, გარემო, პროდუქტის დიზაინი, პოპულარიზაცია-რეალიზება და სხვ.)?
- როგორ შექმენით თქვენი და თანაკურსელების სწავლის და მუშაობის ამსახველი ფოტო-კოლაჟი, ვიდეორგოლი, (ფეისბუქგვერდი სურვილისამებრ)?
- როგორ შექმენით ვიდეო ინსტალაცია და რა თემა გამოიყენეთ?
- როგორ მოამზადეთ პრეზენტაცია, რა ტექნოლოგიები გამოიყენეთ?
- პრეზენტაციის, ფოტო-კოლაჟის, ვიდეორგოლის, ვიდეო ინსტალაციის შექმნისას რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ტექნიკა, ტექნოლოგიები გამოიყენეთ და როგორ?

პროექტის სტრუქტურა:

I ეტაპი. პროექტის გაცნობა და გააზრება.	1. პროექტის თემა, მიზანი, საბოლოო დავალება, შეფასება
II ეტაპი. თანამედროვე ტექნოლოგიის კუთხით, საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება	◆ ხელოვნური ინტელექტი და მუსიკა. ◆ პრობლემის (სოციალური, სულიერი) წარმოსაჩენად ვიდეო ინსტალაციის არსი და მისი გამოყენება. ◆ მუსიკის როლი ვიდეო ინსტალაციაში; ◆ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მუსიკის შექმნა; ◆ ვიდეო ინსტალაციის და მისი მუსიკალური გაფორმების შექმნა.
III ეტაპი. თანამედროვე ტექნოლოგიის კუთხით, ხელოვნების როლი სხვადასხვა და არჩეულ, კონკრეტულ პროფესიაში	◆ ხელოვნების როლი სხვადასხვა და არჩეულ, კონკრეტულ პროფესიაში თანამედროვე ◆ ტექნოლოგიების კუთხით. ◆ ამ კუთხით რა სიახლის შეტანა შეიძლება კონკრეტულ პროფესიებში, საქმიანობაში. ◆ სახვითი ხელოვნების და მუსიკის მხატვრული ხერხები და საშუალებები ◆ არჩეულ პროფესიაში ხელოვნების როლზე თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

IV ეტაპი. ფოტო-კოლაჟის, ვიდეორგოლის და პრეზენ-ტაციის შექმნა	◆ ფოტო-კოლაჟი, ვიდეორგოლი ◆ პრეზენტაციის შექმნა
V ეტაპი. საბოლოო ნამუშევ-რის წარდგენა და შეფასება	◆ ინფორმაცია არჩეული პროფესიის შესახებ ◆ ხელოვნების როლი არჩეულ პროფესიაში, თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხით ◆ ფოტო-კოლაჟი, ვიდეორგოლი ◆ ფეისბუქგვერდი (სურვილისამებრ)

შენიშვნა: ორივე ნაწილის განხორციელება სავალდებულოა

IV პროექტი (ნაწილი 1):	თანამედროვე ტექნოლოგიები მუსიკაში

I ეტაპი. მუსიკა და ხელოვნური ინტელექტი

აქტივობა 1.

წინა საუკუნის მეორე ნახევრიდან ციფრული ტექნოლოგიები არნახული სისწრაფით განვი-თარდა. შეიქმნა ძლიერი კომპიუტერები, რომლებიც მრავალფეროვან ოპერაციებს ასრულებენ, რთული მათემატიკური გამოთვლებიდან დაწყებული, სამგანზომილებიანი გამოსახულებების შექმნით დამთავრებული.

მაინც, რა არის ციფრული ტექნოლოგიები? ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ელექტრონულ გამოთვლებთან და მონაცემთა გარდაქმნასთან (გაჯეტები, ელექტრონული მოწყობილობები, ტექნოლოგიები, პროგრამები), ციფრული ტექნოლოგიები მოიცავს.

ასევე ციფრული ტექნოლოგიების ნაწილია ხელოვნური, ნეირონული ქსელით წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტიც, რომელიც ხელოვნური ნეირონული ქსელით არის წარმოდგენილი. ნეირონული ქსელი მანქანური სწავლების მოდელია, რომელიც კომპიუტერული პროგრამის სა-შუალებით ადამიანის ტვინის იმიტირებას ახდენს. მას შეუძლია შეყვანილი მონაცემების ანალიზი და გარკვეული კანონზომიერებების დადგენა.

ამავე პრინციპით მეცნიერებმა ხელოვნურ ნეირონულ ქსელს მუსიკის შექმნაც ასწავლეს და ბეთ-ჰოვენის მიერ დაწყებული მე-10 სიმფონიის დასრულება დაავალეს. როგორ გაუმკლავდა ნე-ირონული ქსელი რთულ ამოცანას? თავად განსაჯეთ.

წარმოგიდგენთ სამ მუსიკალურ მაგალითს, რომელთაგან ორი ბეთჰოვენის ნამდვილისიმ-ფონიების ფრაგმენტებია, ერთი კი ხელოვნური ნეირონული ქსელის მიერ შექმნილი ნაწარმო-ები. შეარჩიეთ და შემოხაზეთ იმ მუსიკალური მაგალითის ნომერი, რომელშიც ხელოვნური ინტე-ლექტის მიერ შექმნილი მუსიკაა.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

ა) მუსიკალური ფრაგმენტი 1; ბ) მუსიკალური ფრაგმენტი 2; გ) მუსიკალური ფრაგმენტი 3;

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი პასუხია ყველაზე მისაღები? შემოხაზეთ.
  - ერთ-ერთი გამოვარჩიე და მომეწონა, თუმცა მგონია, რომ სწორედ ის არ არის ბეთჰოვენის დაწერილი.
  - ერთ-ერთი გამოვარჩიე და ნამდვილად არ არის ბეთ-ჰოვენის დაწერილი;
  - არ ვიცი, მგონი, ყველა ერთმანეთს გავს;
  - ეს ერთი, ნამდვილად ბეთჰოვენის უნდა იყოს, დანარ-ჩენებზე ვერაფერს ვიტყვი;
  - ნეტავი რა მნიშვნელობა აქვს?!
- რამდენმა აირჩიეთ ბოლო პასუხი? აწიეთ ხელი.
- ფიქრობთ თუ არა, რომ ამ პასუხით თითოეული ადამიანის უნიკალურობა უფასურდება? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა კლასიკური მუსიკა საჭი-რო? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - შესაძლოა, ვიღაცისთვის საჭიროა, მაგრამ ჩემთვის არა. ახსენით, რატომ?
  - ალბათ მხოლოდ მუსიკის სპეციალისტებისთვის;
  - შესაძლოა, მე მიჭირს კლასიკური მუსიკის მოსმენა, მაგ-რამ უნდა არსებობდეს მუსიკა, რომელშიც თავმოყრი-ლია კაცობრიობის უდიდესი სულიერი გამოცდილება;
  - კლასიკური მუსიკა ხანდახან რთული შინაგანი მდგომა-რეობის გადატანაში მეხმარება;
  - კლასიკური მუსიკის მსმენელი არ ვარ, მაგრამ ხშირად, რადიოში გაჟღერებულს ჩემი ყურადღება მიუპყრია.
  - პოპ მუსიკა კარგად მართობს, მაგრამ ყველაზე ძლი-ერი ემოციური განცდა, მაინც კლასიკურ მუსიკას უკავ-შირდება.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- თვლით თუ არა, რომ მეორე კითხვის მეორე პასუხი, ფაქტობრივად, პირველი კითხვის ბოლო პასუხს უტოლდება?
- ვინც მეოთხე პასუხი შეარჩია, შეგიძლიათ იმ კლასიკური ნაწარმოების დასახელება?
- ვინც მეხუთე პასუხი აირჩია, შეგიძლიათ ახსნათ, რით იპყრობს თქვენს ყურადღებას რადიოში გაჟღერებული კლასიკური მუსიკა?
- კლასიკური მუსიკა თქვენს ყურადღებას ყოველთვის იპყრობს?
- საკუთარი სურვილით რა მუსიკას უსმენთ?
- თქვენი აზრით, როგორი მუსიკა სჭირდება ადამიანს?
- რისი მომასწავებელია ხელოვნური ინტელექტი რომ ბეთჰოვენის მუსიკის მსგავს კომპოზიციებს ქმნის?
- ფიქრობთ, რომ ხელოვნური ინტელექტი ადამიანის მიერ შექმნილზე უკეთეს პოპ მუსიკას შექმნის? რატომ ფიქრობთ ასე?
- ფიქრობთ, თუკი ხელოვნურ ინტელექტს მუსიკის შექმნა შეუძლია, თქვენც შესძლებთ? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 2.

წინა დავალების ბოლო კითხვიდან გამომდინარე, ალბათ ბევრს აინტერესებს, როგორ ახერხებს ხელოვნური ინტელექტი მუსიკის შეთხზვას. მუსიკა რომ დაიბადოს, საჭიროა ახალი იდეა, ემოციური განცდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, რაღაც მოვლენით გამოწვეულია. კომპიუტერს არც ერთი გააჩნია, არც იდეა, არც ემოციები. თუმცა უამრავი მონაცემის დამახსოვრება და გარკვეული პრინციპით ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, კომპიუტერმა სხვადასხვა ნოტების ყველა შესაძლო თანმიმდევრობა შექმნას, რომელსაც უამრავ მუსიკალურ ნაწარმოებში არსებულ მუსიკალურ თემებს და მოტივებს შეადარებს და ყველაზე ხშირად გამოყენებული ნოტების თანმიმდევრობას დაადგენს. მოდი, ვცადოთ ამ პრინციპით სამი ნოტით ყველაზე გავრცელებული თანმიმდევრობის აგება. მაგალითისთვის გთავაზობთ სამი ნოტის თანმიმდევრობასთან დაკავშირებულ მონაცემთა პატარა სქემას. (*ნახ. 1*) რომლის თანახმად, მუსიკალურ ნაწარმოებებში, ყველაზე ხშირად ნოტს დო მოჰყვება ნოტი სოლ, ნოტს სოლ — ნოტი დო (60%!). დოს სოლის შემდეგ ნოტი ფა მოჰყვება და ა.შ. განაგრძეთ სქემაზე დაკვირვება და ქვემოთ მოცემული ნოტების თანმიმდევრობებიდან შეარჩიეთ ამ მონაცემებზე ყველაზე ზუსტად აგებული სანოტო მაგალითი.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში



ა) თუ გავითვალისწინებთ ამ მონაცემებს, რომელ სანოტო გამოსახულებაშია ყველაზე ზუსტად გამოყენებული?







ბ) ***მოუსმინეთ მუსიკალურ მაგალითებს და მიუსადაგეთ ამ სანოტო მაგალითებს.*** წრეებში ჩაწერეთ სათანადო მუსიკალური მაგალითის ნომერი.

უპასუხეთ კითხვებს:

- ყველაზე მელოდიური რომელი მუსიკალური ფრაგმენტია?
- დააკვირდით ამ მუსიკალური მაგალითის სანოტო გამო–სახულებას.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ აღწერდით მელოდიურ ხაზს?
  - ამ მელოდიურ ხაზში გვერდით მდგომ ნოტებზე რამდენი სვლაა?
  - არის თუ არა ნახტომები სეპტიმაზე (ინტერვალი შვიდ ნოტზე) (დისონანსური ინტერვალი)?

- **ჩაწერეთ თქვენი აღწერა რამდენიმე წინადადებით.**

- დააკვირდით ამ მუსიკალური მაგალითის სანოტო გამოსახულებას.
- როგორ აღწერდით მელოდიურ ხაზს? წინა მაგალითზე დაყრდნობით. **აღწერეთ რამდენიმე წინადადებით.**

გ) მოვისმინეთ ნოტების თანმიმდევრობები. ერთ-ერთი აგებულია 1 ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით. ამ ცხრილში, უამრავი მუსიკალური ნაწარმოების შეჯერების შედეგად დადგენილი კანონზომიერებაა მოცემული. ეს არის ალგორითმი, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტი ნოტების თანმიმდევრობას ქმნის, მაგრამ როგორც ხედავთ, ნოტების ეს თანმიმდევრობა ჯერ კიდევ არ არის მელოდია, რადგან ალგორითმი მეტისმეტად მარტივია. მოდი, ამ კანონზომიერებაზე კიდევ ერთი ალგორითმი შევქმნათ. ყველაზე იშვიათი თანმიმდევრობით დავიწყოთ:

ნოტს დო-ს ყველაზე იშვიათად მოყვება დო, რომელიც ერთი ოქტავით მაღლაა.

დააკვირდით, ნოტს დო-ს ყველაზე იშვიათად რომელი ნოტი მოყვება? (დააკვირდით მაგალითზე, სად იწერება ეს ნოტი და ჩაწერეთ.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

დააკვირდით ნახ.1 მოცემულ მაგალითებს, როგორ იწერება თითოეული ნოტი. თანმიმდევრობის ჩაწერა ახალი ალგორითმის მიხედვით გააგრძელეთ. რადგან თითოეული ნოტის ჩაწერის ორ-ორი მაგალითია (ქვედა პირველი ოქტავის, ხოლო ზედა მეორე ოქტავის) შეგიძლიათ, ნებისმიერი არჩიოთ. ამ შემთხვევაში ხან აღმავალი სვლა გექნებათ (თუ მეორე ოქტავის ნოტს აირჩევთ), ხანაც დაღმავალი (თუ პირველი ოქტავის ნოტს აირჩევთ). ყოველი ოთხი ნოტის შემდეგ ტაქტის ხაზი ჩამოუსვით.

- ***მოუსმინეთ სავარაუდო ვარიანტს.*** როგორი თანმიმდევრობაა? აღნიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - უფრო მელოდიურია, ვიდრე პირველი ალგორითმით აწყობილი ნოტების თანმიმდევრობა;
  - ნაკლებად მელოდიურია, ვიდრე პირველი ალგორითმით აწყობილი ნოტების თანმიმდევრობა;
  - დიდი განსხვავება არაა.

აქტივობა 3.

რა თქმა უნდა, წინა აქტივობაში განხილული ალგორითმები სრულყოფილი მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად არ კმარა. ცხრილში წარმოდგენილი კანონზომიერება მხოლოდ სამ ნოტზე ვრცელდება. დანარჩენ ნოტებთან დაკავშირებული კანონზომიერებაც გათვალისწინებული რომ ყოფილიყო, ნოტების თანმიმდევრობა უფრო მოქნილი და საინტერესო მოსასმენი იქნებოდა. თუმცა მელოდიას მაინც ვერ დავარქმევდით. მელოდიას შინაარსი უნდა ჰქონდეს, ემოციური მუხტითა და ბგერწერითი ხერხებით მხატვრულ სახეს ქმნიდეს. ეს ყველაფერი მუსიკალური ინტონაციებით გადმოიცემა. არსებობს ინტონაციები, რომელიც მელოდიას კონკრეტულ ემოციურ შეფერილობას სძენს. მოდი, ამოვიცნოთ ზოგიერთი მათგანი. გთავაზობთ ხელოვნური ნეიროქსელის AIVA-ს მიერ შექმნილ სამ კომპოზიციას. AIVA არის ნეირო ქსელი, მუსიკალურ კომპოზიციებს ქმნის. თუკი AIVA-ს საიტზე შეხვალთ *www.aiva.ai* შეძლებთ შეუკვეთოთ კომპოზიცია. საჭიროა გარკვეული პარამეტრების მიცემა, მაგ. რა სტილის მუსიკა გსურთ, რა განწყობის, რა ინსტრუმენტები უნდა ჟღერდეს (მაგ. ელ.გიტარა) და ა.შ. მაგალითისთვის საყვარელი კომპოზიციის თემაც შეგიძლიათ შესთავაზოთ. AIVA რამდენიმე წამში, გარკვეული ალგორითმების გამოყენებით მსგავს კომპოზიციას შეგითხზავთ. ერთ-ერთი ასეთი ალგორითმი არის სათანადო განწყობის ინტონაციური ფორმულები. მოისმინეთ როგორ ჟღერს პირველი ინტონაციური ფორმულა. შემდეგ AIVA-ს სამივე კომპოზიცია ***მოისმინეთ*** და ამოიცანით ამ ინტონაციურ ფორმულაზე რომელი მათგანის მელოდიაა აგებული. ინტონაციური ფორმულის ნომერი ჩაწერეთ ცხრილის სათანადო უჯრაში.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

ბ) ინტონაციური ფორმულა



ფრაგმენტის ნომერი	ინტონაციური ფორმულის ღიტერა
ფრაგმენტი 1	
ფრაგმენტი 2	
ფრაგმენტი 3	

ბ) ***ინტონაციური ფორმულა***



ფრაგმენტის ნომერი	ინტონაციური ფორმულის ღიტერა
ფრაგმენტი 1	
ფრაგმენტი 2	
ფრაგმენტი 3	

მოუსმინეთ *ამ ორ ინტონაციურ ფორმულას და დარჩენილ მუსიკალურ ფრაგმენტს.* შემოხაზეთ ინტონაციური ფორმულა, რომელზეც ამ მუსიკალური ფრაგმენტის მელოდია არის აგებული.

ბ) ინტონაციური ფორმულა



ბ) ინტონაციური ფორმულა



თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ განწყობას გიქმნით ინტონაციურ ფორმულაზე ა) შექმნილი კომპოზიცია?
- რა მიმართულების მუსიკას გაგონებთ ეს კომპოზიცია? აირჩიეთ მისაღები პასუხი:
  - კლასიკა (აკადემიური მუსიკა);
  - პოპ მუსიკა;
  - ჯაზი.
- ადვილია თუ არა ინტონციური ფორმულის ბ) ემოციური მუხტის ამოცნობა? თუ ადვილია, რა ემოციას დაუკავშირებდით ამ ინტონაციურ ფორმულას? შემოხაზეთ მისაღები პასუხი:
  - აღელვებული;
  - სევდიანი;
  - შემაშფოთებელი
  - სხვა.
- იგივე ემოცია გეუფლებათ ამ ინტონაციურ ფორმულაზე აგებულ მუსიკალურ კომპოზიციაზე?
- დააკვირდით ამ ინტონაციური ფორმულის სანოტო გამოსახულებას. როგორ არის მიღწეული ეს განწყობა? შეარჩიეთ მისაღები პასუხი.
  - მელოდიაში არის ნახტომები კვარტაზე;
  - მელოდიის მდორე მოძრაობით;
  - ინტონაციურ ფორმულაში ყველაზე მაღალი ნოტისკენ აღმავალი სვლის სათანდო შტრიხებით ხაზგასმით.

I ეტაპი. თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ხელოვნებით სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემის წარმოჩენაში

აქტივობა 1.

ახალი ტექნოლოგიები ვიზუალურ ხელოვნებასა და მუსიკაში, ყველაზე აქტიურად ინსტალაციაშია გამოიყენება. ინსტალაცია ხელოვნების შედარებით ახალი ფორმაა. მასზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ნახეთ ქვემოთ მოცემული სამი ვიდეო და აღნიშნეთ იმ ინსტალაციების კადრი, რომელშიც უშუალო მონაწილე თავად დამთვალიერებელია. ჩასვით თოლია სათანადო ინსტალაციის კადრის ცარიელ უჯრაში.

1. OCEANS – Digital Immersive Odyssey
2. vimeo.com
3. www.youtube.com

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

შეავსეთ ცხრილი:

	დამთვალიერებელი, როგორც ინსტალაციის მთავარი მოქმედი პირი	სივრცე, როგორც ინსტალაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი	ნამუშევრის ხელშეუხებლობა	მულტი-მედიის (ციფრული ტექნოლოგიების, ვიდეოს) გამოყენება
გასეირნება ოკეანეს ფსკერზე პროექტი Flash Forward				
მზესუმზირის თესლი				

აქტივობა 2.

ნახეთ ვიდეო და ამ კადრებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც, ინსტალაციის მთავარ იდეას ყველაზე უკეთ გადმოსცემს. შერჩეული კადრის ცარიელ ოთხკუთხედში ჩასვით √ თოლია:



უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ შეარჩიეთ კადრი? აირჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი:
  - ინტუიციით. დააზუსტეთ თქვენი პასუხი: დაუფიქრებლად, განცდაზე დაყდნობით (დააკონკრეტეთ განცდა), რაიმე ასოციაციაზე დაყრდნობით;
  - ლოგიკაზე დაყრდნობით; (ახსენით პასუხი);
  - სხვა;
- ინსტალაციის ავტორს რა სივრცე აქვს გამოყენებული?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- რა შეგრძნებებს ტოვებს ეს სივრცე? შეარჩიეთ მისაღები პასუხი:
  - სული მეხუთება;
  - თავს ვგრძნობ თავისუფლად;
  - მთრგუნავს;
  - თავს დაცულად ვგრძნობ;
  - სხვა.
- როგორც ვიდეოდან შეიტყვეთ, დარბაზის დიდი ნაწილი ხელოვნური მზესუმზირის თესლით მოფენილია. რა აკავშირებს სივრცესა და მასში მოქცეული ინსტალაციის არტ-ობიექტს? შეარჩიეთ ან მოიფიქრეთ პასუხი:
  - ინტერიერი (სივრცე) მკვეთრ კონტრასტშია არტ-ობიექტთან;
  - ინტერიერი ჰარმონიულად ერწყმის არტ-ობიექტს;
  - ინტერიერი რაღაცას ჰმატებს არტ-ობიექტს;
  - არ მაქვს მოსაზრება.
  - სხვა; შეეცადეთ პასუხი ახსნათ.
- როგორ ფიქრობთ, ავტორმა ინსტალაციისთვის ფაიფურის მზესუმზირების გასაკეთებლად რატომ დაიქირავა ამდენი ხალხი და არ გამოიყენა დაზგა?
- ავტორმა ხელოვნური მზესუმზირების მასალად ფაიფური რატომ შეარჩია?
- რა განსხვავებაა ხელნაკეთსა და დაზგით დამზადებულ ნივთებს შორის?
- როგორ ფიქრობთ, მნახველებს ამ ნივთებზე ფეხით სიარულის უფლება რატომ მისცა?
- ამ ინსტალაციის მნახველი რომ ყოფილიყავით, ფაიფურის მზესუმზირებზე ფეხით გავლისას რა განცდა დაგეუფლებოდათ?
  - დისკომფორტს ვიგრძნობდი;
  - სიხარულის განცდა დამეუფლებოდა;
  - არაფერს ვიგრძნობდი;
  - სხვა; (თითოეული პასუხის არჩევისას, ახსენით თქვენი არჩევანი)
- იმავე სათქმელს თქვენ როგორი ინსტალაციით გადმოცემდით?
- რას დაარქმევდით ამ ინსტალაციას?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

აქტივობა 3.

🔎 დააკვირდით ფოტოებს და აღნიშნეთ ფოტოსურათი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე კარგად წარმოაჩენს ამ ინსტალაციას. ჩაწერეთ თქვენ მიერ შერჩეული სურათის ცარიელ უჯრაში ნიშანი √ თოლია.

უპასუხეთ კითხვებს:

- რით ხელმძღვანელობდით სურათის არჩევისას? შეარჩიეთ მისაღები პასუხი:
  - კარგად გადმოსცემს ამ ინსტალაციით გამოწვეულ განწყობას; რა განწყობას და რატომ?
  - წარმოაჩენს ამ ინსტალაციის სილამაზეს; როგორ?
  - წარმოაჩენს ინსტალაციის მთავარ იდეას; რა იდეას?
  - სხვა. წარმოაჩინეთ თქვენი ვერსია;
- რას გაგონებთ ეს არტ-ობიექტი? (რას მიამსგავსებდით?)
- რამ გამოიწვია თქვენში ასეთი ასოციაცია?
- რა განცდას იწვევს თქვენში ეს ინსტალაცია? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი:
  - მძაბავს;
  - მამშვიდებს;
  - სევდას იწვევს;
  - სიმყუდროვის განცდას;
  - დისკომფორტს ვგრძნობ;
  - სხვა; (ახსენით თქვენ მიერ შერჩეული პასუხი)
- რა სივრცეა გამოყენებული ამ ინსტალაციაში? შეარჩიეთ სათანადო პასუხი:
  - ცეხი;
  - ფაბრიკა;
  - საგამოფენო დარბაზი;
  - სხვა.
- როგორაა გამოყენებული სივრცე?
  - ერთგვარ კონტრასტშია არტ-ობიექტთან;
  - როგორც დამთვალირებელზე ზემოქმედების დამატებითი საშუალება;
  - როგორც ინსტალაციის ნეიტრალური ფონი;
  - სხვა; ახსენით თქვენი არჩევანი.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- რა ნივთების გამოყენებით არის შექმნილი ეს ინსტალაცია?
- როგორ სჯობს ამ ინსტალაციის დათვალიერება, დამჯდარი, დაწოლილი თუ სიარულის დროს? ასე რატომ ფიქრობთ?
- უფლება რომ გქონოდათ, რა მიზნით და რა ფერზე შეღებავ-დით ამ ყურსასმენებს?
- ინსტალაციის ავტორის ჩანაფიქრით ყველა ყურსასმენში ხმა ჟღერს. ინსტალაციის სრულყოფილი აღქმისთვის, რო-გორ სჯობს ამ ხმების მოსმენა, შორიდან, ყველა ერთად, თუ თითოეულის ცალ-ცალკე? რატომ?
- თქვენ რა ხმებს ჩართავდით ყურსასმენში და რატომ? აირ-ჩიეთ სწორი პასუხი:
  - ბუნების ხმებს (მწერების ბზუილს, წყაროს ხმას, ფოთ-ლების შრიალს და სხვ.);
  - სხვადასხვა როკ ანსამბლის ჰიტებს ერთდროულად;
  - წყნარ კლასიკურ მუსიკას;
  - სხვა;
- როგორ ფიქრობთ, ხმების ან მუსიკის შეცვლით შეიძლება ინსტალაციის იდეაც შეიცვალოს?
- ამ ინსტალაციას რაიმე საგნებს თუ მიამატებდით? თუ კი, რატომ?
- რას დაარქმევდით ამ ინსტალაციას?

აქტივობა 4.

ნახეთ ვიდეოს უფრო ვრცელი ვერსია და კადრების ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ შემდეგი აღწერილობების ლიტერა:

ა) წარმოაჩენს ინსტალაციის სახეობას;

ბ) წარმოაჩენს ინსტალაციაში გამოყენებულ საშუალებებს და ხერხებს;

გ) წარმოაჩენს ინსტალაციის იდეას;.





თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- ინსტალაციაში გამოყენებულ საშუალებებს და ხერხებს რომელი ნომერი სურათი დაუკავშირეთ? რატომ?
- რას დაუკავშირეთ პირველი ნომერი სურათი? რატომ?
- რას დაუკავშირეთ დარჩენილი ნომრის სურათი? რატომ?
- კომპოზიტორ ნიკა მაჩაიძის მოსმენის შემდეგ, მის რომელ კომენტარს და ციტატას დაუკავშირებდით ინსტალაციის მთავარ იდეას? რაიმე ნიშნით აღნიშნეთ ეს ციტატა და ჩასვით ცარიელ უჯრაში:
  - ☐ ელექტრონული მუსიკის განუყოფელი ნაწილია რეალური ხმები — ბუნების იქნება და თუ რაიმე მექანიზმის;
  - ☐ გარემოსთან ჰარმონიაში ყოფნა ეპიცენტრისკენ სწრაფვაა;
  - ☐ ტექნოლოგიის და ხელოვნების სინთეზი;
- ვიდეოში ჩანს რა სივრცე არის გამოყენებული ამ ინსტალაციაში?
- არის თუ არა სივრცე ინსტალაციის ნაწილი? თუ კი, რას გადმოსცემს იგი?
- რა არის გამოყენებული ამ ინსტალაციაში?
- როგორ ჯობს ინსტალაციის თვალიერება — ერთი წერტილიდან ცქერა, სიარულით, ინსტალაციის ობიექტებთან რაიმე ფორმით ზემოქმედებით?
- რას დაარქმევდით ამ ინსტალაციას?

აქტივობა 5.

შესრულებული აქტივობის (2,3,4,) საფუძველზე დასკვნების გასაკეთებლად შეავსეთ ცხრილი.

შეავსეთ ცხრილი:

ინსტალაციის სახელწოდება	ინსტალაციაში გამოყენებული საშუალებები და მასალა	ინსტალაციაში გამოყენებული სივრცის მნიშვნელობა	ინსტალაციის ფორმა (დამთვალიერებლის როლი; ნამუშევართან ურთიერთობის ფორმა)	ინსტალაციის მთავარი იდეა

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

აქტივობა 1.

ვიდეო ინსტალაცია — თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელშიც ორგანულად შერწყმულია ხელოვნების ტრადიციული გამომსახველობითი ხერხები და ციფრული ტექნოლოგიები. კერძოდ, ეს ფორმა ვიდეოტექნოლოგიებისა და ინსტალაციის (სივრცობრივი კომპოზიციის) შერწყმის შედეგად იქმნება. ვიდეოინსტალაციის მთავარი პრინციპია თხრობის საკვანძო ხერხად საგამოფენო სივრცე აქციოს. დარბაზში, რამდენიმე ეკრანზე გაშვებული კინოკადრები ერთ ისტორიას სხვადასხვა კუთხიდან ყვებიან. ამ შემთხვევაში ტრადიციული ლინეარული (ქრონოლოგიურად თანმიმდევრული) თხრობა საგამოფენო დარბაზის მთელ სივრცეზე ნაწილდება. ამასთან, მაყურებელს შეუძლია თავად განსაზღვროს, რა თანმიმდევრობით უყუროს და რა შინაარსით აღიქვას სივრცეში გადანაწილებული ვიდეოები. გთავაზობთ ვიდეო ინსტალაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოსტატის, ბილ ვაიოლას ოთხი ნამუშევრის ფრაგმენტებს და მათთან დაკავშირებულ, ჩვენს მიერ ფორმულირებულ იდეებს, რომელიც თქვენი შეხედულებით ვიდეო გამოსახულებებს უნდა დაუკავშროთ. იდეების ფორმულირების ლიტერა ვიდეო ინსტალაციების სათანადო კადრს მიუწერეთ.

ა) წამიერების და მარადიულობის თანაფარდობა;
ბ) ადამიანის სულიერი სიძლიერე;
გ) ცხოვრების უმნიშვნელო ეპიზოდის ფასი;
გ) ადამიანის შინაგანი სამყაროს იდუმალება;
დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რღვევა;
ე) საზოგადოებრივი კატაკლიზმა;
ვ) რიტუალები და ყოვლდღიურობა;

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორც უკვე მიხვდით, თითოეულ ვიდეოინსტალაციაში გარკვეული თემაა დაშიფრული, რომლის ამოკითხვა ხილული სახეებით შეიძლება. გამოთქვით თქვენი ვარაუდი, მარადიულობა და წამიერება რა ვიზუალური ხერხებით არის გადმოცემული?
- იქნებ ამ ვიზუალურ სახეებს მნიშვნელობა თვითონ მოუნახოთ? მოიფიქრეთ როგორ შეიძლება ამ სახეების ინტერპრეტირება და წარუდგინეთ თქვენი მოსაზრებები კლასს.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- ვიდეო ინსტალაციაში როგორ არის წარმოდგენილი ადამიანის სულიერი ძლიერება? რატომ დაუკავშირეთ ეს ვიზუალური სახეები ადამიანის სულიერ ძლიერებას?
- რა განსაზღვრავს ცხოვრებისეული ეპიზოდის ფასს?
- რა ვიზუალური ხერხებით არის წარმოდგენილი?
- ვიდეოინსტალაციაში რა გამომსახველობითი ხერხებით გადმოიცემა საზოგადოებრივი კატა–კლიზმები?
- ვიდეო ინსტალაცია კიდევ რა თემას შეიძლება დავუკავშიროთ? გამოთქვით ვერსიები.
- როგორ ამოიკითხება ვიდეო ინსტალაციაში კატაკლიზმების მოტანილი შედეგი?
- როგორ წარმოჩნდება ვიდეო ინსტალაციაში საზოგადოებისა და პიროვნულის ერთმანეთზე ზეგავლენა?
- საინტერესოა, რომ ბილ ვაიოლას თითქმის ყველა ნამუშევარი ასოციაციურად უკავშირდება უკვე არსებულ ხელოვნების რაიმე ნიმუშს. შეძლებთ ასეთი კავშირების დადგენას? ჩაწერეთ სახვითი ხელოვნების ნიმუშის ცარიელ უჯრაში იმ ვიდეო ინსტალაციის ნომერი, რომელიც, თქვენი აზრით, ასოციაციურად ამ ნიმუშს უკავშირდება.

სურათი XXI. *თ. ჟერიკო, „მედუზას ტივი“*

სურათი XIX. *ჯ. პონტორმო „მარიამისა და ელიზაბეტის შეხვედრა“*

სურათი XX. *კარავაჯო, „ბიჭი ხვლიკის ნაკბენით“*

სურათი XXII. *დ. ჰოკნი, „დიდი შხეფი (ჩქაფანი)“*

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ აღწერდით ჟერიკოს სურათს?
- ჟერიკოს სურათზე მისი დროის ყველაზე გახმაურებული ამბავია აღბეჭდილი. მეთაურების საბედისწერო შეცდომის გამო ხომალდი „მედუზა“ რიფებს შეეჯახა. კაპიტანმა და ხომალდში მყოფმა საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებმა მაშველი ნავებით ზღვაში გაცურეს და მთელი მომსახურე პერსონალი ლაჩრულად გემზე მიატოვეს. საბრალო ხალხს წარმოუდგენლ პირობებში მოუწია გემის ნამსხვრევებიდან უზარმაზარი ტივის აგება და ზღვაში რამდენიმე თვის გაატარება. ამ პერიოდში უამრავი ადამიანი დაიღუპა. გემის ხემძღვანელობის ასეთმა საქციელმა საზოგადოება ძლიერ აღაშფოთა. როგორ ფიქრობთ, ეს ამბავი რომელ საზოგადოებრივ კატაკლიზმას შეიძლება დავუკავშიროთ?
- რა არის საერთო ჟერიკოს სურათსა და ბილ ვაიოლას ვიდეო ინსტალაციას შორის?
- როგორ ფიქრობთ, კარავაჯოს თავის ნაწარმოებში რისი გადმოცემა სურდა?
- როგორ იკითხება მხატვრის მიზანი სურათზე?
- როგორ გამოიყენა ბილ ვაიოლამ ეს მხატვრული ხერხები ინსტალაციაში?
- როგორ ფიქრობთ, დევიდ ჰოკნის სურათზე მიზეზია თუ შედეგი აღბეჭდილი? ახსენით რატომ.
- ბილ ვაიოლას ვიდეო ინსტალაციაში როგორ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები წარმოჩენილი?
- ბილ ვაიოლას რისი თქმა სურდა? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი და თოლიით √ აღნიშნეთ.
  - ○ ხშირ შემთხვევაში ადამიანს მიზეზი და შედეგი ერთმანეთში ერევა, რის გამოც პრობლემის სრულყოფილად განსაზღვრა უჭირს;
  - ○ მიზეზს ხშირად არ მოყვება სასურველი შედეგი, რაც პრობლემის აღმოფხვრის პროცესს ართულებს;
  - ○ ბუნებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ხშირად დაფარულია, რაც ადამიანში სამყაროსადმი ინტერესს და მისი კვლევის სურვილს აღძრავს;
  - ○ თუ არ არის მიზეზი, არც შედეგი იქნება და ყველაფერი უძრაობაში რჩება;
  - ○ სხვა.
- თუ რომელიმე ვიდეო ინსტალაციის თემად წამიერების და მარადიულობის თანაფარდობა აირჩიეთ, რა ვიზუალური სახე დაუკავშირეთ მარადიულობას და რატომ?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- ამ თემის რომელი ახსნა-განმარტება მოუხდებოდა თქვენ მიერ შერჩეულ ბილ ვაიოლას ვიდეო ინსტალაციას? შემოხაზეთ ეს ახსნა-განმარტება. ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.
  - მარადიულობის მთავარი თვისებაა, ვერ შეცვალოს ვერცერთმა ქმედებამ ან მოვლენამ, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს.
  - მარადიულობასთან შეხებისას დროც კი ისეთ ტრანსფორმაციას განიცდის, რომ შეიძლება წამიც უჟამობად გადაიქცეს;
  - ყოველი წამი მარადიულობის ანარეკლია;
  - სხვა.
- შეიძლება აქ მოცემული ახსნა-განმარტებიდან ერთ-ერთი სახვითი ხელოვნების რომელიმე ნიმუშს დავუკავშიროთ? რომელს?
- რომელ ვიდეო ინსტალაციას შეიძლება ყოველდღიურობაში თემად შევურჩიოთ რიტუალები და რატომ?
- თქვენ მიერ შერჩეული ვიდეო ინსტალაციის მიხედვით რა შეიძლება რიტუალად ჩაითვალოს?
- ამ თემის ინტერპრეტაცია რაში მდგომარეობს? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - ყოველდღიური რიტუალები ცალკეული პიროვნების საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებაა;
  - ყოველდღიური რიტუალები ძველი კულტურული გადმონაშთია, რომელმაც აქტუალობა დაკარგა;
  - ყოველდღიური რიტუალები საკუთარი ემოციების და დამოკიდებულების შენიღბვის საუკეთესო საშუალებაა;
  - ყოველდღიური რიტუალები ნაციონალური იდენტობის გამოვლენის საშუალებაა;
  - თითოეულ რიტუალში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი კაცობრიობის ცოდნა და სიბრძნეა დაშიფრული;
  - სხვა;

დავალება 1. ***ვიდეო ინსტალაციისთვის თემის შერჩევა,*** მისი მხატვრული განხორციელება, ვიზუალის აღწერა (სცენარი) — ვიდეო ინსტალაციის კონცეფციაა. შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო და აქტუალური თემა. მოიფიქრეთ, რა ვიზუალური ხერხებით გსურთ თემის წარმოჩენა და მოკლე ნარატივით ჩაწერეთ. ნარატივს დაურთეთ თემის თქვენებური ინტერპრეტაცია, რომელიც თქვენ მიერ შერჩეულ ვიზუალურ სახეებს, ხერხებს და სიუჟეტს ედება საფუძვლად.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

აქტივობა 2.

ზემოთ გაეცანით ვიდეოინსტალაციის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატის, ბილ ვაიოლას ნამუშევრებს. როგორც შეამჩნიეთ, ვიდეო ინსტალაციებში ძირითადი აქცენტი ვიაზუალური კომპონენტზე კეთდება. მუსიკა საერთოდ არ ჟღერს. ავტორი მკაფიოდ მიანიშნებს, რომ ეს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფორმაა. თუმცა, ბოლო ხანებში, ბევრი ავტორი თავის ვიდეოინსტალაციებში მაყურებელზე უფრო ძლიერი ზემოქმედების მიზნით მუსიკასაც მიმართავს. გაჩნდა ვიდეოინსტალაციები, რომლებიც სპეციალურად, კონცერტზე, კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს გასაშვებად არის შექმნილი. თავად ბილ ვაიოლასაც აქვს ვიდეო ინსტალაციების ციკლი, რომელიც მან ვაგნერის ოპერის „ტრისტან და იზოლდას“ შესრულების დროს ჩვენებისთვის შექმნა. თუმცა ეს ვიდეო ინსტალაციები გამოფენებზე ხშირად ვაგნერის მუსიკის გარეშეც არის წარმოდგენილი. ამასთან, არის ისეთი ვიდეო ინსტალაციები, რომლებიც მუსიკის გარეშე ძნელად აღიქმება და მუსიკალური გაფორმების გარეშე ბევრს კარგავს. როგორ ფიქრობთ, ამ ვიდეო ინსტალაციებიდან რომელია ისეთი, რომელსაც აშკარად სჭირდება მუსიკალური გაფორმება და მის გარეშე ძნელად აღიქმება? ნახეთ სამი ვიდეო ინსტალაცია და ამოიცანით ერთ-ერთი, რომელსაც თქვენი აზრით, ნამდვილად ესაჭიროება მუსიკალური გაფორმება. *ამ ვიდეო* ინსტალაციის კადრი ნოტით ♪ აღნიშნეთ.

უპასუხეთ კითხვებს:

- ვიდეოინსტალაციის შერჩევისას რას აქცევდით ყურადღებას?
- რომელი ვიდეოინსტალაცია აღიქვით ემოციურად ყველაზე გაწონასწორებული? რატომ?
- რომელი ვიდეოინსტალაციის თემის ამოკითხვა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად, რატომ?
- რა თემას შეიძლება დავუკავშიროთ პირველი ვიდეოინსტალაცია?
- რა თემას შეიძლება დავუკავშიროთ მესამე ვიდეო ინსტალაცია? რატომ?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს. თავისი განწყობით, ემოციური მუხტით რომელ ვიდეო ინსტალაციას ეხმიანება?
- დააკვირდით ამ სანოტო გამოსახულებებს. რომელია ამ მუსიკალური ფრაგმენტის გამოსახულება? შემოხაზეთ სათანადო სანოტო მაგალითი.

ა



ბ



გ



- მელოდიური ხაზი რომელ სანოტო მაგალითში ჰგავს აღელვებული ზღვის ტალღებს?
- ვიდეო ინსტალაციაში რა ხერხით მიიღწევა ამგვარი მღელვარება? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - მონტაჟი (კადრების მონაცვლეობა);
  - სიუჟეტი;
  - თემა;
  - ფერთა პალიტრა;
  - სხვა.
- ამ მუსიკალურ ფრაგმენტში რა ინსტრუმენტი ასრულებს სოლო პარტიას? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

  ა) ხის ჩასაბერი ინსტრუმენტი;
  ბ) სიმებიან-ხემიანი ინსტრუმენტი;
  გ) სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტი.
- რა ჟღერადობას სძენს ეს ინსტრუმენტი ამ მუსიკალურ ნაწარმოებს?

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

აქტივობა 3.

შემოქმედებითი გაერთიანების AES+F ვიდეო ინსტალაციებმა მსოფლიო სახელოვნებო წრეებში დიდი ხმაური გამოიწვია. მათი შემოქმედების ირგვლივ კამათი — ჭეშმარიტი ხელოვნებაა თუ უბრალოდ კარგად დაგეგმილი კომერციული ხრიკი — დღემდე არ ცხრება. ამ პოლემიკაში ჩაბმა ჩვენს ინტერესებში არ შედის. ერთი უდავოა, ამ ვიდეოინსტალაციებმა უამრავი ადამიანი დღევანდელ ხელოვნებაზე, სამყაროში მის ადგილზე და საერთოდ მთელი ცივილიზაციის პრობლემებზე დააფიქრა. ამასთან, მათი ქმნილებები ვიდეო ინსტალაციაში მუსიკის გამოყენების შესანიშნავი მაგალითია. ამ აქტივობაში AES+F მიერ შექმნილი ვიდეოინსტალაციის „ტრიმალქიონის ნადიმი" პრომო ვიდეო რგოლი განვიხილოთ. თავად ვიდეოინსტალაცია გრძელდება საათნახევარი და მისი პროეცირება რამდენიმე ვეებერთელა ეკრანზე ხდება. ამავე დროს, მთავარი საგამოფენო დარბაზის მომიჯნავე სივრცეებში, ცალკეული სკულპტურული ექსპონატები, ვიდეო ინსტალაციის მაღალი რეზოლუციის ფოტოებია გამოფენილი, რაც დამთვალიერებლებს ვიდეო ინსტალაციაში წარმოჩენილ დეტალებზე ყურადღების გამახვილებასა და გააზრებაში ეხმარება.

➡️ **ინაწილი:**

ნახეთ ამ პრომო რგოლის მუსიკალური გაფორმების ორი ვარიანტი (ერთ-ერთი ჩვენი ვერსიაა, მეორე კი — ორიგინალური. მაგალითებში მითითებული არ არის რომელია ჩვენი ან ორიგინალური ვერსია). გაეცანით ამ ვიდეო ინსტალაციის კონცეფციის ზოგიერთ ასპექტს და შეავსეთ ცხრილები იმის დასადგენათ, რომელი მუსიკალური გაფორმება რომელ კონცეპტუალურ ასპექტს უკავშირდება.

კონცეპტუალური ასპექტები	**იდეა:** გლობალური კრიზისი და მსოფლიო დისბალანსი, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის მნიშვნელოვანი საფრთხე. ➡️

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

კონცეპტუალური ასპექტები. გაეცანით მასალას	**თემა:** ვიდეო ინსტალაციას ჩვენამდე მოღწეული, ანტიკური ხანის, ერთ-ერთი ლიტერატურული ძეგლის, პეტრონიუსის რომანის „სატირიკონის“ ეპიზოდის სახელი „ტრიმალიონის ნადიმი“ ჰქვია. რომანის სიუჟეტის მიხედვით, მთავარი გმირები, აწ უკვე უზომოდ გამდიდრებული ყოფილი მონის, ტრიმალიონის ნადიმზე მიიწვიეს. რომანის ავტორი ნადიმის აღწერისას წარმოაჩენს ლხინის დროს, რამდენად მკაფიოა ახალგამდიდრებული მონის მდაბიო კულტურა, რამდენად საშიშია სოციალური დისბალნსი, რომელსაც საბოლოოდ გლობალურ, კულტურულ დეგრადაციამდე მივყავართ.
მხატვრული განხორციელება.	**სიუჟეტი:** კუნძულზე, სადაც ნაღები საზოგადოებისთვის გაშენებული კურორტია, საპატიო სტუმრები ჩამოდიან, თეთრკანიანი, ევროპული გარეგნობის ადამიანები (ალუზია (სიტყვის გადაკვრა) ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებზე). კუნძულზე ხვდება მოსამსახურე პერსონალი, რომელიც ძირითადად შავკანიანი და აზიური გარეგნობის ადამიანებისგან შედგება (ალუზია განვითარებად ქვეყნებზე, რომელსაც ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნები წარმოადგენენ). ნელ-ნელა, ამ, ორი ჯგუფის ადამიანების როლები იცვლება, რის შედეგადაც მოსამსახურის მოვალეობა სწორედ მდიდარი ფენის წარმომადგნლებს ეკისრებათ. თითქოს უწყინარი თამაშის შედეგად, ორივე ფენის წარმომადგენლებს დაღუპვის რეალური საფრთხე ექმნებათ. ორივე ფენის წარმომადგენლებს საერთო საფრთხის — გლობალური დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლა უწევთ. **გამომსახველობითი ხერხები:** (კარგად დააკვირდით ვიდეო ინსტალაციაში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებს და აღწერეთ აქ მითითებული დეტალები

კადრის კომპოზიციური გადაწყვეტილება (როგორ არის განლაგებული ობიექტები კადრში, მსახიობების პოზები)

მიზანსცენები (როგორ მოძრაობენ, როგორ მოქმედებენ მსახიობები)

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

ფერთა პალიტრა

მუსიკალური გაფორმების ვერსია, რომელიც თქვენი აზრით, უფრო ახლოს დგას კონცეფციის კონკრეტულ ასპექტთან, აღნიშნეთ + –ით

	იდეა	თემა	სიუჟეტი	გამომსახველობითი ხერხები
მუსიკალური გაფორმების I ვერსია				
მუსიკალური გაფორმების II ვერსია				

➡️ II ნაწილი:

უპასუხეთ კითხვებს:

- მუსიკა რომელ ვერსიაში უფრო ზუსტად მიყვება ვიზუალურ რიგს?
- მუსიკას თავიდანვე რომელ ვერსიაში შემოაქვს დაძაბულობა, თითქოსდა მოსალოდნელი უბედურების შესახებ გვაფრთხილებს?
- როგორ ფიქრობთ, მუსიკალურ გაფორმების ამ ვერსიას ზუსტად რომელი განმარტება აღწერს? აღნიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.
  - ეს მუსიკალური გაფორმება ზუსტად გადმოსცემს იმას, რაც ეკრანზე ხდება? შეიძლება ითქვას, მუსიკა საკუთარი გამომსახველობითი ხერხებით გვიამბობს იმავეს, რასაც ვიდეო რიგი წარმოგვიჩენს. ☐
  - ეს მუსიკალური გაფორმება გადმოსცემს ავტორების მთავარ იდეას. ერთგვარი შეფასებაა იმისა, რაც ეკრანზე ხდება. ☐
  - ასეთ მუსიკალურ გაფორმებას უფრო ხშირად კომერციულ კინოფილმებში იყენებენ; ☐
  - ასეთ მუსიკალურ გაფორმებას, უფრო ხშირად, დამოუკიდებელ, ართჰაუსულ კინოფილმებში იყენებენ; ☐

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- მუსიკალურ გაფორმებას რომელ ვერსიაში შეიძლება ვუწოდოთ უფრო ილუსტრაციული? მას, რაც ეკრანზე ხდება, მუსიკა რომელ ვერსიაში უკეთებს დამოუკიდებელ კომენტარს? ჩაწერეთ სიტყვები „ილუსტრაციული მუსიკა“ და „მუსიკალური კომენტარი“ ცხრილის სათანადო უჯრაში.

მუსიკალური გაფორმების I ვერსია	მუსიკალური გაფორმების II ვერსია

- თუ შეამჩნიეთ, მუსიკალური გაფორმების რომელ ვერსიაში უფრო მეტი ნაწარმოებია გამოყენებული? როგორ ახსნიდით, რატომ?
- ***მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს*** და ამოიცანით, მუსიკალური გაფორმების რომელ ვერსიაში ჟღერს? აღნიშნეთ თოლიით √.

  ◯ **მუსიკალური გაფორმების I ვერსია**

  ◯ **მუსიკალური გაფორმების II ვერსია**

- მუსიკალური მაგალითი, რომელიც ახლა მოისმინეთ, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-7 სიმფონიის II ნაწილის ფრაგმენტია. რომელ აღწერილობას დაუკავშირებდით ამ მუსიკას? აღნიშნეთ აღწერილობა თოლიით √.
  - მჩქეფარე ენერგიით სავსე, მძლავრი, მუსიკალური ნაკადი მზვინვარე მხიარულებას განასახიერებს; ☐
  - მუსიკის რიტმი დაკრძალვის პროცესიის სვლას მოგვაგონებს. ამ შეგრძნებას ამძაფრებს დაბალ რეგისტრში გაჟღერებული უდიდესი მწუხარებით აღსავსე, მაგრამ ამავე დროს თავშეკავებული მუსიკალური თემა, კიდევ უფრო მძლავრს ხდის; ☐
  - მარტივი, გულუბრყვილო მელოდია, მოქნილი რიტმი, სოფლის უბრალო, ყოველდღიურობის იდილიის შეგრძნებას გვიქმნის; ☐

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- დააკვირდით ამ რიტმული ფიგურაციების სანოტო გამოსახულებას. რომელია ამ მუსიკალური ფრაგმენტის რიტმული ფიგურაცია? ჩასვით თოლია ოთხკუთხედში.

ა 

ბ 

გ 

- მოუსმინეთ ამ რიტმულ ფიგურაციას. რომელ სანოტო გამოსახულებას დაუკავშირებდით? სამკუთხედში ჩასვით +;
- ამ მუსიკით ვიდეო ინსტალაცის ავტორებს რისი თქმა სურდათ? აღნიშნეთ მისაღები პასუხი.
  - თითქოს ავტორები კაცობრიობას აფრთხილებენ, რომ ყოველ ცივილიზაციას დაქცევა ელის;
  - ავტორები თითქოს გვაფრთხილებენ — თითოეული ჩვენთაგანი პასუხისმგებელია მომავალზე;
  - ავტორები გვარწმუნებენ, სიმდიდრე სულიერების გარეშე ბოროტების მომტანია;
  - სხვა.
- ***მოუსმინეთ*** ამ მუსიკალურ ფრაგმენტს. მუსიკალური გაფორმების რომელი ვერსიიდან არის?
- დააკვირდით კადრებს. რომელს დაერთვის ეს მუსიკა? აღნიშნეთ კადრი. ჩაწერეთ ნომერი 1 სათანადო უჯრაში.



თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

უპასუხეთ კითხვებს:

- ***როგორ ფიქრობთ, რატომ ერთვის ამ კადრებს ეს მუსიკა?*** რას გადმოსცემს? შეარჩიეთ პასუხი და იმსჯელეთ.
  - მოწყენილობას (ვინ მოიწყინა და რატომ?)
  - ვედრებას (ვის ვედრებას? ვის ევედრება? რას ევედრება?)
  - სიბრალულს (ვის ვინ ებრალება და რატომ?)
  - სხვა.
- როგორც ხედავთ, ყველა ეს განცდა მსგავსი განწყობისაა. რა ხერხებით არის მიღწეული? რამდენიმე სიტყვით აღწერეთ მხატვრული ხერხები, რითაც ამ განწყობას მიაღწიეს.

უპასუხეთ კითხვებს:

- ვიდეო ინსტალაციის პრომო რგოლის რომელ ნაწილებს შეესატყვისება დანარჩენი მუსიკალური ფრაგმენტები? მოუსმინეთ დანარჩენი სამი ეპიზოდის შესატყვის მუსიკალური ფრაგმენტებს და დაუკავშირეთ აქ მოცემულ კადრებს.
- როგორ აღწერდით მეორე ნომრად გაჟღერებულ მუსიკალურ ფრაგმენტს? როგორი განწყობისაა?
- შეგიძლიათ ჟღერადობით დაადგინოთ, ამ მუსიკალურ ფრაგმენტში ჰარმონია დისონანსურია თუ კონსონანსური?
- დააკვირდით ამ ფრაგმენტის სანოტო გამოსახულებას. გამართლდა თქვენი ვარაუდები? არის აკორდებში დისონანსური ინტერვალები?



- ამ ვიდეო რგოლში რას გადმოსცემს მუსიკა? შემოხაზეთ მისაღები პასუხი და იმსჯელეთ მის შესახებ.
  - აგრესიას (ვის აგრესიას და ვის მიმართ?)
  - რაღაცის დარღვევას (რის დარღვევას?)
  - სახიფათო თამაშს (რას გულისხმობთ?)

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში. ხელოვნების ჭრილში

- როგორ აღწერდით მესამედ გაჟღერებულ მუსიკალურ ფრაგმენტს?

განწყობა:	
რა ხერხებით არის მიღწეული:	
რა შინაარი აქვს:	

- დაასრულეთ ამ ვიდეო ინსტალაციის მუსიკალური გაფორმების I ვერსიის სქემა:

I ნაწილი – სტუმრების დახვედრა	II ნაწილი –	III ნაწილი –	IV ნაწილი –
	მუსიკალური ფრაგმენტი N2		

დავალება 2. აღწერეთ ვიდეო ინსტალაციის კონცეფციის მუსიკალური კომპონენტი. შეარჩიეთ ვიდეო ინსტალაციის მუსიკალური გაფორმების ერთ-ერთი ვერსია. გამოიყენეთ ყველაფერი, რაზეც წინა აქტივობებში იმუშავეთ და იმსჯელეთ.

- გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოებების რაოდენობა;
- გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოებების შინაარსობრივი დატვირთვა;
- როგორ უკავშირდება მუსიკალური ნაწარმოების გამომსახველობითი ხერხები მათ შინაარ-სობრივ დატვირთვას;

დავალება 3. ***იხილეთ ვიდეოინსტალაციის ფრაგმენტი*** და იმსჯელეთ რის შესახებ მოგვით-ხრობს კადრები, რა პოლიტიკურ თუ სოციალურ პრობლემას შეიძლება დავუკავშიროთ ვიდეო რიგი, როგორი ხასიათის არის მუსიკალური გაფორმება და რა შინაარსს მატებს გამოსახულე-ბას?

აღწერეთ ვიდეო ინსტალაციის კონცეფცია:

- იდეა;
- თემა;
- მხატვრული განხორციელება:
  - სიუჟეტი;
  - ვიუალური ხერხები;
  - მუსიკალური გაფორმება.

თანამედროვე ტექნოლოგიები სხვადასხვა პროფესიაში, ხელოვნების ჭრილში

პროექტის საბოლოო დავალებაზე მუშაობა:

- ცხოვრებისეული მოვლენის შესახებ მოფიქრებული ვიდეო ინსტალაციის კონცეფციის საფუძველზე შექმენით სცენარი;
- თქვენი სცენარის მიხედვით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შექმენით ვიდეო ინსტალაცია. წარმოაჩინეთ ცხოვრებისეული მოვლენის განზოგადოებული სახე, რაც ამავე დროს, ამ მოვლენის აქტუალურობას განსაზღვრავს.